2010 წელი, 15 – 21 აპრილი

ფასი 90 თეთრი

ახალი განათლება

№13 (487) გამოდის 1998 წლიდან

ნიკო გომელაური

* * *

მე რომ წავალ, ალბათ იტყვის დედა,
ეს რა კარგი გამიზრდია შვილი
და ინატრებს ის დღე მისცა ნეტავ,
პირველად რომ დამიკერა ღილი.
როცა წავალ, გაიხსენებს მამა,
პირველად რომ მნახა უკვე დიდი.
კარგია, რომ არ გამათამამა.
კარგია, რომ ესე კარგად მსჯიდი.
წავალ, მჯერა მერე იტყვის ქალი,
შესაძლოა დაიღვაროს ცრემლად,
ეცოცხლათ, ყოფილიყო მთვრალი,
მთავარია ვიქნებოდით ერთად.
მე არ ვიცი, რას იფიქრებს შვილი
ალბათ ცუდს და ალბათ ცოტა კარგსაც,
თვითონ ვიცი მოვაკელი ხილი
და ვაკლებდი ნაყინსაც და მარწყვსაც.
რას იტყვიან ძმები წავალ როცა,
ალბათ იქაც შემფიცრებენ ძმობას,
ჩემს გარეშე დაიცლება ბოცა,
ჩემს გარეშე აყვებიან გრძნობას.
იქ კი ვიცი ვინც დამხვდება იტყვის
მუდამ სცდიდა თავის ბედს და წერას,
კარგი არ უკეთებია თითქმის
თუ არ ჩავთვლით რაღაც ლექსის წერას.
მე მინდა, რომ ვუპასუხო ყველას –
ქალებს, შვილებს, ჩემიანებს, მასას
მოერიდონ უსაფუძვლო ღელვას,
არ ვაპირებ
მე ჯერ არსად წასვლას.

სკოლების რეიტინგების სისტემა – განათლების რეფორმის ახალი ინიციატივა

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, ბ-ნ. დიმიტრი შაშკინის 2010 წლის იანვარსა და თებერვალში მედიის საშუალებებისთვის მიცემული ინტერვიუების მიხედვით, საქართველოში ე.წ. „ბრენდირების სისტემა“ ინერგება. ინტერვიუების მიხედვით, ეს სისტემა გულისხმობს სკოლების ხარისხის გარკვეული კრიტერიუმებით შეფასებას. მინისტრის განმარტებით, კრიტერიუმების საკმაოდ ვრცელი და კომპლექსური ჩამონათვალი იქნება, რომლის მიხედვითაც სკოლები შეფასდება. საუბარია კრიტერიუმებზე, რომლებმაც შესაძლოა მოიცვან სკოლის უსაფრთხოება, ინფრასტრუქტურა და სხვ. შეფასებების მთავარ მომხმარებლებად სახელდებიან მშობლები, რომლებსაც სურთ იცოდნენ, თუ რომელ სკოლაში სწავლობს/ისწავლის მათი შვილი. „ბრენდირების“ ერთ-ერთ მიზნად განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სკოლების კონკურენციის წახალისება აქვს გამიზნული, რამაც ხარისხის ზრდას უნდა შეუწყოს ხელი. დასახელდა ასევე ის ფორმა, რომლითაც სკოლების შედეგების იდენტიფიცირება იქნება შესაძლებელი. სკოლები ხუთბალიან შკალაზე შეფასდება. შეფასება კი თვალსაჩინოებისთვის ვარსკვლავებით იქნება გამოხატული. სისტემა, მინისტრის განმარტებით, 2010 წლის სექტემბრისთვის ამუშავდება მთელი ქვეყნის მაშტაბით.

ინიციატივა, რომელიც საზოგადოებასა და სახელმწიფოს დაეხმარება ჰქონდეს ინფორმაცია კონკრეტული სკოლის გაწეული სერვისის ხარისხზე, მისასალმებელია. დადებითი მხარე ამ სისტემის ასევე ის არის, რომ სკოლებს უჩნდებათ ხარისხის კონკრეტული ორიენტირები და ასევე წარმატებული სკოლების მოდელები, რომელთა პრაქტიკის შესწავლაც მათ შესაძლებლობას მისცემს, უკეთესად დაგეგმონ საკუთარი მოქმედებები. ასევე მისასალმებელია მიდგომა, რომელიც გულისხმობს სახელმწიფოს არა სკოლის დონეზე მართვაში ჩართვას, არამედ იმ მექანიზმების შექმნას, რომელიც სკოლაში მომუშავე ადამიანების მოტივაციასა და სკოლის გარეთ არსებული საზოგადოების ჩართულობას სავარაუდოდ გაზრდის. შესაძლოა ამ სისტემის დანერგვამ სკოლების აკრედიტაციისთვისაც მოამზადოს ნიადაგი. ეს იმ შემთხვევაში, თუ საერთოდ ჯერ კიდევ აქტუალურია ამ სისტემის დანერგვის საკითხი. ერთი შეხედვით, ამ სისტემას მრავალი დადებითი მხარეები აქვს, მაგრამ თუ ანალოგიური სისტემების ფუნქციონირების ისტორიას შევისწავლით, შესაძლოა მრავალი მოსალოდნელი პრობლემა დავინახოთ. ამ პრობლემების გათვალისწინებამ კი შესაძლოა სისტემა უფრო დახვეწილი გახადოს, ვიდრე დღეისთვის ჩვენთვის ხელმისაწვდომი ინფორმაციის მიხედვით არის აღწერილი.

გვერდი 4-5

C M Y K

ინფორმაცია

სასწავლო სამეცნიერო გამოფენა

განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **დიმიტრი შაშკინი** რუსთავში მე-9 სასწავლო-სამეცნიერო გამოფენას ეწვია და სხვადასხვა სკოლების მოსწავლეების მიერ წარმოდგენილი ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიისა და მათემატიკის შემეცნებითი სასწავლო პროექტები დაათვალიერა. დიმიტრი შაშკინის განცხადებით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის ასეთი ღონისძიებები ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან შემეცნებით პროექტებში ბავშვების მონაწილეობა ხელს უწყობს მათ განვითარებასა და ლოგიკური აზროვნების ჩამოყალიბებას.

შემეცნებითი სასწავლო გამოფენა საქართველოში მეცხრე წელია ტარდება და სათავეს 2001 წლიდან, დემირელის კერძო კოლეჯიდან იღებს. მასში ყველა კლასის მოსწავლეები და ის პედაგოგები მონაწილეობენ, რომლებიც მოსწავლეების პროექტებს ხელმძღვანელობენ. პროექტის მიზანი მეცნიერული ცოდნის გაღრმავება და თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებაა.

2010 წლის მეცხრე სამეცნიერო გამოფენის ორგანიზატორი „ჩაღლარის“ საგანმანათლებლო დაწესებულებების ქსელის რუსთავის რუსთაველის სახელობის სკოლა ლიცეუმია. აღნიშნული ლიცეუმის გარდა პროექტში დემირელის კერძო კოლეჯის, ბათუმის შაჰინის სახელობის სკოლა ლიცეუმისა და დაწყებითი სკოლის, ქუთაისის ნიკო ნიკოლაძის სახელობის სკოლა ლიცეუმისა და დაწყებითი სკოლის, ნიკოლოზ წერეთლის სახელობის საერთაშორისო სკოლის, დაწყებითი სკოლა „სხივისა“ და რუსთავის №4 და №2 საჯარო სკოლების მოსწავლეები მონაწილეობდნენ.

„ჩაღლარის სკოლების ქსელი კიდვ ერთი მაგალითია იმ თანამშრომლობის, რომელიც არსებობს საქართველოსა და თურქეთს შორის განათლების სისტემაში. ეს არის ძალიან წარმატებული პროექტი. გამოფენები, რომლებიც მოწყობილია ჩაღლარის სკოლების ქსელის მიერ, შესაძლებლობას აძლევს ბავშვებს, მონაწილეობა მიიღონ კონკურსებში და გამოავლინონ თავიანთი ნიჭი. ამით სასწავლო პროცესი უფრო საინტერესო ხდება. განათლების სამინისტრო ყოველთვის გვერდში დაუდგება მათ მსგავსი ღონისძიებების მოწყობის დროს.“ – განაცხადა დიმიტრი შაშკინმა.

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის გარდა, სამეცნიერო გამოფენას შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი **გიული ალასანია**, პრეზიდენტის რწმუნებული ქვემო ქართლში **დავით კირკიტაძე**, ქალაქ რუსთავის მერი **მამუკა ჩიქოვანი**, „ჩაღლარის“ საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე **ადემ ონალი** და სხვა მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

* * *

განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **დიმიტრი შაშკინი** ევროკომისარს გაფართოებისა და ევროპის სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში – **შტეფან ფულეს**, ევროკავშირის სპეციალურ წარმომადგენელს სამხრეთ კავკასიაში – **პიტერ სემნებს** და საქართველოში ევროკომისიის წარმომადგენლობის ხელმძღვანელს, ელჩს – **პერ ეკლუნდს** შეხვდა. შეხვედრაზე საუბარი შეეხო საქართველოში მიმდინარე დემოკრატიულ რეფორმებსა და განათლების სფეროში განსახორციელებელ ახალ ინიციატივებს.

„დღეს ჩვენს ევროპელ პარტნიორებთან იმ დემოკრატიულ რეფორმებზე ვისაუბრეთ, რომლებიც ხორციელდება ჩვენს ქვეყანაში, რეფორმებზე, რომლებიც ხორციელდება განათლების სისტემაში და იმ როლზე, რომელიც შეუძლიათ ითამაშონ ჩვენმა ევროპელმა პარტნიორებმა, რომ საქართველოში დემოკრატიული რეფორმა განხორციელდეს და აღდგეს ტერიტორიული მთლიანობა“. – განაცხადა დიმიტრი შაშკინმა.

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა **მირზა (პაპუნა) დავითაიამ** და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **დიმიტრი შაშკინმა** ერთობლივი კომისიის პირველი სხდომა გამართეს. სხდომაზე განიხილეს უცხოეთში მცხოვრები ქართველების საკვირაო სკოლების სასწავლო პროგრამების შემუშავების საკითხი.

შეგახსენებთ, რომ ამა წლის 18 მარტს ხელი მოეწერა მემორანდუმს, რომელიც 3 თვის განმავლობაში საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული საკვირაო სკოლებისთვის ერთიანი სასწავლო პროგრამის შემუშავებასა და წარდგენას ითვალისწინებს.

როგორც მინისტრებმა განაცხადეს, საზღვარგარეთ არსებული საკვირაო სკოლებისთვის ერთიანი სასწავლო პროგრამის შემუშავება აუცილებელია იმისათვის, რომ ჩვენმა თანამემამულეებმა უცხოეთში საკუთარი ენა და თვითმყოფადობა შეინარჩუნონ.

გამოხმაურება

პასუხი გურამ ყორანაშვილის წერილზე „უსირცხვილოს თუ არ არცხვენ...“

ძვირფასო მკითხველო! როცა ამა თუ იმ სამეცნიერო ნაშრომის ან ლიტერატურული ნაწარმოების შეფასებაზე მიდგება საქმე, მაშინ აუცილებლად უნდა იყოს მხედველობაში მიღებული ორი რამ: პირველი – დადებითი მხარე და მეორე – უარყოფითი. ამის შემდგომ განხილული უნდა იყოს ორივე გარემოება და შეფასებაც აქედან გამომდინარე გაკეთდეს.

სამწუხაროდ, არის შემთხვევები, როდესაც სამეცნიერო ნაშრომს ან ლიტერატურულ ნაწარმოებს დადებითი მხარე არ გააჩნია. ასეთ დროს მისი განხილვა მხოლოდ უარყოფითი კუთხითაა შესაძლებელი. სწორედ მსგავს შემთხვევაზე გვექნება საუბარი ჩვენს მკითხველთან, კერძოდ „მეცნიერ“ გურამ ყორანაშვილის „ნაშრომზე“ „ილიას ფენომენი“, რომელიც გამოიცა ქალაქ თბილისში 2007 წელს.

როგორც „ნაშრომის“ სათაურიდან და ანოტაციიდან ირკვევა, საქმე უნდა გვქონოდა „ილიას ფენომენის“ ამოხსნის საქმესთან, რასაც აღნიშნულ „ნაშრომში“, სამწუხაროდ, ვერ ვხვდებით. ამაში მკითხველი თავად დარწმუნდება „ნაშრომის“ წაკითხვის შემდგომ.

პირველი საძრახისი თვისება „მეცნიერ“ გურამ ყორანაშვილისა, რომელსაც დასახელებულ „ნაშრომში“ ვხვდებით, არის სხვა მეცნიერთა ნაფიქრისა და ნააზრევის განზრახ ყალბი ინტერპრეტაციით განხილვა. მაგალითად, იგი წერს: *„ილიასადმი სათანადო პატივის მიგების პარალელურად ჩვენში გაჩნდა ტენდენცია ნოე ჟორდანიას ისტორიული როლის არაჩვეულებრივი განდიდებისა და ილიასთან მისი გათანაბრებისა. 1999 წელს გამოსულ ისტორიკოს-მკვლევარ ვახტანგ გურულის წიგნში ვაწყდებით ასეთ პასაჟებს: „ილია ჭავჭავაძისა და ნოე ჟორდანიას დაპირისპირება იყო არა ორი პიროვნების, არამედ ორი ეპოქის, ორი სხვადასხვაგვარი გაგების დაპირისპირება. ეს დაპირისპირება რთული ეპოქის შედეგი იყო და იგი რაიმე ფორმით აუცილებლად უნდა არსებულიყო“.* ავტორი უფრო შორსაც მიდის, როცა წერს: *„ნოე ჟორდანია ილია ჭავჭავაძის მტერი არ ყოფილა, მას არასოდეს უცდია ერის წინამძღოლის ნააზრევისა და ნაღვაწის უარყოფა. მათი პოლემიკა მხოლოდ და მხოლოდ იმის მაჩვენებელი იყო, რომ ორმა განსხვავებულმა ეპოქამ საქართველოს ხსნის ორი განსხვავებული პროგრამა წამოაყენა და ამდენად, ილია ჭავჭავაძესა და ნოე ჟორდანიას პოლემიკა სრულიად ბუნებრივ მოვლენად უნდა განვიხილოთ“* (იხ. გურამ ყორანაშვილი, „ილიას ფენომენი“, თბ., 2007, გვ. 11.).

გურამ ყორანაშვილის მიერ დამოწმებულ პასაჟში არსად არ ფიქსირდება, რომ ჩვენ საქმე გვქონდეს ისტორიკოს ვახტანგ გურულის მცდელობასთან, მოახდინოს ნოე ჟორდანიას და ილია ჭავჭავაძის როლის გათანაბრება. აქ უბრალოდ ახსნილია ის, თუ რატომ და რით იყო გამოწვეული მათი პოლემიკა ერთმანეთთან. „მეცნიერმა“ გურამ ყორანაშვილმა კი განზრახ დამახინჯებულად, გაყალბებულად წარმოაჩინა სხვისი ნააზრევი, და გამოიტანა ცრუ დასკვნა.

გარდა აღნიშნულისა „ისტორიკოს-ფილოსოფოს“ გურამ ყორანაშვილს სხვა მრავალი „ბედნიერებაც“ სჭირს, მათ შორის ერთ-ერთი და უმთავრესი მისი უვიცობაა, რისი მაგალითებიც მის ე.წ. „ნაშრომში“ უამრავია. ზოგიერთი უვიცობა კი საანეკდოტო ამბადაც შეიძლება მივიჩნიოთ. თვალსაჩინოებისათვის განვიხილავთ რამდენიმე მაგალითს:

„ილიას მამა და ბიძებიც სამხედრო სამსახურში იყვნენ გამწესებულნი, ოღონდ, ცხადია, რუსეთის იმპერიის ხელისუფლებისა. მამამისს – გრიგოლ პაატას ძე ჭავჭავაძეს თავიც კი გამოუჩენია ამ სარბიელზე, მაგრამ 42 წლის ასაკში თავი გაუნებებია სამხედრო სამსახურისათვის და სოფლის მეურნეობისათვის მოუკიდნია ხელი“ (იხ. იქვე, გვ, 65.) და ასევე:

„ილიას აშკარად ვერ გაუმართლა მშობლების სიცოცხლის მხრივ: საყვარელი დედა გარდაეცვალა ოცდაათი წლის ასაკში, 1848 წელს, მამამისი კი ოთხი წლის შემდეგ – ორმოცდაერთი წლის ასაკში“ (იხ. იქვე, გვ. 67).

ცხადია, დიდი მიხვედრა არ სჭირდება იმას, რომ თუ ილია ჭავჭავაძის მამა გრიგოლ ჭავჭავაძე გარდაიცვალა 41 წლის ასაკში, მაშინ იგი, ბუნებრივია, ვერ შეძლებდა, რომ 42 წლის ასაკში თავი გაენებებინა სამხედრო სამსახურისათვის და მიეხედა სოფლის მეურნეობისათვის, რაშიც ჩვენი „დიდი“ „ისტორიკოს-ფილოსოფოსი“ გვარწმუნებს.

„1892 წელს დაარსებულ იქნა ყოველკვირეული გაზეთი „კვალი“, რომელიც გიორგი წერეთლის ხელმძღვანელობით გამოდიოდა და რომელმაც (უპირველესად გაზეთს ვგულისხმობთ), რომ იტყვიან სიცოცხლე მოუშხამა ილიას“ (იხ. იქვე, გვ. 116).

სინამდვილეში გაზეთი „კვალი“ დაარსდა არა 1892 წელს, რაშიც ავტორი გვარწმუნებს, არამედ 1893 წელს. 1892 წელს დაარსდა პირველი მარქსისტული ორგანიზაცია „მესამე დასი“. ჩვენს „ისტორიკოს-ფილოსოფოსს“ სწორედ ეს ორი თარიღი აერია ერთმანეთში. საერთოდ, ძვირფასო მკითხველო, შეცდომა ძირითადად ორგვარი არსებობს – პირველი შემთხვევა არის მექანიკური შეცდომა, რაც შედარებით საპატიოა, ხოლო მეორე შემთხვევაში საქმე უვიცობასთან გვაქვს. ასე გახლავთ ამ შემთხვევაშიც, აღწერილი ლაფსუსი მიეკუთვნება შეცდომათა მეორე კატეგორიას.

„ფილიპე მახარაძე „ჟამს ეძიებდა“ და 1905 წლის აპრილ-მაისში თვითონ და მისი ავან-ჩავანნი ჟურნალ „მოგზაურის“ ფურცლებზე ბინძურად დაესხნენ თავს დიდ ეროვნულ მოღვაწეს“ (იხ. იქვე, გვ. 129).

ჟურნალმა „მოგზაურმა“ ილია ჭავჭავაძის საწინააღმდეგო კამპანია წამოიწყო არა 1905 წლის აპრილ-მაისში, არამედ იმავე წლის 13 მარტიდან. ჟურნალ „მოგზაურის“ 1905 წლის 13 მარტის ნომერში გამოქვეყნდა შალვა შარაშიძის (1880-1934 წწ.) პამფლეტი „იდუმალი ხმა“. ეს იყო პირველი სტატია, რომელიც ამ ჟურნალში ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ დაიბეჭდა.

მსგავსი შეცდომები გურამ ყორანაშვილის „ნაშრომში“ უამრავია და მათი განხილვით მკითხველს თავს არ შევაწყენთ.

მკითხველი, რომელსაც ერთხელ მაინც გადაუშლია გურამ ყორანაშვილის „ილიას ფენომენი“ და დაკვირვებია ავტორის მიერ დამოწმებულ ე.წ. სქოლიოთა რაოდენობას, მიხვდება, რომ ეს „ნაშრომი“ მთლიანად გადაწერილია და რომ ავტორს დამოუკიდებლად არა აქვს დაწერილი ნაშრომის არც ერთი გვერდი.

წერილის დასასრულს გვსურს შევეხოთ კიდევ ერთ საკითხს. წიგნის უკანა ყდაზე გამოქვეყნებულია მისი ავტორის ბიოგრაფია, რომელიც წარმოადგენს უსაფუძვლო თავის ქებისა და ბაქიაობის კლასიკურ ნიმუშს.

საბოლოოდ გურამ ყორანაშვილის განხილული „ნაშრომის“ შესახებ შეიძლება ითქვას, რომ ის უვიცობის ერთი დიდი მანიფესტია.

ლევან იზორია

ისტორიკოსი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრი

„გზამკვლევი“ საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის

საჯარო სამართლის იურიდიული პირების – საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების მიერ, სახელშეკრულებო საწყისებზე, მათ სარგებლობაში არსებული სახელმწიფო უძრავი ქონების (შენობა-ნაგებობები) მესამე პირებზე კონკურსის ფორმით დროებით სარგებლობაში გადაცემა

პატივცემულო მკითხველო, წინა ნომერში განვიხილეთ შესაბამისი ხელშკრულების საფუძველზე სახელმწიფო საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების (შემდგომ ტექსტში – „დაწესებულება“) სარგებლობაში არსებული უძრავი ქონების (შენობა-ნაგებობების) დროებით სარგებლობაში გადაცემის ძირითადი პროცედურები. წინა სტატია ზოგადად ასახავდა ზემოაღნიშნული პროცესის დეტალებსა და დებულებებს. დღეისათვის კი, როგორც დაგპირდით, საუბარი გვექნება ქონების გადაცემის პროცესის ერთერთ ძირითად შემადგენელ ნაწილზე – ქონების გაცემის მიზნით გასამართი კონკურსის ჩატარების წესსა და პროცედურებზე.

როდესაც ამ საკითხებზე დაინტერესებულ პირებთან გვაქვს საუბარი, მათგან მუდმივად ვისმენთ ერთ შეკითხვას: რა აუცილებელია კონკურსის ორგანიზება, შესაძლებელია თუ არა ქონება ამ პროცედურის გარეშე იქნეს გაცემული? საქართველოში დღეს მოქმედი კანონმდებლობით – შეუძლებელია (გარდა იმ შემთხვევისა, თუ არსებობს საქართველოს მთავრობის ნებართვა). კანონმდებლობა ადგენს, რომ **„ქონების კონკურსის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის მიზანია ქონებაზე სარგებლობის უფლება გადაეცეს იმ პირს, რომელიც ქონების სარგებლობის უფლებით გამცემს ყველაზე უკეთეს პირობებს შესთავაზებს“.**

ასე და ამგვარად, სრულიად მარტივია კანონმდებლობის ლოგიკა, მას თქვენთვის სწორედ რომ კარგი სურს, თუმცა ყოველივე კარგის უხარვეზოდ მოსაპოვებლად კანონმდებლობის მოთხოვნათა ზედმიწევნითი დაცვაა აუცილებელი. თუკი განვიზრახეთ მივაღწიოთ შედეგს, რომელიც იმდენად იქნება ხარისხიანი, რამდენადაც ჩვენ გვსურს, მაშინ უნდა მივყვეთ შემდეგ პროცედურებს:

■ მართალია, სამოქალაქო კანონები უზრუნველყოფენ საქართველოს ტერიტორიაზე სამოქალაქო ბრუნვის თავისუფლებას, მაგრამ საჯარო სფეროში სახელმწიფოს მიერ დაწესებული თავისებურებები აუცილებელია გასათვალისწინებლად და შესასრულებლადაც. სწორედ ამიტომ, კანონმდებლობა ადგენს, რომ უძრავი ქონების კონკურსის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემა ფიზიკური, კერძო სამართლის იურიდიული პირებისა და საერთაშორისო ორგანიზაციისათვის შეიძლება მხოლოდ ვადით და მხოლოდ სასყიდლით. ასეთ შემთხვევაში გამონაკლისის დაშვება მოსარგებლეს არ შეუძლია;

■ კონკურსის ორგანიზებისა თუ ზოგადად უძრავი ქონების გაცემის პროცედურებთან დაკავშირებით, მუდმივად გაისმის შეკითხვა – ვინ და როგორ უნდა დაადგინოს გასაცემი ქონების ფასი? ამ კითხვაზე ყოველთვის არსებობდა და დღესაც არსებობს პასუხი. დღეის მდგომარეობით ამ ქონებით **„სარგებლობის საწყის ფასს განსაზღვრავს სარგებლობის უფლებით გამცემი“**. აქ ყურადღება უნდა მივაქციოთ ერთ გარემოებას – ფასი, რომელიც ჩვენ ვახსენეთ, არ არის ქონების ფასი, იგი ამ ქონების დროებით სარგებლობაში კონკურსის ფორმით გაცემისას ქონების საწყის ფასს წარმოადგენს. შესაბამისად იგულისხმება, რომ თუ ჩვენ გვაქვს ქონების საწყისი ფასი, შესაძლებელია მოხდეს საწყისი ფასის ზრდა, თუნდაც პოტენციური დამქირავებლის თუ მოიჯარის წინადადებით, კონკურენციის პირობებში. ამავე დროს უნდა გავითვალისწინოთ, რომ რაიმე გაურკვევლობებისაგან თავის დაცვის მიზნით, საწყისი ფასი (მისი ოდენობა) უნდა შევათანხმოთ (ამას პროცედურაც ითვალისწინებს) ქონების მესაკუთრესთან – საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთან, მისგან წერილობითი თანხმობის მიღების პროცესში.

■ ამ საკითხების განხილვისას ხშირად მოგვისმენია შეკითხვა – როდის უნდა გამოვაქვეყნოთ ინფორმაცია კონკურსის ჩატარების შესახებ და როდის ჩავატაროთ უშუალოდ საკონკურსო დღისთვის გაწერილი პროცედურები? ჩვენ გაგცემთ პასუხს, არა მხოლოდ ამ აქტუალურ შეკითხვაზე, არამედ იმაზეც, თუ როგორ და რა ინფორმაცია უნდა გამოვაქვეყნოთ საჯაროდ, რომ დაცულ იქნეს კანონმდებლობის ყველა მოთხოვნა. ინფორმაცია კონკურსის ფორმით უძრავი ქონების გაცემის თაობაზე დაწესებულებამ უნდა გამოაქვეყნოს თავად კონკურსის ჩატარების თარიღამდე (საკონკურსო დღემდე), არანაკლებ 30 კალენდარული დღით ადრე. ეს ინფორმაცია უნდა გამოქვეყნდეს დაწესებულების ოფიციალურ გამოცემაში (თუ ასეთი არსებობს), პრესის ისეთ სახეობაში, რომელიც ვრცელდება საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილში ან ადგილობრივ პრესაში და განთავსდება ინტერნეტგვერდზე (თუ ასეთი დაწესებულებას გააჩნია). ინფორმაცია ასევე გადაიცემა საზოგადოებრივი ტელევიზიით. ამასთანავე, შეიძლება სხვა საინფორმაციო საშუალებების გამოყენება.

■ აღნიშნული ნორმა ძალიან მკაცრია და აქვს ინფორმაციის გამოქვეყნების ისეთი პირობები, რომელთა შესრულება დაწესებულების მიერ საკმაოდ რთულია. ამავე დროს აღსანიშნავია, რომ ნორმა, რომელიც ასეთ პირობებს ადგენს, სხვა მიზნითაა შექმნილი, კერძოდ იგი „სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმას წარმოადგენს და კონკურსის ჩატარების შესახებ ნორმატიული აქტი, სამართლებრივი მითითების გზით, გვავალებს მის გამოყენებას. ამ ფაქტორებიდან გამომდინარე, ჩვენი აზრით, მაკონტროლებელი ორგანოს მიერ ამ ნორმის სრულყოფილად შესრულების საკითხისადმი უნდა არსებობდეს შედარებით ლოიალური მიდგომა, ვინაიდან მისი სრულად დაცვა საკმაოდ დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული (თუ მხედველობაში მივიღებთ დაწესებულებების დანახარჯების სიდიდეს). ამავე დროს, არც თავად ეს ნორმა არის მკაცრი მხოლოდ იმ საკითხში, რასაც გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის პრესაში გამოქვეყნება ჰქვია. კერძოდ, იგი გვაძლევს არჩევანის საშუალებას – გამოვაქვეყნოთ ინფორმაცია პრესის ისეთ სახეობაში, რომელიც ვრცელდება საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილში თუ ადგილობრივ პრესაში. რაღა თქმა უნდა, ვინაიდან ნორმა გვაძლევს არჩევანის საშუალებას, კონკურსის თაობაზე ინფორმაციის გამოქვეყნება ადგილობრივ პრესაში უფრო მიზანშეწონილად მიიჩნევა დაწესებულებების მიერ, რასაც პრაქტიკაც ადასტურებს.

■ ამავე საკითხს უკავშირდება უკვე გამოქვეყნებულ ინფორმაციაში ცვლილებების საკითხი. კერძოდ, იმ შემთხვევებში, თუ დაწესებულებამ გადაწყვიტა შეცვალოს გამოცხადებული კონკურსის რაიმე პირობა, იგი ვალდებულია, ეს ცვლილება აცნობოს კონკურსის მონაწილეებს, მაგრამ თუ მათი ოდენობა ათს აღემატება, მაშინ დაწესებულება ვალდებული ხდება, შეატყობინოს ცვლილებები დაინტერესებულ პირებს იმ საშუალებით, რა საშუალებითაც გამოაცხადა კონკურსი.

■ მნიშვნელოვანია ვიცოდეთ ის ინფორმაცია, რომელიც უნდა გამოვაქვეყნოთ ზემოაღნიშნული წესით: კონკურსის ფორმით ქონების სარგებლობის უფლებით გამცემის დასახელება; კონკურსის პირობებისა და გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები; სარგებლობის უფლებით გადასაცემი ქონების დასახელება (დახასიათება); განაცხადის (მტკიცდება დაწესებულების ხელმძღვანელის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე) მიღების დაწყების, დამთავრებისა და კონკურსის ჩატარების ვადა; კონკურსში მონაწილეთა წინადადებების შემცველი კონვერტის გახსნის თარიღი, დრო და ადგილი (წინადადებები დალუქული კონვერტით); „ბეს“ ოდენობა, რომელსაც განსაზღვრავს კონკურსის ფორმით ქონების სარგებლობის უფლებით გამცემი; განაცხადის მიღების ადგილი, მისამართი, საკონტაქტო ტელეფონი, ფაქსი, ელექტრონული ფოსტის მისამართი; ყველა სხვა ინფორმაცია, რომელსაც კონკურსის ფორმით ქონების სარგებლობის უფლებით გამცემი ჩათვლის მიზანშეწონილად. შესაბამისად, ვარკვევთ, რომ ეს ჩამონათვალი არ არის ამომწურავი. დაწესებულებამ მიზანშეწონილობიდან გამომდინარე შეესაძლებელია გამოაქვეყნოს დამატებითი ინფორმაცია (მაგალითად, ვინაიდან მოთხოვნილია „ბეს“ გადახდა და ამის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა, მიზანშეწონილია გამოქვეყნდეს დაწესებულების საბანკო ანგარიშის ნომერი და სხვ.).

■ შესაბამისად, დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ გამოქვეყნებული ინფორმაციის შესაბამისი დოკუმენტები და ასევე დაინტერესებული პირის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები (ფიზიკური პირის შემთხვევაში); კერძო სამართლის იურიდიული პირი დამატებით წარადგენს შესაბამისი რეესტრიდან ამონაწერს, ხოლო საერთაშორისო ორგანიზაცია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შესაბამის დოკუმენტაციას; ნოტარიალურად დამოწმებული მინდობილობა, თუ პირი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

■ ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდგომ დაწესებულება იღებს დაინტერესებული პირების განაცხადებს მოთხოვნილი დოკუმენტაციის დართვით. განაცხადები მიიღება და რეგისტრირდება მათი შემოტანის თარიღისა და საათის მიხედვით, კონკურსის ჩატარებამდე ბოლო 30 კალენდარული დღის განმავლობაში (თუ განაცხადის მიღების ბოლო დღე ემთხვევა დასვენების ან უქმე დღეს, მაშინ განაცხადი მიიღება მომდევნო სამუშაო დღეს). მხოლოდ განაცხადების წარმატებით რეგისტრაციისა და რაიმე ხარვეზის არარსებობის შემთხვევაში, განმცხადებელს ეძლევა კონკურსანტის სტატუსი.

■ **რა შემთხვევაში არ მონაწილეობს კონკურსანტი კონკურსში?** ამ გადაწყვეტილების მიმღები ორი სუბიექტი არსებობს, პირველი თავად კონკურსანტია – მას უფლება აქვს, განაცხადის მიღების ვადის დასრულებამდე, „ბეს“ დაუკავებლად, წერილობით უარი განაცხადოს კონკურსში მონაწილეობის შესახებ, ხოლო რეგისტრატორი ახდენს განაცხადის გამოთხოვის ფაქტის დარეგისტრირებას. მეორე სუბიექტი დაწესებულებაა, ვინაიდან განმცხადებელს შეიძლება უარი ეთქვას კონკურსში მონაწილეობაზე, თუ: განაცხადის წარმდგენი პირი, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, არ შეიძლება ცნობილ იქნეს ქონების სარგებლობის უფლებით მიმღებად ან/და თუ განაცხადი შეტანილია დარღვევებით.

■ ყოველივე ზემოაღნიშნულ და მომდევნო პროცედურებსაც ესაჭიროება საკონკურსო კომისია. კონკურსის ფორმით ქონების სარგებლობის უფლებით გამცემი, ქონების კონკურსის წესით გაცემისას, ქმნის საკონკურსო კომისიას. კომისია იქმნება დაწესებულების ხელმძღვანელის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, რომლითაც ასევე განისაზღვრება კომისიის შემადგენლობა. კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება 5 წევრით. გადაწყვეტილება მიიღება კომისიის წევრების ხმათა უმრავლესობით. კომისია ორგანიზებას უწევს კონკურსის ჩატარებას, იღებს განაცხადებს, სპეციალურად ამისათვის დანიშნულ დღეს იხილავს საკონკურსო წინადადებებს, იღებს გადაწყვეტილებას გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ.

■ საკონკურსო კომისიის ძირითადი და ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქციაა, საკონკურსო კრიტერიუმებზე დაყრდნობით გამარჯვებულის გამოვლენა. კომისია ამ გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი აქტის საფუძველზე, რომელიც მტკიცდება დაწესებულების ხელმძღვანელის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

■ **როგორი პროცედურით იღებს კომისია ამ გადაწყვეტილებას?** კომისიის მიერ დადგენილ დროს იხსნება კონვერტები. კონვერტების გახსნის შემდეგ დგინდება წარდგენილი დოკუმენტების შესაბამისობა კონკურსის პირობებთან. თუ მონაწილის მიერ წარდგენილი დოკუმენტები არ პასუხობს კონკურსის პირობებს, იგი არ დაიშვება კონკურსში და ეს ფაქტი აღინიშნება შესაბამის აქტში. კონკურსის მონაწილესა და მის უფლებამოსილ წარმომადგენელს უფლება აქვთ დაესწრონ მხოლოდ კონვერტის გახსნას. კონკურსის მონაწილეთა წინადადებებს კომისია განიხილავს მათი დასწრების გარეშე, რის შედეგადაც იღებს გადაწყვეტილებას.

■ კომისია კონკურსის მონაწილეთა წინადადებებს განიხილავს გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმებიდან გამომდინარე. კონკურსის გამარჯვებულად ცხადდება საუკეთესო წინადადებების წარმდგენი მონაწილე, რომლის წინადადება აკმაყოფილებს კონკურსის პირობებსა და კრიტერიუმებს. თუ კომისიის მიერ შერჩეულ მონაწილეთა შეთავაზებული პირობები იქნება იდენტური, მაშინ კომისია დამატებით განუსაზღვრავს მათ 10 სამუშაო დღის ვადას დამატებითი პირობების წარსადგენად.

■ კომისია კონკურსის გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ გადაწყვეტილებას აცხადებს კონვერტის გახსნიდან არა უგვიანეს 5 სამუშაო დღის განმავლობაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გამარჯვებული უნდა გამოვლინდეს დამატებითი პირობების წარსადგენად შესაბამისი ვადის ამოწურვიდან არა უგვიანეს 5 სამუშაო დღისა. გადაწყვეტილება უნდა შეიცავდეს: სარგებლობის უფლებით გასაცემი ობიექტის დასახელებას (დახასიათებას); კონკურსის ფორმით ქონების სარგებლობის უფლებით გამცემის დასახელებას; მონაცემებს კონკურსის მონაწილეთა შესახებ; კონკურსის მონაწილეთა წინადადებებს დანართების სახით; კონკურსის გამარჯვებულის დასახელებას; ქონებით სარგებლობის კონკურსის შედეგად დადგენილ ფასსა და ვადას; კონკურსის შედეგად დადგენილი ინვესტიციების მოცულობას და მისი განხორციელების ვადებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში). კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ეგზავნება ყველა მონაწილეს, ხოლო კონკურსის გამარჯვებულს – შეტყობინება ხელშეკრულების გასაფორმებლად.

■ სხვა გადაწყვეტილებები, რომლებიც შეესაძლოა მიღებულ იქნეს კონკურსის პროცედურების დროს – კონკურსი ითვლება არშემდგარად, თუ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან დადგენილ ვადაში არ იქნა შეტანილი არც ერთი განაცხადი ან წარდგენილი განაცხადებიდან არც ერთი არ აკმაყოფილებს კონკურსის პირობებს, ამ შემთხვევაში კომისია იღებს გადაწყვეტილებას კონკურსის არშემდგარად გამოცხადების შესახებ. ქონების სარგებლობის უფლებით აღებული ქონების სარგებლობის მიზნით შეტანილი „ბე“ ქონების სარგებლობის უფლებით მიმღებს ეთვლება ანგარიშსწორების დროს. ყველა დანარჩენ მონაწილეს, შედეგების გამოცხადებიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში, მოთხოვნის საფუძველზე „ბე“ უკან უბრუნდება.

ყოველივე ზემოაღნიშნული წარმოადგენს იმ ძირითად პროცედურებს, რომლებიც ერთიანობაში ქმნიან კონკურსს. თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ როგორც კონკურსის ისე აუქციონის ფორმით ქონების გაცემის პროცედურების დამასრულებელი რგოლია წერილობითი დოკუმენტის (ხელშკრულების) გაფორმება ქონების გამცემსა და მიმღებს – კონკურსში თუ აუქციონში გამარჯვებულს შორის. კონკურსის შემთხვევაში ხელშკრულება უნდა გაფორმდეს კონკურსის შედეგების დამტკიცებიდან არა უგვიანეს 30 კალენდარული დღისა, რისი ვალდებულებაც კონკურსში გამარჯვებულს აქვს. ხელშეკრულების სავალდებულო პირობებსა და შინაარსზე შემდგომში გვექნება საუბარი.

წერილს დავასრულებთ ერთი ვალდებულებით, რომელიც თითქოს სრულიად უწყინარი და ადვილი, თუმცა შესასრულებლად სავალდებულოა – დაწესებულება უძრავი ნივთის კონკურსის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ ინფორმაციას, ქონების გადაცემიდან 1 თვის ვადაში, წარუდგენს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს. აქ კიდევ ერთხელ გვახსენდება, რომ მიუხედავად დაწესებულების ასეთი დიდი უფლებებისა, რომელიც მას აქვს ქონებაზე, ამ ქონებას ჰყავს მესაკუთრე, რომლის წინაშეც დაწესებულება პასუხს აგებს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

MES-EXPERT

თქვენი შეხედულებით პრობლემატური კითხვების დასმა და კონკრეტული სატრენინგო თემების მოთხოვნა შესაძლებელია ქვემოთ მითითებული ელფოსტის მეშვეობით, ასევე „მ.ე.ს.–ექსპერტის“ დირექციასა და გაზეთ „ახალი განათლების“ რედაქციასთან სატელეფონო კონტაქტით.

ინფორმაცია ჩვენ შესახებ

საკონსულტაციო/ანალიტიკური ჯგუფის – „მ.ე.ს.–ექსპერტი“ ძირითად მიზანს წარმოადგენს საჯარო სკოლების საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში ფუნქციონირების ხელშეწყობა.

აღნიშნულ პროექტში მონაწილეობის გარდა თქვენ ასევე შესაძლებლობა გაქვთ, პირადი მოლაპარაკების საფუძველზე, მიიღოთ შემდეგი სახის მომსახურება:

■ ფინანსური/იურიდიული საქმიანობის ანალიზი (სრული დოკუმენტური შემოწმება);
■ იურიდიული მომსახურება – ერთჯერადი და მიმდინარე;
■ ფინანსური მომსახურება (ურთიერთობა შესყიდვების სააგენტოსთან და სხვ.) – ერთჯერადი და მიმდინარე;
■ აუდიტი (უძრავ/მოძრავი ქონების, საიჯარე ფართისა და პირობების შეფასება და სხვ.);
■ საკონსულტაციო მომსახურება;
■ ტრენინგების შეკვეთა და სხვ.

ჩვენი ელფოსტის მისამართია: mes_expert@yahoo.com
საკონტაქტო ტელეფონები:
8(99) 92 25 95 – გიორგი ტრაპაიძე, 8(99) 30 52 55 – რევაზ გულარაშვილი

განათლების რეფორმა

სკოლების რეიტინგების სისტემა – განათლების რეფორმის ახალი ინიციატივა

სიმონ ჯანაშია

პირველი გვერდიდან

ტერმინოლოგია

იმისთვის, რომ სისტემა ან ინსტიტუციური მოწყობა სფეროში მოღვაწე ადამიანებისთვის ან საერთაშორისო საზოგადოებისთვის გასაგები და თარგმნადი იყოს, მნიშვნელოვანია, რომ მას სწორედ ის სახელი ერქვას, რაც მის შინაარსს ასახავს და რაც ამ დარგის სპეციალისტების მიერ გამოიყენება. ტერმინი „ბრენდინგი“ ეწოდება იმ პროცესს, რომლის ფარგლებშიც რაიმე პროდუქტის სახელის, სამარკო ნიშნის, სიმბოლოს ან ზოგადად დიზაინის შემუშავება ხდება. ამ პროცესის საბოლოო მიზანია, რომ პროდუქტს ისეთი სახე მისცეს, რაც განასხვავებს მას სხვა პროდუქტისგან. ინტერვიუებში დასახელებული პროცესის მიზანი არა იმდენად სკოლების უნიკალური გარეგნული სახის შექმნაა მათი შემდგომი მარკეტინგის მიზნით, არამედ მათი შეფასება გარკვეულ კრიტერიუმებთან მიმართებაში და შეფასების დონეების მიხედვით ამ სკოლების რანჟირებაა. ვარსკვლავების ხსენებაც ამ კონტექსტში სწორედ ამ მიზნებზე მიგვანიშნებს. ასეთ პროცესს ყველგან, სადაც კი არსებობს (მათ შორის სასტუმროებისა და რესტორნების ბიზნესის სფეროშიც), რეიტინგების შედგენა, ანუ რეიტინგების სისტემა ჰქვია.

პრობლემა – სკოლების არჩევანი

რეიტინგის სისტემა, როგორც სკოლებს შორის კონკურენციის შექმნის საშუალება, ეფექტური იქნება იმ შემთხვევაში, თუ მშობლებს მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით უკეთესი სკოლის არჩევის შესაძლებლობა ექნებათ. რამდენად არსებობს ასეთი შესაძლებლობა საქართველოში? საქართველოში 2500-მდე სკოლაა. აქედან 2150 საჯარო დაწესებულებაა. ამ დაწესებულებების დაახლოებით ნახევარი ისეთ დასახლებაში ფუნქციონირებს, სადაც სხვა საგანმანათლებლო ინსტიტუცია არ არსებობს, მობილობის შესაძლებლობები კი საკმაოდ მცირეა. შესაბამისად, მშობელსაც ასეთ პირობებში არჩევანი პრაქტიკულად არ აქვს. საკმაოდ ბევრია ისეთი დასახლება, სადაც მხოლოდ ორი ან სამი სკოლა არსებობს. ზოგ შემთხვევაში ამ დასახლებებში სკოლები განსხვავდება სწავლების ენის მიხედვითაც (ქართულენოვანი და არაქართულენოვანი სკოლები), რაც იმას ნიშნავს, რომ სკოლების აბსოლუტური რაოდენობა შეიძლება ერთზე მეტი იყოს, მაგრამ რეალური არჩევანი მაინც არ არსებობდეს. შესაბამისად, რეიტინგების სისტემის წარმატება, სკოლებს შორის კონკურენციის კუთხით, საქართველოს სკოლების მხოლოდ მცირე ნაწილში არის შესაძლებელი.

პრობლემა – მონაცემების ვალიდურობა და სანდოობა

რეიტინგის დასადგენი კრიტერიუმების შინაარსი განათლების სისტემაში არსებულ ორიენტირებს განაპირობებს. მაგ., თუ ტესტირებების საფუძველზე მიღებული ქულები მნიშვნელოვანი დეტერმინანტია სკოლის წარმატებულობის შეფასებისთვის, ეს აუცილებლად იწვევს სასწავლო პროცესის მორგებას ტესტებისთვის სწავლებაზე. ასეთ შემთხვევებში ხშირია სიტუაცია, როდესაც მასწავლებლები ზედმეტად დიდ დროს უთმობენ ტესტების კრებულებში მოცემული სავარჯიშოების შესრულებას. ეს ხშირად მნიშვნელოვანი მაღალი დონის კოგნიტური და ასევე სოციალური უნარების განვითარებაზე მასწავლებლების მხრიდან ყურადღების შესუსტებას იწვევს, რაც ნიშნავს იმას, რომ მონაცემები იმას კი აღარ ზომავს სინამდვილეში, რაც წარმატებულად მიგვაჩნია, არამედ იმას, რისი შეგროვებაც გვიადვილდება დახვეწილი მეთოდების არარსებობის შემთხვევაში.

მონაცემების შეგროვების მეთოდი ბევრ ქვეყანაში განაპირობებს იმას, თუ რამდენად აქვს შესაძლებლობა სისტემას, რომ ხარისხის გაუმჯობესების გარეშე უკეთესი შედეგები აჩვენოს. მაგალითისთვის, ბევრგან, სადაც ასეთი სისტემა გამოსცადეს (აშშ, ბრიტანეთი), ერთ-ერთი ძირითადი კრიტერიუმი იყო მოსწავლეების მიღწევები, რომლებიც მასწავლებლების მიერ დაწერილ ნიშნებში გამოიხატებოდა. აქ ერთ-ერთი შედეგი ნიშნების ხშირი ინფლაცია და ორგანიზებული გაყალბებაც იყო.

პრობლემა – მოტივაცია

რეიტინგების მსგავსი სისტემები მნიშვნელოვნად ცვლის სკოლის ცხოვრებაში ჩართული პირების მოტივაციას. ზოგ შემთხვევაში, შედეგად გვაქვს მოტივაციის დადებითი მიმართულებით ცვლა, ზოგჯერ კი პირიქით. ეს ხშირად საგანმანათლებლო ბაზრის შემოთავაზებაზე და რეიტინგის შედეგებზეა დამოკიდებული.

როდესაც საგანმანათლებლო ბაზარი მცირეა, ხოლო სკოლა ცუდ შეფასებას იმსახურებს, ეს, ხშირ შემთხვევაში, მოსწავლეების მოტივაციის კლებას იწვევს. შესწავლილია, რომ დაბალი შეფასების მქონე სკოლებში მოსწავლეებს ნაკლები რწმენა აქვთ იმის, რომ საგანმანათლებლო პროცესს შესაძლოა მათთვის რაიმე მნიშვნელოვანი წარმატების მოტანა შეუძლია. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეებს სხვა არჩევანი არ აქვთ და იძულებულები არიან, სწავლა ამ სკოლაში გააგრძელონ, ეს სულაც არ განაპირობებს მაინცდამაინც ხარისხის მოთხოვნების გაჩენას ან რაიმე სახით სკოლის გაუმჯობესების პროცესში ჩართვას, როგორც ეს ერთი შეხედვით თავისთავად ცხადად გვეჩვენება ხოლმე.

ერთი შეხედვით, იქაც კი, სადაც კონკურენცია არ არსებობს, რეიტინგის საფუძველზე სკოლის დაბალი დონის გამოაშკარავება გამოიწვევს ერთგვარ კრიზისს, რომელიც ცვლილებების კატალიზატორი გახდება. ამ საკითხთან დაკავშირებით ლიდერობისა და ცვლილებების საკითხების მკვლევარს, ალან დოიჩმანს (Deutschman 2005) საინტერესო მაგალითი მოყავს. მის სტატიაში აღწერილია პრობლემა, რომელიც შემდეგში მდგომარეობს: როდესაც ადამიანებს ეკითხები, შეცვლიან თუ არა თავიანთ ქცევას თუ ამის ალტერნატივა სიკვდილი იქნება, თავისთავად ცხადია, რომ უმეტესობა ცვლილებებისკენ იხრება. განა სიკვდილის საფრთხეზე უფრო მეტი მამოტივირებელი კრიზისი რა უნდა იყოს იმისთვის, რომ ადამიანმა საკუთარი ქცევა შეცვალოს? თუმცა, როდესაც საკითხს კონკრეტულ კონტექსტში შევისწავლით, ირკვევა, რომ ადამიანების დიდი ნაწილი სიკვდილის შიშის წინაშეც კი არ იცვლება. რამდენიმე მნიშვნელოვანი კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ადამიანების 90%, რომლებსაც კარდიოლოგიური ოპერაციები აქვთ გადატანილი და იციან, რომ ცხოვრების წესის შეცვლის გარეშე მათ ადრეული სიკვდილი ემუქრებათ, თავიანთ ქცევას საფრთხის მიუხედავად არ ცვლიან. როგორც ჩანს, კრიზისი საკმარისი არ არის იმისთვის, რომ ადამიანებს ცვლილებებისთვის სათანადო მოტივაცია გაუჩინოს.

პრობლემა – ინკლუზია

საყოველთაო განათლების ერთ-ერთი მთავარი მიზანია, ყველა მოქალაქეს შეუქმნას განათლების მიღების ისეთი პირობები, რომელიც საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალური განვითარების საშუალებას მისცემს. ამ წინადადებაში „ყველა“ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სიტყვაა. ეს გულისხმობს იმას, რომ ნებისმიერი სისტემა, რომლის შემოღებასაც ჩვენ ვგეგმავთ, ამ ჭრილშიც უნდა იყოს შეფასებული. რა ხდება იმ შემთხვევაში, თუ სკოლაში პრობლემური მოსწავლეები გვყავს და ამავდროულად ამ სკოლამ წარმატება უნდა გვაჩვენოს რაიმე საყოველთაო შეფასების სისტემაში? ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენადაა გაცნობიერებული სარეიტინგო კრიტერიუმების შედგენისას სავარაუდო პრობლემები. შესწავლილია, რომ იქ, სადაც ასეთი პრობლემების გათვალისწინება არ მომხდარა, სკოლები დაინტერესებულები ხდებიან პრობლემური მოსწავლეების (რომლებიც განსაკუთრებულ ყურადღებას/ძალისხმევას საჭიროებენ) თავიდან მოშორებაში, რეიტინგში უკეთესი შედეგების ჩვენების სანაცვლოდ. იქ, სადაც ასეთი მოსწავლეების სასწავლო შედეგების გათვალისწინებაც ხდება, სხვაგვარი პრობლემები ჩნდება. ხშირია, როდესაც მოსწავლეებს, რომლებსაც განსხვავებული სწავლის შესაძლებლობები ან მიდრეკილებები აქვთ, შეზღუდული შესაძლებლობების მოსწავლეების კატეგორიაში განიხილავენ. ეს კი მათ მიმართ ხშირად უფრო დაბალ მოლოდინებს განაპირობებს, რაც შესაბამისად ნაკლები განვითარების შესაძლებლობებს განაპირობებს.

პრობლემა – პოლიტიკური სენსიტიურობა

პოლიტიკოსები ხშირად გაურბიან შეფასების ისეთი სისტემის შემოღებას, რომელიც პრობლემებზე საზოგადოების განსაკუთრებულ აქცენტირებას იწვევს. სკოლების რეიტინგები ერთ-ერთი ასეთი სისტემაა. თუ შეფასება იმ იდეალებთან მიმართებაში მოხდება, რომელიც ჩვენ სკოლებისთვის გვაქვს დადგენილი, მაშინ ძალიან ბევრი სკოლა, თავისი ამჟამინდელი მდგომარეობით, შორს აღმოჩნდება საუკეთესო შესაძლებელი მაჩვენებლიდან. ასეთი შედეგების გამოქვეყნება მრავალი კუთხით არის პოლიტიკური პრობლემების შემცველი. გარდა იმისა, რომ საზოგადოების ნაწილს შეიძლება გაუჩნდეს პროტესტი იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ მდგომარეობაშია მათი შვილის სკოლა, მნიშვნელოვანია ისიც, თუ რისთვის გამოიყენებენ სხვადასხვა ავტორები რეიტინგის მონაცემებს. ჩვენთან სკოლის დირექტორებს არც თუ მნიშვნელოვანი მხარდაჭერა აქვთ, მასწავლებლებისთვის მაღალი მოთხოვნების წაყენების თვალსაზრისით. კანონმდებლობა დირექტორს აკისრებს პასუხისმგებლობას სკოლის წარმატებასა და წარუმატებლობაზე. მეორე მხრივ კი, დირექტორებს სხვადასხვა ფორმალური თუ არაფორმალური შეზღუდვები აქვთ იმასთან დაკავშირებით, რომ ცუდი მასწავლებელი სკოლიდან გაუშვან და სანაცვლოდ უკეთესი მიიღონ. აქედან გამომდინარე, ნებისმიერი გარეგანი შეფასება, რომელიც დირექტორის პასუხისმგებლობას გაამძაფრებს, სავარაუდოდ, მათთვის არასასურველი მასწავლებლების განთავისუფლებისთვის ლეგიტიმაციის ინსტრუმენტი გახდება. ეს პროცესი კი პოლიტიკური სტაბილურობის საფრთხედ აღიქმება და შესაბამისად პოლიტიკოსებს თავის ტკივილს უჩენს. იმ პირობებში, როდესაც რეიტინგების გარდა საქართველოში ცენტრალიზებული დამამთავრებელი გამოცდებისა და აგრეთვე მასწავლებლების სერტიფიცირების სისტემა ინერგება, ამ კონტექსტში საკმაოდ დაძაბულ ვითარებას ვიღებთ.

დაძაბულობის მოსახსნელად სხვადასხვა სისტემასთან მიმართებაში, ინტერვიუებში გამოითქმევა აზრი, რომ თავდაპირველად შეფასების მოთხოვნები სკოლებისა თუ მოსწავლეების მიმართ შედარებით დაბალი იქნება. მომავალში კი, ამ მოსაზრებით, მოთხოვნები გაიზრდება. პრობლემა სკოლების რეიტინგებთან მიმართებაში ისაა, რომ ასეთი პროცესის დაგეგმვა და განხორციელება არარეალისტურია, რადგან მოთხოვნების თანდათანობითი ზრდა ხშირად სულაც არ იწვევს სწავლის შედეგების ზრდას. მაგ., მასაჩუსეტსის შტატში, სადაც მსგავსი სისტემის დანერგვა სცადეს, ბოლო 10 წლის განმავლობაში, ამ პროცესის შედეგად სულ უფრო მეტი სკოლა დაბალი შეფასების კატეგორიაში მოექცა. მოთხოვნები იზრდებოდა, მაგრამ სკოლები ამ მოთხოვნებს ვერ ეწეოდნენ. რეალურად ამან შეფასების ამგვარი სისტემის გაუქმების საფუძველი მოამზადა.

პოლიტიკური პრობლემაა არასათანადო შედეგების გამო სკოლის დახურვაც. მსგავსი პრობლემა მხოლოდ საქართველოში არ გვხვდება. პოლონელი ექსპერტის, იან გზერჟინსკის აღწერით, მის მშობლიურ ქალაქში ორი სკოლა იყო. აქედან ერთი, სხვადასხვა შეფასებით, გაცილებით უკეთესი იყო მეორეზე. მოსწავლეებიც უარესი სკოლიდან უკეთესში გადადიოდნენ. მიუხედავად იმისა, რომ უარეს სკოლაში ძალიან მცირე რაოდენობის მოსწავლეები დარჩნენ, სახელმწიფო (ადგილობრივი ხელისუფლება ამ კონკრეტულ შემთხვევაში) მაინც არ ხურავდა ამ სკოლას, რადგან გადაწყვეტილებების მიმღებებს არ უნდოდათ, რომ მათი შვილების უკეთეს სკოლაში ყველა ის ბავშვი გადმოსულიყო, რომელიც უარეს სკოლაში სწავლობდა. ბავშვების გადმოსვლასთან ერთად საჭირო გახდებოდა ასევე მასწავლებლების დამატება, რომელთა რეკრუტირება, არასაკმარისი რესურსების გამო, ისევ უარესი სკოლიდან უნდა მომხდარიყო. ჩვენთან სკოლების ოპტიმიზაციის პროცესმა საკმაოდ მტკივნეულად ჩაიარა. 2004-07 წლებში ხუთასზე მეტი სკოლა მიუერთდა სხვას იმის გამო, რომ მცირეკონტინგენტიანი იყო. მიუხედავად იმისა, რომ ეს ძალიან დიდ ფინანსურ ეფექტს იძლევა, თუნდაც მხოლოდ ინფრასტრუქტურის კუთხით, დანახარჯები რომ დავთვალოთ, 2007 წლის პოლიტიკური არასტაბილურობის შემდეგ არა ერთი უარყოფითი შეფასება გაკეთდა ნაციონალური მოძრაობის ლიდერების მხრიდან იმის შესახებ, რომ სკოლების დახურვა შეცდომა იყო. ეს პროცესი, ცხადია, უკავშირდება მრავალი ადამიანის მიერ სამსახურის დაკარგვას, რაც დღევანდელი ქართული პოლიტიკისთვის ისეთივე მისაღები არ არის, როგორც ეს ვარდების რევოლუციის უახლოეს პერიოდში იყო.

რეიტინგები მნიშვნელოვანი ინდიკატორი ხდება ხოლმე პოლიტიკის განმახორციელებლების საქმიანობის შეფასებისთვის. აქ კი პრობლემა ისაა, რომ რეიტინგის გამომყენებლების უმეტესობას არ ესმის, რომ ხარისხობრივ ცვლილებებს მნიშვნელოვანი დრო სჭირდება, ხოლო სისტემის ცვლილებების შეფასებას კომპლექსური ანალიზი. სწორედ ამის გამო, სახელმწიფო ხშირად საკუთარი ინსტრუმენტის მძევალი ხდება და ამომრჩევლების გულის მოსაგებად ასეთ, რეიტინგების/შეფასებების სისტემებს განზრახ ისე აწყობს, რომ გაუმჯობესება უფრო სწრაფად გამოჩნდეს, ვიდრე ეს შესაძლებელია, ან გაუარესება არ ჩანდეს. ხელისუფლების ცვლილებამ კი შესაძლებელია სისტემის გაუქმებაც კი გამოიწვიოს, იმისთვის, რომ წინა ხელისუფლების აღებული პასუხისმგებლობები მომავალზე არ გავრცელდეს. მასაჩუსეტსის მაგალითი სწორედ ამაზე მეტყველებს.

განათლების რეფორმა

რეკომენდაცია – თანამშრომლობის ხელშეწყობა

სიკვდილის შიშის წინაშეც კი რომ არ ცვლიან ადამიანები საკუთარ ქცევას, არ ნიშნავს, რომ სხვა უფრო ეფექტური გზა არ არსებობს ცვლილებების ხელშეწყობისთვის. იმავე კვლევამ, რომელმაც შიშის არაეფექტურობა დაადგინა, ამ მიმართებაში გვაჩვენა, რომ ადამიანების უმეტესი ნაწილი თავის ქცევას ცვლის, თუ რეგულარულად მონაწილეობს ჯგუფურ შეხვედრებში, სადაც მას საშუალება აქვს თავის ქცევასა და ცხოვრებისეულ პრობლემებზე რეფლექსია გააკეთოს. კანადელი განათლების სპეციალისტი მაიკლ ფულანი (Fullan 2007), რომელსაც მე ამ მაგალითს დავესესხე, ამ და სხვა კვლევების საფუძველზე მიიჩნევს, რომ განათლების სფეროშიც მსგავსი მიდგომა უმეტეს შემთხვევებში ქცევის დადებით ცვლილებებს იწვევს. თუ სკოლების წარმომადგენლების ერთმანეთთან დაკავშირებას შევძლებთ და ჰორიზონტალური ურთიერთობების საფუძველზე პრობლემების გადაჭრის გზებზე ვამსჯელებთ, დიდია ალბათობა, რომ უკეთეს შედეგს მივიღებთ, ვიდრე მათი შეშინებით (თუნდაც კონკურენტულ გარემოში მოსწავლეების დაკარგვით).

ის, რომ სკოლის დირექტორებს დღეს ურთიერთთანამშრომლობის ნაკლებობა უფრო აქვთ, ვიდრე კონკურენციის, ჩვენი ადგილობრივი კვლევითაც დასტურდება. განათლების მართვის პროექტი, რომელიც USAID და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი მუშაობით მიმდინარეობს, სხვა მიზნებთან ერთად, სკოლის დირექტორების სატრენინგო კურსების შემუშავებასაც ისახავს. ჩატარდა სკოლის დირექტორების საჭიროებების კვლევა, რომელმაც აჩვენა, რომ მათი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წუხილი პროფესიული გარემოს ნაკლებობაა. დადგინდა მათი მკვეთრად გამოხატული მოთხოვნილება, რომ საკუთარი მიღწევები და პრობლემები თავიანთ კოლეგებს გაუზიარონ.

ამის გათვალისწინებით, შესაძლებელია რეიტინგების სისტემის იმგვარად შემუშავება, რომ ეს სკოლებს შორის კონკურენციის ნაცვლად, ან კონკურენციასთან ერთად, ურთიერთთანამშრომლობას ნიშნავდეს. ეს შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ სკოლის განვითარების გრანტებს შემოვიღებთ. მსგავსი გრანტები შესაძლოა გაიცემოდეს სკოლების წყვილებზე. გრანტის მიმღები იქნებოდა ის სკოლა, რომელსაც დაბალი შედეგები აქვს, მაგრამ მის კონსულტანტად იმუშავებდა სკოლა, რომელსაც მიღწევები აქვს რაიმე პარამეტრით.

რეკომენდაცია – შეფასების გამოყენებადობა და კომპლექსურობა

მნიშვნელოვანია, რომ შეფასება იყოს კომპლექსური და ეყრდნობოდეს ისეთ კრიტერიუმებს, რომლებიც მასწავლებლებში სწავლებისას უფრო მეტი ძალისხმევის დახარჯვის მოტივაციას გაზრდის, ხოლო სკოლის ადმინისტრაციაში გაზრდის სურვილს, რომ რაც შეიძლება მეტი მოსწავლე ჩართონ სკოლის ცხოვრებაში. მაგ., თუ შემოგვაქვს ტესტის შედეგები, ასევე მნიშვნელოვანია ტესტში მონაწილე მოსწავლეების რაოდენობაც გავითვალისწინოთ. მაგ., თუ კრიტერიუმად დაწესდება სკოლადამთავრებულებისა და ატესტატების მფლობელების შეფარდება, ასევე მნიშვნელოვანია ისეთი კრიტერიუმების გათვალისწინება, როგორიცაა კლასში ჩარჩენის მაჩვენებელი ან სკოლის მიტოვების მაჩვენებელი.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ მონაცემებს პოზიტიური გამოყენება ჰქონდეს. მაგ., აშშ-ს ზოგიერთ სასწავლო ოლქს შემოღებული აქვს ვარსკვლავების სისტემა, რომელიც გულისხმობს ოთხვარსკვლავიანი სკოლის სტატუსის მოპოვებას კონკურსის გზით. ასეთ სისტემაში ერთ, ორ და სამვარსკვლავიანი სკოლა არ არსებობს. არსებობს მხოლოდ ოთხვარსკვლავიანი სკოლები. სკოლა სტატუსს იღებს კონკურსის ფარგლებში გარკვეული ხარისხის დადასტურების შემთხვევაში. ზოგი სკოლა ამით დამატებით გრანტსაც მოიპოვებს თვითგანვითარებისთვის. თუმცა ამ მიდგომით ისე გამოდის ხოლმე, რომ ვეხმარებით ისეთ სკოლას, რომელსაც ყველაზე ნაკლებად სჭირდება დამატებითი თანხები. ამიტომ შესაძლებელია, კონკურსს ასევე მოყვეს დამატებითი შესაძლებლობები – მაგ., საგრანტო კონკურსი მათთვის, ვისაც რაღაც პერიოდის ბოლოს სურს გახდეს ოთხვარსკვლავიანი სკოლა და შემუშავებული აქვს სათანადო გზა ამის მისაღწევად.

რეკომენდაცია – ობიექტურობა

იმისთვის, რომ რეიტინგები ობიექტურ შეფასებებს ეყრდნობოდეს, ნაკლები იყოს სკოლების მხრიდან გაყალბების, ხოლო სახელმწიფოს მხრიდან კრიტერიუმებით მანიპულირების სურვილი, სასურველია, რეიტინგი სახელმწიფოსგან შედარებით დამოუკიდებელმა ორგანიზაციამ განახორციელოს. ხშირად ამას მედიის წარმომადგენლები (ტელევიზია, ჟურნალი) აკეთებენ ხოლმე. ზოგი რეიტინგი უმაღლესების წარმომადგენლების მეშვეობით კეთდება. ჩვენთანაც თუ სახელმწიფოს ექნებოდა იმის გამბედაობა, რომ ეს პროცესი გადააბაროს ნეიტრალურ მხარეს, ეს გზა გრძელვადიანი განვითარებისთვის უფრო ეფექტური იქნებოდა და რეიტინგიც უფრო მეტად საზომი ინსტრუმენტის ფუნქციას მიიღებდა. ასეთ რეიტინგს კი, სავარაუდოდ, უფრო მეტი ადამიანი ენდობა, მიუხედავად პოლიტიკური არჩევანისა და პროფესიული კუთვნილებისა.

გარდა შემფასებლის დამოუკიდებლობისა მნიშვნელოვანია, რომ ამ სისტემას შევხედოთ, როგორც კვლევის მეთოდს. რეალურად საქმე სერვისის ხარისხის კვლევასთან გვაქვს. დასავლეთში, მედიის თუ აკადემიური სფეროს წარმომადგენლები სწორედ მკვლევარების მიერ შედგენილ მეთოდოლოგიასა და ინსტრუმენტებზე დაყრდნობით ახორციელებენ შეფასებასა და რანჟირებას.

სკოლაც დაინტერესებული უნდა იყოს, რომ შეფასება ობიექტურ მონაცემებს ემყარებოდეს. ამის მისაღწევად ერთ-ერთი ფორმა არის სკოლის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საჯაროობა. მაგალითისთვის, თუ ერთ-ერთი კრიტერიუმია მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებების არსებობა სკოლაში, სკოლას ძალიან გაუჭირდება მონაცემის გაყალბება მაშინ, როდესაც ეს ინფორმაცია საჯაროდ გამოქვეყნდება. სოციალურად დაუცველებისთვის დახმარების პროგრამების რაოდენობა და ჩამონათვალი ასევე შესაძლოა რთული იყოს გასაყალბებლად, რადგან ის ინტერესთა ჯგუფები და ორგანიზაციები, რომლებიც დაინტერესებულები არიან ამ მონაცემის სისწორით უფრო მეტად შეძლებდნენ რეიტინგის პროცესის მონიტორინგში ჩართვას.

რადგან რეალურად სერვისის მიმწოდებლის რეიტინგზე ვსაუბრობთ, მნიშვნელოვანია, ამ სერვისის ხარისხის შეფასებისას მნიშვნელოვანი როლი სერვისის მომხმარებლებმა შეასრულონ. საგანმანათლებლო სერვისის ძირითადი მომხმარებელი კი სინამდვილეში მოსწავლე და მისი ოჯახია და არა საზოგადოება და სახელმწიფო. საზოგადოებას და სახელმწიფოსაც აქვთ თავ-თავიანთი ინტერესები ამ სერვისთან მიმართებაში, მაგრამ რეალურად მოსწავლე/მშობელი არის ამ სერვისის შემსყიდველი, სკოლა კი მიმწოდებელი. ამგვარ პარადიგმაში სახელმწიფო ამ შესყიდვის ხარისხზე ზრუნავს და სწორედ ამიტომ შემოაქვს რეიტინგის ინსტრუმენტი, რომელიც მიმწოდებელსა და შემსყიდველს უფრო მეტად ჩართავს ხარისხის შეფასება/გაუმჯობესების საქმეში და შესაბამისად, განაპირობებს საგანმანათლებლო ბაზრის შემოთავაზების შინაარსსა და ხარისხს. რა თქმა უნდა, სისტემა უფრო რთულია, ვიდრე ეს მხოლოდ შესყიდვა/მიწოდების გზით შეიძლება დავხატოთ, რადგან მოსწავლე შესყიდვასთან ერთად განაპირობებს კიდეც სერვისის ხარისხს საკუთარი მონაწილეობით. ამგვარი მიდგომა იმის გააზრებაში გვეხმარება, თუ ვისთვის კეთდება რეიტინგების ეს სისტემა.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, რეიტინგის სისტემის შემოღება და დანერგვა კომპლექსურ, ფრთხილ და კარგად დაგეგმილ გაზრებას მოითხოვს. ვადები, რომლებიც დასახელდა ამ სისტემის დანერგვასთან დაკავშირებით, საეჭვოს ხდის ამის შესაძლებლობას. განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ინტერვიუში ნათქვამია, რომ 2010 წლის გაზაფხულზე შესაძლებელი იქნება თბილისის მასშტაბით, ხოლო ამავე წლის შემოდგომაზე უკვე მთელ ქვეყანაში ამ სისტემის ამუშავება. ასეთი სისტემის დანერგვა, ვფიქრობ, მსგავსი სისტემების შესწავლის შემდეგ საკუთარის შემუშავების, პილოტირებისა და ამ პილოტირების საფუძველზე მიღებული ინფორმაციის ანალიზისა და სათანადო დასკვნების გაკეთების შედეგად იქნებოდა შესაძლებელი. ამაში კი, აუცილებლად უნდა იყვნენ ჩართული არა მხოლოდ სკოლების წარმომადგენლები, არამედ ისინიც, ვისაც ამ სფეროში არსებული კვლევების გამოყენებისა და ახალი კვლევების დაგეგმვის კომპეტენციები აქვთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა მივიღოთ სისტემა, რომელიც ისეთ მონაცემებს გვაწვდის, რომელთა სანდოობა დაბალია, რომლის ეფექტი არა მხოლოდ დადებითია, ხოლო გრძელვადიანი მდგრადობა კი – საეჭვო.

მასალა გამოქვეყნდა http//www.azrebi.ge-ზე

საუბრები ლიტერატურაზე

სიცოცხლის პოეზია

რუბრიკას უძღვება
თამაზ ვასაძე

გიორგი ლეონიძის პოეზიაში განსაკუთრებული ძალით არის გამოვლენილი ქართული ეროვნული მსოფლაღქმის და მხატვრული აზროვნების ერთ-ერთი ასპექტი – მიწიერი სამყაროს მშვენიერების მძაფრად მოსიყვარულე განცდა, ხორციელების კულტი, გრძნობადი ტკბობის სტიქია, ჰედონიზმი...

სამყარო გიორგი ლეონიძისთვის თავისი არსით ერთიანი, დიდი სიკეთეა, რომელსაც უყოყმანოდ უნდა მიენდო – ამას უტყუარად მოწმობს ნივთიერი სინამდვილის მრავალსახოვანი, გამოულევი და თვალისმომჭრელი სილამაზე. ამ სილამაზის ხოტბაა გიორგი ლეონიძის პოეზია. ეს არის აღფრთოვანებული მადლიერების გამოხატვა იმის გამო, რომ ასეთი მშვენიერება არსებობს და პოეტს მისი ხილვის ბედნიერება ერგო. გიორგი ლეონიძე დაუცხრომელია სილამაზის სენსუალური სისავსით აღქმაში და განსახიერებაში, გრძნობადი სილამაზით თავდავიწყებულ ტკბობაში. პოეტი თითქოს შიშობს, მისი რომელიმე ნაკვთი მხედველობიდან არ გამორჩეს.

სამყაროს პოეტური ხოტბა, აპოლოგია სახეთა სიუხვეს და ჰიპერბოლიზმს ითხოვს. გიორგი ლეონიძის ლექსი წარმოდგება არა როგორც პოეტური აზრის განვითარება, არამედ როგორც ჭარბად ხორციელი, ფერადოვანი და შუქითმოსილი სახეების დაბადება და ზრდა, გამრავლება. *„ბრწყინავს ქართლი, ვარდის ბაღი, შეფრქვეული მინანქარით, იაგუნდის წვიმა დასწვიმს, სურნელების დაჰქრის ქარი... ბრწყინავს ბაღი, ელავს ბაღი, ფირუზქარი დარხეული, ყურძნის მსხვილი იაგუნდი, ვაზი, ვარსკვლავჩახვეული“.*

გიორგი ლეონიძის პოეტური წარმოსახვა მყარად ეფუძნება ემპირიულ რეალობას. ამავე დროს იგი ამ რეალობას უჩვეულოდ ადიდებს და აძლიერებს, უჩვეულოდ ამკვეთრებს მის ვიზუალობას და ხმოვანებას. ასევე ჩვეულებრივ ადამიანურ ემოციებზე ბევრად უფრო მასშტაბურია პოეტის ვნებები. გიორგი ლეონიძის პოეტური სამყარო ძალიან ამქვეყნიურია, მიწიერია, მატერიით დატვირთული თუ სულაც გადატვირთული, მაგრამ ამასთანავე ის ამაღლებული და იდეალიზებულია. მისი რაობა შეიძლება განისაზღვროს როგორც „მატერიალისტური რომანტიზმი“ ან „წარმართული რომანტიზმი“.

მართლაც „წარმართულია“, ძველისძველია, თანამედროვე ცივილიზაციის მკვიდრისთვის უცნაურია მიწის, მიწიერების, სამყაროს მატერიალურობის ისეთი აღტაცებული, გამაღმერთებელი აღქმა, როგორიც გიორგი ლეონიძის პოეზიაშია გამოხატული.

გიორგი ლეონიძისთვის მიმზიდველი და მშვენიერია ყოველივე, რაც სისხლხორცით სავსე და სიცოცხლისუნარიანია, უხვი სასიცოცხლო ენერგიით აღჭურვილია. *„ულამაზესი მხოლოდ ის არის, ვინც ავსებულა თავის დროს ძალით – ადიდებული, დამწიფებული ყანა, მდინარე, ვენახი, ქალი... და რაც კი სუნთქავს დღეს ქვეყანაზე, რაც სიცოცხლეთი არი ცხოველი: მიწა, ფოთოლი, ღრუბლის ნაგლეჯი – შენი სიტყვების ღიმილს მოელის“.*

სიჯანსაღე, ძლიერება, ენერგიულობა სიცოცხლის ის თვისებებია, რომელთაც გიორგი ლეონიძის თვალში უპირატესი ესთეტიკური ღირებულება აქვთ. ამას უკავშირდება ყივჩაღის სახე, ბარბაროსობის პოეტიზაცია მის შემოქმედებაში. ჭარბი სასიცოცხლო ძალის გამოვლინებები ესთეტიკურად მომხიბვლელია მაშინაც, როცა ეს ძალა აგრესიულია, დამანგრეველია. *„ტრამალ და ტრამალ გამოგედევნე, შემოვამტვერე გზები ტრიალი, მცხეთას ვუმტვრიე საკეტურები, ვლეწე ტაძრები კელაპტრიანი!“.* ეს თითქოს ნიცშეს სიცოცხლის ფილოსოფიაში გამოკვეთილი ზეკაცის იდეის პოეტური ეკვივალენტია.

სიცოცხლისგან განუყოფელია ბრძოლა და ძლიერი სიცოცხლისადმი გიორგი ლეონიძის სიყვარული ბრძოლის სიყვარულსაც მოიცავს. ამით არის განპირობებული მის პოეზიაში ურთიერთშეხლის, ძლევის, დაუფლების (ან, შესაბამისად, დამარცხების, დამხობის, განადგურების) ნიშნით აღბეჭდილ ხატთა სიხშირე, სახეობრიობის მხედრული იერი.

გიორგი ლეონიძეს გამორჩეულად უყვარს ის, რაც სამყაროში ახალია, ახლადშობილი თუ ახლადაღმოცენებულია, რადგან მასში სიცოცხლე ყველაზე მეტად ღვივის. ამის გამოა, რომ სამყაროს ახალგაზრდულად ხარბი პირველაღქმა, რომელიც ამ სამყაროს აახლებს და სასიცოცხლო ძალას მატებს, მას პოეზიის აუცილებელ ნიშნად ესახება – *„სიჭაბუკე და ლექსი ერთია“.* სიყვარულიც სიჭაბუკის თანამგზავრი – მის შემოქმედებაში ჯანსაღი ვიტალური ენერგიის მოზღვავებაა, რომელიც უცნაურად არის შერწყმული სილბოსთან და სიფაქიზესთან – *„ნაზი გრიგალია“.* სიყვარული თითქოს ყოვლისშემძლედ აქცევს ადამიანს და იგი ეუფლება სამყაროს, სიცოცხლის ელვარე სილამაზის მთელ სიმდიდრეს.

გიორგი ლეონიძის პოეტური ენა, სტილი სიცოცხლის სისავსის თუ დრამატულობის მძლავრი ხორცშესხმაა. *„გელანდება ნაჯახები და გრიგალი დამჯახები მწარედ აგათრთოლებს. ცას ჯანღების აჯანყებით, სეტყვას, მბრწყინავ თოვლებს, დამდნარ ძვლებით ეგებები, მარტოხეო, ოლე!“.*

პოეტი ის არის, ვისაც ენა თავის საიდუმლოს გაანდობს და ამით სამყაროს ნამდვილი სახის დანახვის შესაძლებლობას ანიჭებს. ენის შიდახედის, სიტყვების ჩვეულებრივ შეუმჩნეველი ურთიერთკავშირის განჭვრეტას შეუძლია სამყაროს შინაგანი წყობის განჭვრეტა გაუადვილოს პოეტს, როგორც გიორგი ლეონიძისთვის განსაკუთრებულად ახლობელ რუსთაველს და ვაჟა-ფშაველას. ეს თვით გიორგი ლეონიძეზეც შეიძლება ითქვას. მკვეთრ ნაციონალურ შეფერილობასაც გიორგი ლეონიძის პოეზიას უპირველესად ენის სიცოცხლის შუაგულში შეღწევა აძლევს.

მოსწავლე შემოქმედი

„მეთერთმეტე ჟამის მუშაკები“

მარიამ კორკოტაძე,
თბილისის 158-ე საჯარო
სკოლის X კლასის მოსწავლე

ხელმძღვანელი –
ლამარა კვიტაიშვილი,
ქართული ენისა და
ლიტერატურის მასწავლებელი

მეცხრე კლასში შესწავლილ ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებებში რამდენიმე სახარებისეული ფრაზა შეგვხვდა, რომელიც იესო ქრისტეს იგავებიდან იყო მოხმობილი. საოცრად ერწყმოდა ნაწარმოების შინაარსს და უფრო დამაფიქრებელს ხდიდა მას.

„უკუეთუ ღირს რაჲმე ვარ უკუანაჲსკნელი ესე მეათერთმეტეი მოქმედი ვენაჴისაჲ.“ – ამბობს წმინდა შუშანიკი იაკობ ხუცესის ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებში „შუშანიკის წამება“.

„და დღითი-დღე აღორძნდებოდეს ძმანი, რამეთუ შეეძინებოდეს უფალსა მუშაკნი მეათერთმეტისა ჟამისანი მოქმედად ჭეშმარიტსა მას ვენაჴსა.“ – ასე ახასიათებს გიორგი მერჩულე გრიგოლ ხანძთელსა და მასთან ერთად მოღვაწე ბერებს ნაწარმოებში „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“.

სურვილი გამიჩნდა, მეთერთმეტე ჟამის მუშაკებზე უფრო მეტი გამეგო, ამიტომ დავიწყე ინფორმაციის მოძიება და სახარების კითხვა. მინდა აღვნიშნო, რომ მარიამ ღლონტის (ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი) მიერ შედგენილ და შეკრებილ მასალაში „ვენახის მუშაკები“ ამ იგავის სათქმელი საოცრად ზუსტად და გასაგებადაა ჩამოყალიბებული.

„იგავი ვენახის მუშაკებზე და მათ საზღაურზე“ მათეს სახარების მე-20 თავში გვხვდება. საინტერესო არის მიზეზი იმისა, თუ რატომ უამბო ეს იგავი უფალმა მსმენელს, თუ მე-19 თავს წავიკითხავთ, ვნახავთ, რომ ის შემდეგი სიტყვებით მთავრდება: *„ბევრნი პირველნი უკანასკნელნი იქნებიან, ხოლო უკანასკნელნი – პირველნი.“* ასევე, ამ თავში წმინდა მოციქული პეტრე ეკითხება უფალს: აი, ჩვენ მივატოვეთ ყველაფერი და გამოგყევით, რა გვექნება ჩვენ, რა გველისო? სწორედ ამ ფრაზას და შეკითხვას მოჰყვა იგავი ვენახის მუშაკებზე.

იგავში საუბარია მევენახეზე, რომელმაც ვენახის დასამუშავებლად მუშები დაიქირავა, ის მათ თითო დრაჰკანად მოურიგდა, სამი საათის შემდეგ კიდევ ნახა უქმად მყოფი „მუშაკები“ და ისინიც თავის ვენახში დააყენა სამუშაოდ და უთხრა, რაც გერგებათ, იმას მიიღებთო. ასევე მოიქცა მეექვსე და მეცხრე საათის შემდეგ. მეთერთმეტე საათზე მან კიდევ ნახა უქმად მდგომი მუშაკები, მივიდა და ჰკითხა, თუ რატომ იდგნენ უქმად. პასუხი იყო – არავინ დაგვიქირავაო, მევენახემ ისინიც თავის ვენახში გაუშვა. საღამოხანს მევენახემ ქირა გადაუხადა მუშებს – მეთერთმეტესა და პირველ საათზე მოსულებს თითოთითო დრაჰკანით გაუსწორდა, რამაც პირველად მოსულების უკმაყოფილება გამოიწვია, მევენახემ კი უთხრა მათ: *„აიღე შენი გასამრჯელო და წადი; მე კი მინდა, ამ უკანასკნელსაც იგივე მივცე, რაც შენ. ნუთუ არა მაქვს უფლება, რაც მე მეკუთვნის, ჩემი ნებისამებრ მოვიხმარო? იქნებ შენს თვალს შურს, კეთილი რომ ვარ? ასე იქნებიან უკანასკნელნი პირველნი და პირველნი – უკანასკნელნი...“*

„ვენახის მუშაკების“ იგავის განმარტებათა უდიდესი ნაწილი ქრისტესა და ქრისტეს ეკლესიის, ამ ეკლესიის მრევლისათვის განკუთვნილი ღვთიური საზღაურის გარშემო ტრიალებს. მე-11 ჟამის მუშაკობაც, ამ თვალსაზრისით, საგანგებო საღვთისმეტყველო ქრისტიანული მნიშვნელობით იმოსება. ნეტარი თეოფილაქტეს თქმით, სახლის პატრონი, „სახლისა უფალი“, ამ იგავში უფალი იესო ქრისტეა, რომელმაც მამის წიაღი დატოვა, კაცობრივი ხატება მიიღო, მოვიდა ჩვენთან და თავისი ვენახის დასამუშავებლად, ანუ ეკლესიურ სათნოებათათვის, თვითონ დაიქირავა, თავადვე დაადგინა მუშაკები – თავისი მოწაფეები, მოციქულები და მიმდევრები, რათა წმიდა წერილის შესწავლასა და წმიდა მცნებების აღსრულებაში დახმარებოდა მათ; ის, ვინც არ შეუდგება ქრისტეს და არ გაჰყვება მას, უქმად მდგომს ემსგავსება, რადგან ყოველი ყოფა და შრომა ქრისტესა და მისი ეკლესიის გარეშე – უქმად ყოფა და უქმად შრომაა!

იგავში ნახსენები „სხუანი მდგომარენი“, რომლებიც მე-11 ჟამს იპოვა ვენახის პატრონმა, სწორედ ეკლესიის გარეთ დარჩენილნი არიან და, მაშასადამე, უქმად მყოფნიც. ეს უქმად მდგომარენი თავის ამ მდგომარეობას გარემოებებს აბრალებენ და ამბობენ, არავინ დაგვიქირავა და იმიტომაც ვართ უქმადო. როგორც შენიშნავენ, ამგვარი პასუხი შეიძლება იქ გაჟღერებულიყო, სადაც ეს-ესაა მკვიდრდება ქრისტიანობა, ან კიდევ იმის ბაგეთაგან წარმოთქმულიყო, ვისაც მივიწყებული აქვს სულის ცხონების მადლმოსილება. ასეთ შემთხვევაში, თითქოს სამართლიანიც არის ამგვარი პასუხი: რა ვქნათ, ჩვენ რა შუაში ვართ, თუკი აქამდე ღმერთი არ ვიცოდით და არც მის მორჩილებაში ვიყავით, ჩვენთვის ეს არავის უსწავლებია და არც ის ვიცოდით, რომ თურმე ეშმაკს ვემსახურებოდითო.

„ვენახის მუშაკების“ იგავით უფალი სწორედ ამათ მსგავთ ანუგეშებს, ამხნევებს და თითქოს ამას ეუბნება: დროს არავითარი მნიშვნელობა არ აქვს სინანულისათვის, დრო კი არ არის პირობა ღვთის სასუფევლის შეძენისა და დამკვიდრებისათვის, არამედ შენი მონდომება, სწრაფვა – განშორდე უქმად ყოფნის ცხოვრების წესს, მოინანიო თუნდაც სიბერის ჟამს: და ნუ გეგონება, რომ უკვე გვიანაა და დაგვიანების გამო რაიმე შეიძლება მოგაკლდეს ღვთისაგან: პირიქით, გულმოდგინებით აღსრულებული სულ მცირე ღვაწლიც კი ისევე მოგაპოვებინებს ზეციურ სასუფეველს (ღვთის ჯილდოს), როგორც განთიადიდან ნამუშაკევი მიიღებს მას.

წმიდა იოანე ოქროპირი ყურადღებას აქცევს იმას, რომ მე-11 ჟამის მუშაკთა უქმად ყოფნაზე იგავში ვენახის პატრონი აღნიშნავს, თვითონ მუშაკები კი თავს იმართლებენ, არავინ დაგვიქირავაო. ამის პასუხად ვენახის პატრონი, როგორც წმიდა მამა შენიშნავს, კი არ ამხელს უქმად მყოფთ, კი არ დასძრახავს ამის გამო, არამედ სამუშაკოდ მოუწოდებს, საქმეს გაუჩენს, და, რომ არ შეშინდნენ, ტკბილად გაუშვებს საკუთარ ვენახში, თან თავის წყალობასაც შეჰპირდება საზღაურის სახით.

უფლისმიერ საზღაურს იგავში გამოხატავს დრაჰკანი, ფულის ერთეული რომაელთა ეპოქაში. დრაჰკანი ვერცხლის მონეტა იყო. ნეტარი თეოფილაქტეს თქმით, დრაჰკანი „ვენახის მუშაკების“ იგავში სულიწმიდის მადლია, რომელსაც საღვთო ვენახის ყველა გულმოდგინე მუშაკი მიიღებს და მაინც რისი საზღაურია იგი – მხოლოდ განეული შრომის საფასური თუ ღვთის წყალობით მონიჭებული ჯილდო? წმიდა მამათა თქმით, თითო დრაჰკანის საზღაურით იგავში გამოიხატება აზრი იმის შესახებ, რომ სულიწმიდის მადლი ერთნაირად ენიჭება ყველა იმას, ვინც გულმოდგინედ, ბეჯითად და თავმდაბლობით გასწევს შრომას. ერთი დრაჰკანი ღვთისაგან წინასწარ შეპირებული, აღთქმისეული საზღაურია. მაგრამ იგი შრომისათვის დახარჯულ დროს კი არ შეესაბამება, არამედ არის საფასური შრომის დროს გულწრფელად, უანგაროდ დახარჯული და გაღებული გულმოდგინებისა, რასაც თავისი ნებით გასცემს ნებისმიერი ჟამის მუშაკი.

წმიდა იოანე ოქროპირის თქმით, პირველი, ანუ განთიადის ჟამის მუშაკების გარჯა ღმერთმა იმიტომ მოიწონა, რომ ისინი მთელი დღე დაშვრნენ და სწორედ ამ ღვაწლისათვის მიეცათ მათ საზღაურად ის წინასწარ შეპირებული ერთი დრაჰკანი, ანუ ღვთის ჯილდო. მაგრამ თავისი გარჯა ამ მუშაკებმა შურით შეურაცხყვეს. ამ იგავთან დაკავშირებულ მსჯელობაში წმინდა იოანე ოქროპირი საგანგებოდ შენიშნავს, რომ იგავში საძიებელია შური, ცილობისა და ყვედრების ის ბოროტი ვნებანი, რითაც არიან შეპყრობილნი პირველი ჟამის მუშაკები. ვენახის პატრონმა მათ არაფერი დააკლო და წინასწარ აღთქმული ერთი დრაჰკანით გაუსწორა ანგარიში. მაგრამ ისინი, როგორც წმიდა მამა ბრძანებს: *„მწუხარე იყვნეს კეთილსა ზედა სხჳასა, რომელ-ესე შურისა ბოროტისა საქმე არს“.* როგორც ჩანს, სულხან-საბა ორბელიანმა თავის ლექსიკონში სიტყვა „შურის“ სალექსიკონო მნიშვნელობისათვის წმიდა მამის ამ შესანიშნავ განმარტებას მიმართა და გვაუწყა, რომ: *„შური არს მწუხარებაჲ სხვისა კეთილსა ზედა“.*

სხვისი სიკეთით დამწუხრებული კაცი მართლაც ბოროტი შურით არის პყრობილი და, ამდენად, ცოდვილიც. სხვისი წარმატებით გამოწვეული ეს სამარცხვინო მწუხარება მას საკუთარს ავიწყებს, თითქოს თვითონ არასოდეს ეგემოს წარმატების ნაყოფი.

თვალი ხშირად იწვევს ხოლმე შურს, თვალი – გაუმაძღარი, ალმაცერი და ავად მაცქერალი. ზირაქი ამბობს თვალის გაუმაძღრობაზე: *„ცუდია ხარბი თვალი. თვალზე უფრო გაუმაძღარი რა შექმნილა? ამიტომაც მისტირის ყველაფერს, რასაც ხედავს“* (31,13). თვალის სიავე კაცის გულიდან იღებს დასაბამს, იგი გულიდან გამომავალი ბოროტი სურვილის ანარეკლია.

დიალოგი ვენახის პატრონსა და პირველი ჟამის მუშაკებს შორის ძლიერ ჰგავს მამასა და უფროს შვილს შორის გამართულ დიალოგს „უძღები შვილის“ იგავიდან. ამაზე პირველი ქრისტიანი მამები მიგვითითებენ. საკუთარ კეთილსინდისიერებაში თვითდარწმუნებული უფროსი შვილიც ასევე აყვედრის თავის მორჩილებასა და სამსახურს მამას, ასევე აღარ ჰყოფნის მას მამისაგან ანდერძით ბოძებული კუთვნილი წილი. ამ უმადურობას უფროსი შვილი საკუთარ ძმასთან გაჯიბრებული გამოავლენს და თან კადნიერად განსჯის მამას იმის გამო, რომ მან, მშობელმა, დიდი სიყვარული და წყალობა გაიღო, მისი აზრით, ცოდვილი და უღირსი უმცროსი შვილისათვის. ყოველივე ამის გამო ივსება შურით ეს უფროსი შვილი, იგიც მწუხარეა *„სხჳსა კეთილსა ზედა“.* შური მას გონებას უბნელებს, გულს უცივებს და, მამისადმი კადნიერი, მისი განმკითხველი, უმადური, ხოლო ძმის მიმართ ულმობელი, შეუწყნარებელი და მისი სიხარულის არგამზიარებელი – თავად ხდება ცოდვილი.

უფროსი შვილის მსგავსად, პირველი ჟამის მუშაკებმაც კეთილსინდისიერად, თავაუღებლად იმსახურეს და ხანგრძლივი, დამქანცველი შრომა გასწიეს, მაგრამ მაინც აღმოჩნდნენ დიდი საშიშროების წინაშე. ამას, შურის გარდა, სხვა მიზეზიც აქვს. ეს არის ნდობა, უფრო სწორედ – უნდობლობა. როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, პატრონი ამ მუშაკებს დღეში თითო დრაჰკანად მოურიგდა, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ, პირველი ჟამის მუშაკებმა, გარიგება, ვაჭრობა გააჩაღეს დამქირავებელთან. ამისგან განსხვავებით, დანარჩენი ჟამის მუშაკები ყოველგვარი გარიგების გარეშე გაემართნენ სამუშაკოდ, ვინაიდან ისინი მიენდნენ ვენახის პატრონს, მის ამ აღთქმას: წადით თქვენ ჩემს ვენახში და რაც გერგებათ, მოგცემთო.

იგავში პირველი ჟამის მუშაკთა საპირისპიროდ დგანან უკანასკნელი, მე-11 ჟამის მუშაკები, როგორც თავისი წილი მუშაკობის მორჩილად გამწევნი და ღმერთს მინდობილნი. სხვათათვის უღირსი, ნაკლულოვანი მათი გარჯა და სამსახური ღვთისათვის არის მოსაწონი და ამიტომ მიენიჭებათ მათ ღირსეული საზღაური უფლისაგან, ანუ იმაზე მეტი, ვიდრე ისინი ელოდნენ. ამგვარი მუშაკნი, ჩანს, ყურად იღებენ ნეტარი ავგუსტინეს შეგონებას: *„რას მოგცემს ღმერთი და რას მოიმოქმედებს – ეს მისი მაღალი უფლებაა, შენ კი მაშინ მიდი, როცა გეძახიან“.* თავმდაბალთა და მორჩილთა ბუნება არასოდეს ეძიებს საკუთარ საზღაურს, მით უფრო – ზედმეტს, და მუდამ კმაყოფილია მიღებულით, რაოდენ მცირეც უნდა იყოს იგი.

„ვენახის მუშაკების“ იგავში ჩვენი უფალი უნდობლობითა და შურით ნამუშაკევის გამო კიდევ ერთ ფაქტორზე მიგვანიშნებს დაფარულად – ეს არის მოშურნეთა უსიყვარულობა მოყვასისადმი, რაც ქრისტეს უდიადესი მცნების დარღვევის ტოლფასია, იმ მცნებისა, მოყვასისათვის სიყვარულსა და თავგანწირვას რომ გვავალდებულებს: *„შეიყუარო მოყუასი შენი, ვითარცა თავი თჳსი“.* უწმიდესი და უნეტარესი ილია II ამიტომ გვმოძღვრავს: *„სიყვარული და შური ისევე შეუთავსებელია, როგორც ნათელი და ბნელი“.*

ასე რომ, „ვენახის მუშაკების“ იგავი არის უფლის გაფრთხილება, უპირველესად თავისი მოწაფეების, მოციქულებისა და მიმდევრებისადმი, რათა ისინი პირველი ჟამის მუშაკებივით არ გაამაყდნენ, საკუთარი ღვაწლით არ გაამპარტავდნენ იმით თვითდაჯერებულები, რომ უფლის წინაშე სხვებზე მეტ წარმატებას მიაღწიეს, არ დაკარგონ სიყვარული და თანადგომა.

უფალმა ამ იგავით წმიდა პეტრეს თითქოს ეს უთხრა პასუხად: მართალია, პირველად შენ მოგიხმე და მოგიწოდე ჩემს ეკლესიაში, მაგრამ სწორედ ამის გამო გმართებს დიდი სიფრთხილე, რომ პირველი ჟამის მუშაკებივით ამპარტავნებამ არ გძლიოს, საკუთარ ღირსებად არ მიუთვალო თავს ეს ღვთიური ჯილდო და წყალობა ან იმის შიშმა არ შეგიპყროს, წარმატებას მოგიტანს თუ წარუმატებლობას შენი შრომა და ღვაწლი; გიჯობს, ახლავე, დასაწყისშივე ამოიკვეთო ეს სახიფათო გულისთქმანი, რის აყოლამაც შეიძლება შურიც კი აღგიძრას მოძმისადმი, შენ გვერდით მდგომი მუშაკისადმი; ნუ იყოყოჩებ საკუთარი საქმეებით, ნუ გექნება იმედი განსაკუთრებული უფლებისა ღვთის წინაშე და, აქედან გამომდინარე, გადამეტებული დაფასებისაც, არამედ იღვაწე „მეათერთმეტე“, უკანასკნელი ჟამის მუშაკივით და მიენდე ღმერთს, მის აღთქმასა და სამართალს, აღიარე შენი უღირსება ღვთიური საზღაურის მიღებისათვის; იშრომე შენთვის და ემსახურე ღმერთს, რადგან ღვთის სასუფევლის შესაძენად უკანასკნელ დღეს იმას კი არ შეგეკითხებიან, რამდენი გააკეთე ან რამდენ ხანს იღვაწეო, არამედ იმას, თუ როგორი იყავი, როგორ გააკეთე და ვისთვის იღვაწე; და თუ არ ისმენ ჩემს სიტყვას, მაშინ შენ – პირველად რომ მოგიწოდე, იმ პირველი ჟამის მუშაკებივით უკანასკნელად იქცევი და თვალდახელშუა გაგიქრება ის, რასაც შეგპირდი – ჩემი აღთქმა და დაპირებული მარადიული, საუკუნო ცხოვრება ზეცაში.

აი, როდის შეიძლება პირველი გახდეს უკანასკნელი და უკანასკნელი კი პირველად იქცეს, ანუ წინ მდგომი თავისი ამპარტავნებითა და შურით აღმოჩნდეს უკან, უკან მდგომი კი თავისი თავმდაბლობით, უღირსების განცდითა და მოყვასისადმი სიყვარულით წინ მდგომად იქცეს. ამ იგავის უმთავრესი სათქმელიცა და მიზანიც ეს არის.

უფლის ეს შეგონება არ ნიშნავს იმას, რომ პირველნი მუდამ გახდებიან უკანასკნელნი ან უკანასკნელნი ყოველთვის პირველნი იქნებიან. უფალი ამის აუცილებლობაზე ან გარდაუვალობაზე კი არ მიგვითითებს, არამედ მხოლოდ შესაძლებლობაზე, კერძოდ იმაზე, რომ შესაძლებელია – უკანასკნელი თავისი სინანულით გახდეს პირველი, პირველმა კი თავისი ამპარტავნებით დაკარგოს ღვთივმონიჭებული უპირატესობა და უკანასკნელად იქცეს. „ვენახის მუშაკების“ იგავი არის უფლის გაფრთხილება როგორც პირველი ჟამის მუშაკებისათვის, ასევე უკანასკნელთათვის: პირველებმა იმთავითვე კეთილმორწმუნეობით განვლილი თავიანთი ცხოვრება ამპარტავნებითა და შურით არ უნდა შებღალონ და, რომ იტყვიან, წყალს არ უნდა გააყოლონ საღვთო ღვაწლი, არ დაკარგონ სიყვარული და თანადგომა მოყვასისადმი. ასეთნი მართლაც დგანან იმის საშიშროების წინაშე, რომ პირველნი გახდნენ უკანასკნელნი.

„ვენახის მუშაკების“ იგავის განმარტების დასასრულ კიდევ ერთხელ მოვუსმინოთ ჩვენს წმიდა მამას, იოანე ოქროპირს, რომელიც გულისშემძვრელი მზრუნველობით გვანუგეშებს თავის საალდგომო ქადაგებაში და ამბობს:

„ვინც არის კეთილმოსავი და ღვთის მოყვარული, დაე, დატკბეს ახლა ამ წმიდა და ნათელი დღესასწაულით! ვინც არის კეთილგონიერი მონა, დაე, სიხარულით შევიდეს თავისი უფლის სიხარულში! ვინც გაისარჯა მარხვაში, დაე, მიიღოს მთელი კუთვნილი!

ვინც მოვიდა მესამე ჟამის შემდეგ, მადლობდეს და გაიხაროს! ვინც მოასწრო მოსვლა მხოლოდ მეექვსე ჟამის შემდეგ, დაე, არ შეწუხდეს, რადგან არაფერი დააკლდება; მეცხრე ჟამამდეც რომ დაეყოვნებინა, მაინც შეუდგეს ყოველეგვარი ეჭვის გარეშე. და თუ მხოლოდ მეთერთმეტე ჟამს მოასწრო მოსვლა, თავის დაყოვნებას ასეთიც კი არ უნდა შეუშინდეს, რადგან ჩვენი მოყვარული სახლის მეუფე უხვია; იგი უკანასკნელსაც ისე მიიღებს, როგორც პირველს; მეთერთმეტე ჟამს მოსულსაც ისე დაამშვიდებს, როგორც მშრომელს პირველი ჟამიდან. იგი პირველისთვისაც ირჯება და უკანასკნელისთვისაც იჩენს მოწყალებას; იმასაც აძლევს და ამასაც; კეთილი მუშაკობის გამო ხარობს, მაგრამ კეთილ განზრახვასაც იღებს სიყვარულით; მუშაკობასაც მიაგებს კუთვნილ პატივს და კეთილ განწყობასაც აქებს.

ასე რომ, ყველანი შეხვალთ თქვენი უფლის სიხარულში! პირველებიც და უკანასკნელნიც მიიღებთ ჯილდოს! მდიდარნო და ღარიბნო, იხარეთ ერთმანეთით! მმარხველნო და არამმარხველნო, ყველამ იხარეთ! ტრაპეზი ძალზე უხვია: ყველანი დაპურდებით! ყველანი დატკბებით რწმენის ფუფუნებით! ყველამ ისარგებლოს მადლიანი სიმდიდრით!“

და მაინც, ვინ არიან მე-11 ჟამის მუშაკები? ესენი არიან ადამიანები, რომლებიც მიუხედავად განსაცდელებისა, მაინც მიენდნენ უფალს და დაიმკვიდრეს საუკუნო სამკვიდრებელი.

საუბრები ბიბლიაზე

ის, რაც ადამიანმა ღმერთის შესახებ შეიტყო

პირველი ნაწილი

რუბრიკას უძღვება
როლანდ ჩხეიძე

ნებისმიერი რელიგიის უპირველესი და უძირითადესი ჭეშმარიტება ღვთის ყოფიერების შესახებ არსებული ცოდნის სისწორე და სიმართლეა. მოციქული პავლე წერს: რწმენის გარეშე „შეუძლებელია ესათნოვო ღმერთს, რადგან ვინც მას უახლოვდება, უნდა სწამდეს, რომ ღმერთი არსებობს“ და უფალი მის მაძიებელთ სანაცვლოს უეჭველად მიაგებს (ებრ. 11:6).

„თუ გსურს იფიქრო და ისაუბრო ღმერთის შესახებ, – გვასწავლის წმინდა ბასილი დიდი, – უარჰყავ შენი სხეული და შენი გრძნობები; განშორდი ზღვასა და მიწას, გასცდი მიწიერ სილამაზეს და წელიწადის დროთა მომხიბვლელობას; ისე ქმენ, რომ ჰაერიც და თავად ეთერიც შენს ფეხთით ეგოს; გადაიარე ვარსკვლავეთი... და როდესაც ეს ყოველივე დაიძლევა; მოივლი ზეცას, მასზე უფრო მაღლა დადგები, იქ არსებულით მოიხიბლები, გონების თვალი მაშინ იხილავს: ცის ანგელოზთა მაღალ მხედრობას, მათ მთავრობასა და მთავარანგელოზებს. როცა მოილევ ყველაფერ ამას, თავისუფალი შენი გონებით წარმოიდგინე: მარადუძვრელი, შეუქცეველი, შეუცვლელი, შეუვალი, უბრალო, მარტივი და განუყოფელი ღმერთის ბუნება. ნათელი მიუწვდომელი, ძალა გამოთქმელი, სიდიდე განუზომელი, დიდება სხივშემოსილი, სიკეთე სანუკვარი, სილამაზე განმაცვიფრებელი, რომელიც ძლიერ მოწყვლულ და დაკოდილ გულს გააცეცებს და გააოცებს, სახტად დატოვებს, დაამშვიდებს და დაადუმებს“.

წმინდა წერილში არის სიტყვები, რომლებშიც ღმერთი სახელებითაა მოხსენიებული და ამ სახელებში არსებითი ცოდნაა გადმოცემული.

ღმერთის არსებითი თავისებურებები

ღმერთი უმაღლესი არსებაა. არც ქვეყანაზე და არც ცათა სასუფეველში მისი ტოლი არავინაა:

ადონაი – უფალი – მხოლოდ ღმერთია ყველაფრის თავი:

„ისმინე, ისრაელო! ერთია უფალი, უფალი, ჩვენი ღმერთი“ (რჯლ. 6:4).

ადამიანებს არ ძალგვიძს ღმერთის სრულად შეცნობა. უფალმა თავად რომ არ მოგვაწოდოს ცოდნა საკუთარი არსების გამო, ჩვენ მის შესახებ ვერც ვერაფერს შევიტყობთ. ამრიგად, რაც მის შესახებ არის ცნობილი, ღვთის მიერ გადმოცემული სწავლების ნაწილია.

ვერ ვხედავთ ჰაერს, წერს მამა სერაფიმ სლობოდსკი, მაგრამ მისი ქმედების პროცესსა და შედეგს ვხედავთ; ჩვენ ვგრძნობთ და ვიცით, რომ სუნთქვის გარეშე ცხოვრება არ შეგვიძლია; ვიცით, რომ ქარს დიდი ძალა აქვს, მისი მეშვეობით მოძრაობენ გემები, მუშაობენ რთული დანადგარები. ასევე ვერ ვხედავთ ღმერთს, მაგრამ მისი ბრძნული ქმედებით მოვლენილი სიკეთის ძალას მუდმივად ვგრძნობთ და ყველგან ვხედავთ.

უშუალოდ „ღმერთი არავინ სადა იხილა; მხოლოდ-შობილმან ძემან, რომელი იყო წიაღთა მამისათა“ (იოან. 1:18), ნათქვამია სახარებაში. ღმერთმა მოსეს უთხრა: ვერ შეძლებ ჩემი სახის ხილვას, „რადგან ისე ვერ მიხილავს ადამიანი, რომ ცოცხალი დარჩეს“ (გამ. 33:20). ამიტომ, ღმერთი ადამის შთამომავლობის სრულყოფის მიზნით, ზოგიერთი წმინდა პიროვნების წინაშე ისეთი სახით წარდგება ხოლმე, რომ ერთი მხრივ, ღვთის სიდიადის ხილვით ადამიანი არ დაიღუპოს, ხოლო მეორე მხრივ, შესაძლებელი გახდეს ღვთის შესახებ კაცობრიობამ მეტი გაიგოს. გავიხსენოთ, რომ მზეს, რომელიც ღმერთმა ადამიანისათვის შექმნა, ისეთი ბრწყინვალება აქვს, რომ ადამიანს მისი მზერა დიდხანს არ შეუძლია. ღმერთის შესახებ კი წმინდა იოანე მახარებელი გვამცნობს: ღმერთი ნათელია, „ნათელი ბნელში ნათობს და ბნელმა იგი ვერ მოიცვა“ (იოან. 1:5). პავლე მოციქული წერს, რომ ღმერთი არის „მიუწვდომელ ნათელში მყოფი, რომელიც არ უხილავს არცერთ კაცთაგანს და არც ძალუძს იმისი ხილვა“ (1 ტიმ. 6:16).

„...**ღმერთი არის ნათელი და არ არის მასში არავითარი ბნელი“** (1 იოან. 1:5).

„ჩვენი ღმერთი არის შთანმთქმელი ცეცხლი“ (ებრ. 12:29).

„მე ვარ ანი და ჰაე, დასაბამი და დასასრული, ამბობს უფალი, რომელიც არის, იყო და იქნება, ყოვლისმპყრობელი“ (გამ. 1:8).

„ვიხილე თუ არა, მის ფერხთით დავვარდი, როგორც მკვდარი, ხოლო მან თავისი მარჯვენა დამადო და თქვა: ნუ გეშინია, **მე ვარ პირველი და უკანასკნელი“** (გამ. 1:17).

იეჰოვა – უფალი, ღმერთია (ებრ. იეჰოვა) ძვ. აღთქმაში აზრის: „მე ვარ, რომელიც ვარ“(გამ. 3:14) გამომხატველი სიტყვა – ასე გააცნო თავისი პიროვნება უფალმა მოსეს.

„უფალი ჭეშმარიტი ღმერთია, ის არის **ცოცხალი ღმერთი და მარადიული მეფე**. მისი რისხვისაგან ირყევა მიწა, ვერ უძლებენ მის წყრომას ხალხები“ (იერ. 10:10).

„ღმერთი სულია და მისი თაყვანისმცემელნიც სულითა და ჭეშმარიტებით უნდა სცემდნენ თაყვანს“ (იოან. 4:24).

„უფალი სულია, ხოლო სადაც უფლის სულია, იქვეა თავისუფლება“ (2 კორ. 3:17).

„ვისაც არ უყვარს, ვერ შეუცვნია ღმერთი, რადგანაც **ღმერთი სიყვარულია“** (1 იოან 4:8).

ეს გამონათქვამები ღმერთის არსებით ბუნებას მაინც ვერ გამოხატავენ. სიტყვები მხოლოდ ღმერთის ისეთ თავისებურებებზე მიგვანიშნებენ, რომლებიც შესაძლებელია ჩვენთვის იყოს გასაგები.

ამიტომ, უნდა გვახსოვდეს, რომ ეს განმარტებები ვერ გვაწვდის ღმერთის შეცნობისათვის საკმარის ცოდნას. საერთოდ, ნებისმიერი განმარტება გარკვეულ „საზღვრებს“ გულისხმობს, რაც თავისთავად ზღუდესა და შემოსაზღვრულობას ქმნის. ღმერთს საზღვრები არ გააჩნია და ამიტომ სიტყვებსა და მცნებებში ის ვერ მოთავსდება.

„რამდენად დიდი და დიადია ღმერთი? რა არის მისი განმსაზღვრელი? რაში მდგომარეობს მისი არსი? ასეთი კითხვები საშიშია შემკითხველისთვის და დიდი სირთულეების წარმომქმნელია მოპასუხისთვის. შესაბამისად, ამგვარი კითხვების საუკეთესო პასუხი დუმილია,“ – ბრძანებს წმინდა ბასილი დიდი.

„უფალი რაიმე გარკვეულ საზღვრებში ვერ მოექცევა. პირიქით, ღმერთი ყველგანაა, ის ყველაფერშია და არაფრითაა შეზღუდული,“ – წერს წმინდა გრიგოლ ნოსელი.

„სამყაროს შექმნის შემდეგ ღმერთს არ შეუცვლია თავისი სამყოფელი და თავის ქმნილებას არ შეერთებია ანუ თავად უქმნელი, შექმნილ სამყაროში არ გადმობრძანებულა. თუ ის გარეშემოუწერელია, მაშ სად იმყოფება? იკითხავ შენ. გიპასუხებ: უფალს ნუ ეძებ მყოფობაში და სხეულში, – ბრძანებს ღირსი სიმონ ახალი ღვთისმეტყველი, – ის გონებით მოიკვლიე. მხოლოდ ამგვარ ძიებაში აღმოაჩენ, რომ იგი უზღვაროა და ამიტომაც – არც სადმეა, არც შიგნითაა, არც გარეთ, თუმცაღა ყველგან და ყველაფერშია, ამასთან გულგრილი და შეუვალია; ამავე დროს, არც არსადაა, რადგან – ყველაზე და ყველაფერზე უწინარესია“.

ეს არის მინიშნებები ღმერთის არსებითი თავისებურებებისა, თუმცაღა ყოველმა ღვთისმორწმუნემ თვითონ უნდა გააგრძელოს კვლევა.

წმინდა წერილი ღმერთის შესახებ

„უფალი სულია, ხოლო სადაც უფლის სულია, იქვეა თავისუფლება“ (2 კორ. 3:17).

ღმერთისათვის უცხოა ყოველგვარი ხორციელი და მატერიალური. ღმერთის სულიერება იმ სულიერებაზე შეუდარებლად მაღალია, რისი მიღებაც შეძლო მის მიერ შექმნილმა სულიერმა სამყარომ და თავად ადამიანმა.

ღმერთი უზენაესი სულია, სრულიად წმინდაა და აბსოლუტური სრულყოფილებაა.

ელ ელიონი – უფალი ყოვლად უზენაესია

ასეთი სახელით იხსენიებს წმინდა წერილი ღმერთს, მასზე მაღალი და მასზე წმინდა ცხოვრებაში არაფერი არსებობს. ღმერთის უზენაესობის შესახებ ძველ აღთქმაში ვკითხულობთ: „მიეგება სოდომის მეფე ქედორლაღომერზე და მის თანამდგომ მეფეებზე გამარჯვებულს შავეს ველზე, რომელსაც ახლა მეფის ველი ეწოდება. ხოლო მელქისედეკმა, შალემის მეფემ, გამოუტანა პური და ღვინო. ის იყო უზენაესი ღმერთის მღვდელი. აკურთხა აბრამი და უთხრა: კურთხეულ იყოს აბრამი უზენაესი ღმერთის წინაშე, ცისა და მიწის შემოქმედისა! კურთხეულ იყოს უზენაესი ღმერთი, რომელმაც ხელში ჩაგაგდებინა შენი მტერი ! მაშინ მისცა მას აბრამმა ნადავლის მეათედი“ (დაბ. 14:17-20); სხვაგან, „ნათქვამი ღვთის სიტყვათა გამგებისა, უზენაესის ზრახვათა შემცნობისა, რომელიც ხედავს ხილვებს ყოვლადძლიერისგან, ეცემა, მაგრამ თვალები ღია აქვს“ (რიცხ. 24:16); ან „ვადიდებ უფალს მისი სიმართლით და ვუგალობებ უზენაესი უფლის სახელს“ (ფსალმ. 7:18);

და კიდევ: „როგორ ჩამოემხე ციდან, მთიებო, ძეო განთიადისა! მიწას დაენარცხე, ხალხთა მტარვალო! გუშინ ამბობდი: ცად ავხდები, ღვთის ვარსკვლავთა ზემოთ ტახტს დავიდგამ და დავჯდები საკრებულო მთაზე, ჩრდილო კალთებზე. მაღლა ღრუბლებში ავიჭრები, უზენაესს გავუტოლდებიო! მაგრამ შავეთში ჩადიხარ, ქვესკნელის უფსკრულებში“ (ეს. 14:12-15). ასე მიმართავს ესაია წინასწარმეტყველი „ამ ქვეყნის მთავარს – ღმერთობის მოსურნე დაცემულ ანგელოზს.

ელ ოლამი – ღმერთი მარადიულია

ღმერთი მარადიულია, ის არასოდეს არ მოკვდება: „განა არ იცი? ნუთუ არ გსმენია? მარადიული ღმერთია უფალი, ქვეყნის კიდეების შემქმნელი. არ იღლება და არ იქანცება, მიუწვდომელია მისი განგება. ის აღონიერებს დაღლილ-დაქანცულს და უძლურს ძალას ჰმატებს. იღლებიან ჭაბუკები და იქანცებიან, მაგარი ვაჟკაცები ემხობიან. უფლის მოსავნი კი განიახლებენ ძალას, არწივივით გაშლიან ფრთებს, გაიქცევიან და არ დაიღლებიან, ივლენ და არ დაიქანცებიან“ (ეს. 40:28-31).

ღვთის ყოფიერება დროის მიღმაა, რადგან დრო სასრულისა და ცვალებადის ყოფის ფორმაა. ღმერთისათვის არ არსებობს არც წარსული, არც მომავალი, მისთვის ყველაფერი ახლანდელია. ფსალმუნში ვკითხულობთ: „უწინ დედამიწა დაადაფუძნე და შენთა ხელთა ნასაქმარია ზეცა. ისინი დაიღუპებიან, შენ კი იარსებებ; ყველანი ტანსაცმელივით დაძველდებიან; სამოსელივით გამოიცვლი მათ და შეიცვლებიან. შენ კი იგივე ხარ და შენი წლები არ დაილევიან“ (ფსალმ. 101:26-28); ანდა: „ვიდრე მთები დაიბადებოდნენ და შექმნიდი დედამიწასა და სამყაროს, და უკუნითი უკუნისამდე შენა ხარ ღმერთი“ (ფსალმ. 89:3); წმინდა პეტრე კი გვასწავლის: „ისიც იცოდეთ, საყვარელნო, რომ ერთი დღე უფლისათვის როგორც ათასი წელი, და ათასი წელი, როგორც ერთი დღე“ (2 პეტრ. 3:8).

უფალი სულგრძელი და მრავალმოწყალეა

„შემბრალე და ლმობიერია უფალი, სულგრძელი და მრავალმოწყალე“ (ფსალმ. 102:8). უფლის სულგრძელება შეუზღუდავია, ის მთელ სამყაროს მოიცავს და ყოველი ქმნილებისადმი დიდ სიყვარულსა და მზრუნველობას ავლენს.

ღმერთი იმდენი სიკეთით უზრუნველყოფს ყოველ არსებას, რამდენსაც ამ არსების ბუნება დაიტევს და რამდენიც საჭირო იქნება სამყაროში ჰარმონიული თანაცხოვრების შესანარჩუნებლად.

უფალი ადამიანს განსაკუთრებული სიკეთით უზრუნველყოფს. ხშირ შემთხვევაში ადამიანს არ ესმის ღვთის მიერ ბოძებული მადლის მნიშვნელობა და ცდილობს სრულად არ მიიღოს იგი. ეს იმის გამო ხდება, რომ ადამიანი საკუთარი მატერიალური პირობების გაუმჯობესებაზე ზრუნვით ზედმეტად არის დაკავებული. მოქმედებს როგორც მომხმარებელი და არა ღვთის საქმეების, სამყაროს შესაქმის გამგრძელებელი. იღვწის დროებითი კეთილდღეობისათვის და არ ზრუნავს სულიერი, სამარადისო სიკეთისათვის. „შეეცადე მის შეცნობას ყოველ შენს გზაზე და ის გაგისწორებს სავალს“, ვკითხულობთ იგავთა წიგნში (იგავ. 3:6).

მეორე რჯულის წიგნში ვკითხულობთ: „გაგიუხვებს უფალი, შენი ღმერთი ყველაფერს, რასაც შენი ხელით გააკეთებ – შენი მუცლის ნაყოფს, შენი საქონლის ნაყოფს და შენი მიწის ნაყოფს, სასიკეთოდ, რადგან კვლავ გაიხარებს უფალი შენს გამო სასიკეთოდ, როგორც შენი მამა-პაპის გამო ხარობდა. რადგან შეისმენ უფლის, შენი ღმერთის სიტყვას და დაიცავ მის ცნებებს და წესებს, რომლებიც ამ რჯულის წიგნშია ჩაწერილი. მიუბრუნდები უფალს, შენს ღმერთს, მთელი შენი გულითა და სულით“ (რჯლ. 30:9-10). აქვე ვკითხულობთ: „იცოდე, რომ უფალი, შენი ღმერთი მტკიცე ღმერთია, შემნახველი ათას თაობაში აღთქმისა და წყალობისა მის მოყვარულთათვის და მათთვის, ვინც დაიცავს მის მცნებებს“ (რჯლ. 7:9).

აი, როგორ აკონკრეტებს ცოდნას ამ წყალობის შესახებ მოციქული პავლე: „მაგრამ წყალობით მდიდარმა ღმერთმა, თავისი უშრეტი სიყვარულით რომ შეგვიყვარა, ბრალეულობით მკვდარნი ქრისტესთან ერთად გაგვაცოცხლა (მადლით ხართ გამოხსნილნი), მასთან ერთად აღგვადგინა და მასთანვე დაგვსხა ზეცას ქრისტე იესოში, რათა მომავალ საუკუნეთათვის ეჩვენებინა ულევი სიმდიდრე თავისი მადლისა, ჩვენდამი მოწყალებით რომ მოგვმადლა იესო ქრისტეში“ (ეფ. 2:4-7).

დაბოლოს, მოვიყვანთ ციტატას სერაფიმ სლობოდსკის წიგნიდან: „აი, რას გვასწავლის ერთი ეპისკოპოსი: ვინ გვაჩუქა ცხოვრება? ღმერთმა! მისგან მივიღეთ სული გონიერი, რაზედაც ჩვენი მსჯელობისა და შემეცნების უნარია დაფუძნებული; მისგან მივიღეთ ისეთი გული, რომელმაც ჩვენში შეგნებული სიყვარული გააღვივა... ჩვენს გარშემო მუდმივადაა ჰაერი, რომლითაც ვსუნთქავთ და რის გარეშეც ცხოვრება არ შეგვიძლია. ყველგან, სადაც ვიმყოფებით, გვაქვს წყალი, რაც ჩვენთვის ჰაერივით აუცილებელია. ჩვენ ვცხოვრობთ დედამიწაზე, და იგი გვაძლევს ყველა იმ საკვებს, რაც ჩვენი სხეულის არსებობისათვისაა აუცილებელი. დედამიწა მუდმივი ნათელით და სითბოთია უზრუნველყოფილი, მის გარეშე ჩვენ ვერც ვერაფერს მოვიპოვებდით და ვერც ვიცოცხლებდით. ჩვენ გვაქვს ცეცხლი, რაც საჭიროების შემთხვევაში გვათბობს და ჩვენთვის გამოსადეგი საკვების მომზადებაში გვეხმარება. ყოველივე ეს ღვთის მიერ ბოძებული მადლია. ჩვენ გვყავს დედა, მამა, ძმები, დები, მეგობრები; რამდენ სიამოვნებასა და ბედნიერებას გვანიჭებენ ისინი! მაგრამ ღვთის ნება რომ არ იყოს, არავინ არ გვეყოლებოდა და არც არაფერი არ გვექნებოდა“.

ელ როიმი – უფალი ყოვლის მხილველია

– უფალი თვალს ადევნებს ყოველ არსებასა და ყოველ ადამიანს. უფალი ნათლად ხედავს ყველაფერს, მისთვის დაფარული არაფერია: „ახსენა სახელი უფლისა, რომელიც ელაპარაკებოდა: შენა ხარ ღმერთი, ჩემი მხილველი; რადგან თქვა: განა აქაც არ ვიხილე კვალი ჩემი მხილველისა?“ (დაბ. 16:13); უფალმა იცის: რაც მოხდა, რა ხდება და რა უნდა მოხდეს, დაწერილია: „ზეციდან იმზირება უფალი, ხედავს ყველა ადამიანს“ (ფსალმ. 32:13), „რადგან ის თვალს ავლებს ქვეყნის კიდეებს, მთელს ცისქვეშეთს ხედავს“ (იობ. 28:24); „ჩემი ჩანასახი იხილა შენმა თვალებმა და შენს წიგნში ჩაწერილია დღენი მომავალი ჩასახვისა, როცა ჯერ არ არის არც ერთი მათგანი“ (ფსალმ. 138:16); „არ არსებობს ქმნილება, დაფარული რომ იყოს მისთვის. არამედ ყველაფერი გაშიშვლებული და გაცხადებულია მის თვალთა წინაშე, ვისაც ვაბარებთ ანგარიშს“ (ებრ. 4:13).

– ღვთაებრივი სამართლით ფასდება ყოველგვარი საქციელი. ადამიანის ყოველი ნაბიჯი ღვთიური განსჯის საგანია და მისი სამართლით განიკითხება: „ყველგან უფლის თვალებია, ხედავენ უკეთურებს და კეთილებს“ (იგავ. 15:3); „დიდგანმზრახველო და მრავალმოქმედო, რომელსაც ღია გაქვს თვალები ადამის ძეთა საქციელის მიმართ, რათა მიაგო თითოეულს თავისი საქციელისა და თავისი ნამოქმედარის მიხედვით“ (იერ. 32:19). „აღარ ილაპარაკებთ მედიდურად, აღარ გამოვა თავხედი სიტყვები თქვენი ბაგიდან, რადგან ყოვლისმცოდნე ღმერთია უფალი, ყოველი საქმე მას აბარია“ (1 მეფ. 2:3).

– უფლისათვის არაფერია დამალული: „განა მხოლოდ ახლოდანა ვარ ღმერთი? ამბობს უფალი, განა შორიდან არა ვარ ღმერთი? სამალავშიც რომ დაიმალოს კაცი, ვერ დავინახავ? ამბობს უფალი. განა მე არ ვავსებ ცასა და მიწას? ამბობს უფალი“ (იერ. 23:23-24); უფალი „ააშკარავებს ღრმასა და დაფარულს; იცის, რა იმალება ბნელში და ნათელი მასშია დავანებული“ (დან. 2:22); ეზეკიელ წინასწარმეტყველი მოგვითხრობს: „დამეცა უფლის სული და მითხრა: თქვი, ასე ამბობს-თქო უფალი: ასე და ასე ლაპარაკობთ, ისრაელის სახლო, და რაც ფიქრად მოგდით, ვიცი მე“ (ეზეკ. 11:5).

– ყოვლის მხილველობა უზენაეს სიბრძნესთან არის დაკავშირებული, ღმერთისათვის ხილვა შეცნობის ტოლფასია. ამავე დროს, არსებულის და შესაძლებელის, აწმყოსი, წარსულისა და მომავლის ცოდნით ღმერთის ქმნილებათა ნება არ ირღვევა, ისევე როგორც არ ირღვევა ნება მოყვასისა, როდესაც ჩვენ გვესმის მისი ქმედების შინაარსი: „დიდია უფალი და დიდძალოვანი, მისი გონიერება განუზომელია“ (ფსალმ. 146:5), „ვინც თავისი ძალით შექმნა ქვეყანა, თავისი სიბრძნით დაამყარა სამყარო, განართხა ცანი თავისი გონებით“ (იერ. 10:12); „ეჰა, ღმერთის სიუხვის, სიბრძნისა და ცოდნის სიღრმე! რაოდენ გონებამიუწვდომელნი არიან მისი მსჯავრნი და მიუკვლეველი მისი გზანი! რადგანაც ვინ შეიცნო აზრი უფლისა, ან ვინ იყო მისი მრჩეველი?“ (რომ. 11:33-34), „უფალმა სიბრძნით დააფუძნა ქვეყანა, გონიერებით გაამტკიცა ცამყარი“ (იგავ. 3:19), „რადგან სწორია სიტყვა უფლისა და ყოველი საქმე მისი ჭეშმარიტია“ (ფსალმ. 32:4).

წმინდა **მამათა მრავალი წერილი** მიეძღვნა უფლის იმ უსაზღვრო სიბრძნეს, რომლითაც მან სამყარო შექმნა. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ ბასილი დიდი, იოანე ოქროპირი, გრიგოლი ნოსელი. მაგრამ მათივე აზრით, უფრო მეტად საოცარია ის სიბრძნე, რომლითაც უფალმა ჩვენი „გადარჩენის საიდუმლო“ შექმნა და თავისი მხოლოდშობილი ძის განკაცებით კაცობრიობის უკვდავება აღაშენა.

ეს საოცრება კი არა, როგორც წმინდა ბასილი დიდი წერს: „ერთი ბალახი ან მისი ღეროც საკმარისია იმისათვის, რომ მთელი შენი აზროვნება იმაზე ფიქრმა მოიცვას, თუ რა ხელოვანებითა და ნიჭითაა აღვსილი უფლის ქმნილება“.

ჩვენი გაზეთის რუბრიკის „საუბრები ბიბლიაზე“ წამყვანი, როლანდ ჩხეიძე გთავაზობთ საჯარო ლექციების კურსს – „შევისწავლოთ ახალი აღთქმა“:

I ვარიანტი – სრული ახალი აღთქმა;
II ვარიანტი – წმინდა ოთხთავი და საქმე მოციქულთა;
III ვარიანტი – კათოლიკე ეპისტოლეები;
IV ვარიანტი – ახალი აღთქმის მოკლე კურსი;
V ვარიანტი – წმინდა ოთხთავის მოკლე კურსი.

დაწვრილებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ:
53-91-83; 899 711120

სკოლის ფსიქოლოგთა დასახმარებლად

განვითარების თეორიები

რუბრიკას უძღვება საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მედიცინის განვითარების ფონდის ფსიქოლოგი ქეთევან თავართქილაძე

დასაწყისი იხ. №12

მიჯაჭვულობის დარღვევათა დაძლევის გზები

ფიზიკური კონტაქტი ბავშვსა და მოზრდილს შორის. ბევრი ბავშვი, რომელიც ბავშვთა სახლიდან ოჯახში ხვდება, თვითონვე მიისწრაფვის მოზრდილ ადამიანთან ინტენსიური ფიზიკური კონტაქტისაკენ: მუხლებზე ჯდომა უყვარს, ხელში აყვანას, რწევას ითხოვს. ეს ძალიან კარგია, თუმცა ბევრ მშობელს მეტისმეტი სხეულებრივი კონტაქტი აფრთხობს, განსაკუთრებით მაშინ, როცა თავად მშობელი ამისაკენ მაინცდამაინც არ მიისწრაფვის. თანდათანობით ამგვარი კონტაქტების ინტენსივობა მცირდება, ბავშვი თითქოს „ძღება", ინაზღაურებს იმას, რაც ადრეულ ასაკში აკლდა.

თუმცა, არსებობს ბავშვების საკმაოდ დიდი კატეგორია, რომლებიც ამგვარი კონტაქტისაკენ არ მიისწრაფვიან, ზოგიერთი მათგანი გაურბის კიდეც, მოფერებას ირიდებს და შეხებისას კრთება. სავარაუდოდ, ამ ბავშვებს უფროსებთან ურთიერთობის ნეგატიური გამოცდილება აქვთ – ხშირად ეს გადატანილი ფიზიკური ან სექსუალური ძალადობის შედეგია.

არავითარ შემთხვევაში არაა საჭირო ბავშვისათვის ფიზიკური კონტაქტის თავსმოხვევა. მიჯაჭვულობა არა მარტო შეხების, არამედ თვალებში ყურების, ერთობლივი მოძრაობების, საუბრის, ერთობლივი თამაშის, ერთად კვების, ერთად განცდის გზით ვითარდება. შესაძლებელია, მშობელს ზოგიერთი გავრცელებული და მარტივი თამაში შევთავაზოთ, რომლებიც ამ კონტაქტის განვითარებისაკენაა მიმართული: ცხვირზე თითის მიჭერა და მანქანის სიგნალის ხმის გამოცემა, ლოყების გაბუშტვა და ბავშვის ხელების მირტყმით „ბუშტის გახეთქვა", ბანაობის დროს ქაფისაგან წვერების, გვირგვინის, სამხრეების გაკეთება და სხვ. როცა ბავშვს საწოვარიანი ბოთლით აჭმევენ, კარგია ბავშვის კალთაში ჩასმა, თვალებში ყურება, გაღიმება, რაიმე საალერსოს თქმა; წიგნის კითხვის ან ტელევიზორის ყურების დროს – ხელის გადახვევა, თავი თავზე მიდება და სხვ.

ოჯახის ადეკვატური სურათის ფორმირება. ბავშვისათვის აუცილებელია იმის განცდა, რომ მისი გრძნობები და ინტერესები მნიშვნელოვანია უფროსებისათვის, რომ გადაწყვეტილებების მიღებისას მის აზრს გაითვალისწინებენ, რომ მისი საჭიროებები, შესაძლებლობის მიხედვით, დაკმაყოფილებული იქნება. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მშობლები ბავშვთან მიმართებაში თანმიმდევრულები იყვნენ და ბავშვის აღზრდისას, მისი შექების თუ დასჯის დროს გარკვეული პრინციპები დაიცვან.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ ბავშვის ნორმალური განვითარება მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად აქვს მას ჩამოყალიბებული ადრეულ ასაკში მიჯაჭვულობის გრძნობა. მიჯაჭვულობის დეფიციტის დაძლევა და ბავშვის შემდგომი ნორმალური განვითარების უზრუნველყოფა მშობლის, ბავშვზე მზრუნველი უფროსი ადამიანის, სპეციალისტების უდიდეს ძალისხმევას საჭიროებს. თუმცა მწვავე შემთხვევებში ამ დეფიციტის სრული დაძლევა შეუძლებელია.

სიცოცხლისუნარიანობის თეორია

ბავშვის ფსიქიკური და ფიზიკური ჯანმრთელობის განმსაზღვრელ ფაქტორთა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ცხოვრებისეული სირთულეების დაძლევის, პრობლემათა მოგვარების, განსაცდელში ზიანის აცილების უნარი.

ბავშვებს სხვადასხვა, მეტ-ნაკლები სიმძიმის სტრესთან შეხვედრა უხდებათ. ეს შეიძლება იყოს სახლში მარტო დარჩენა, თანატოლებთან ურთიერთობის სიძნელე, მშობელთა გაყრა, ავადმყოფობა, სიღარიბე, შიმშილობა, სტიქიური უბედურება და სხვ. სწორედ სიცოცხლისუნარიანობაზეა დამოკიდებული, ასეთი გამოცდილებები ბავშვს დათრგუნავს თუ გააძლიერებს.

პრობლემურ, რთულ სიტუაციებში ბავშვები ხშირად მარტოობას, შიშსა და უმწეობას განიცდიან. ეს განცდები ნაკლებად დამთრგუნველია იმ ბავშვებისთვის, რომლებსაც სიცოცხლისუნარიანობის რესურსები აქვთ.

სიცოცხლისუნარიანობა – უნარი, რომლითაც პიროვნება, ჯგუფი ან საზოგადოება თავიდან იცილებს, ამცირებს ან გადალახავს ცხოვრებისეულ სიძნელეებსა და დაბრკოლებებს. სიძნელეებსა და დაბრკოლებებში იგულისხმება არა მხოლოდ განსაკუთრებული სირთულეები, არამედ ყოველდღიური ცხოვრებისეული სიტუაციები.

სიცოცხლისუნარიანობა ყველა ბავშვში თანდაყოლილადაა მოცემული. იმის მიხედვით, თუ როგორ ეხმაურება მშობელი ან მომვლელი ბავშვთან დაკავშირებულ ამა თუ იმ სიტუაციას და რამდენად ეხმარება ბავშვს სიტუაციის შესაბამისად რეაგირებაში, მას შეუძლია ან ხელი შეუწყოს ბავშვში სიცოცხლისუნარიანობის განვითარებას, ან პირიქით, ხელი შეუშალოს, დაანგრიოს ბავშვში თანდაყოლილად მოცემული სიცოცხლისუნარიანობა.

ამერიკელ ფსიქოლოგს, **ედიტ გროტბერგს** ეკუთვნის კვლევა **(1993-1994) სიცოცხლისუნარიანობის ენის** შესახებ, ადამიანის განვითარებისათვის სიცოცხლისუნარიანობის მნიშვნელობის, მისი ფორმირების ასაკობრივი თავისებურებების, მის ჩამოყალიბებაში მშობლებისა და აღმზრდელების როლის, სიცოცხლისუნარიანობის განვითარების შედეგების შესახებ.

სიცოცხლისუნარიანობის ენა

სიცოცხლისუნარიანობის განვითარებისათვის საჭიროა გავიაზროთ ის ენა, რომლითაც აღვწერთ და ავხსნით მას. ამით უფრო გაგვიადვილდება ჩვენი და ჩვენი ბავშვების ქცევის წარმართვა სიცოცხლისუნარიანობის გასავითარებლად.

სიცოცხლისუნარიანობის განვითარების ფაქტორები შეიძლება გამოიხატოს შემდეგი სიტყვებით:

– **მე მყავს/მაქვს;**
– **მე ვარ;**
– **მე შემიძლია.**

სიცოცხლისუნარიანი ბავშვი ამბობს:

მე მყავს

– ადამიანები, რომლებსაც ვენდობი და ვისაც ვუყვარვარ ისეთი, როგორიც ვარ;

– ადამიანები, რომლებიც მიწესებენ შეზღუდვებს საფრთხის თავიდან ასაცილებლად;

– ადამიანები, რომლებიც საკუთარი ქცევით მიჩვენებენ, თუ რა არის კარგი;

– ადამიანები, რომლებიც რაღაცების დამოუკიდებლად კეთებას მასწავლიან;

– ადამიანები, რომლებიც მეხმარებიან, როცა ვარ ავად, საფრთხეში ან მესაჭიროება რჩევა.

მე ვარ

– ადამიანი, რომელიც შეიძლება მოსწონდეთ და უყვარდეთ;

– მოხარული ვასიამოვნო სხვებს და გამოვხატო ჩემი თანადგომა;

– საკუთარი თავისა და სხვების პატივისმცემელი;

– საკუთარ საქციელზე პასუხისმგებელი;

– დარწმუნებული, რომ ყველაფერი მოგვარდება.

მე შემიძლია

– ველაპარაკო სხვებს იმაზე, რაც მაშინებს და მაწუხებს;

– გამოვძებნო პრობლემის გადაჭრის გზები;

– ვაკონტროლო თავი, როცა ვატყობ, რომ მინდება რაიმე არასწორის ან საშიშის გაკეთება;

– შევარჩიო ხელსაყრელი დრო რაღაცის გასაკეთებლად ან ვინმესთან სასაუბროდ;

– მოვძებნო დამხმარე, როცა ეს დამჭირდება.

იმისთვის, რომ ბავშვი სიცოცხლისუნარიანი იყოს, სულაც არ არის აუცილებელი ყველა ჩამოთვლილი ნიშნის არსებობა. თუმცა სიცოცხლისუნარიანობის სამივე წყაროდან რამდენიმე ნიშანი ბავშვს აუცილებლად უნდა ჰქონდეს. მაგალითად:

– ბავშვი შეიძლება უყვარდეთ ***(მე მყავს)***, მაგრამ თუ ის არ გრძნობს შინაგან სიძლიერეს ***(მე ვარ)*** ან სოციალურ, ურთიერთობის უნარებს ***(მე შემიძლია)*** – სიცოცხლისუნარიანობაზე ლაპარაკი ზედმეტია.

– ბავშვი შეიძლება იყოს საკმარისად თავდაჯერებული ***(მე ვარ)***, მაგრამ თუ მან არ იცის ურთიერთობა ან პრობლემების გადაჭრა ***(მე შემიძლია)*** და არ ეგულება ვინმე, ვინც დაეხმარება ***(მე მყავს)***, – ბავშვი ვერ იქნება სიცოცხლისუნარიანი.

– ბავშვი შეიძლება კარგად მეტყველებდეს ***(მე შემიძლია)***, მაგრამ თუ არ გააჩნია ემპათიურობა ***(მე ვარ)*** და ვერ იღებს დადებით მაგალითს უფროსისაგან ***(მე მყავს)*** – არ არსებობს სიცოცხლისუნარიანობა. სიცოცხლისუნარიანობა ყალიბდება მხოლოდ ამ თვისებათა კომბინირებით.

სიცოცხლისუნარიანობის მაგალითები

არსებობენ ადამიანები, რომლებიც პრობლემებისა და სიძნელეების დაძლევას მაშინაც ახერხებენ, როცა ეს ძალიან რთული ჩანს.

ხუთი წლის ბიჭი სახლში მოდის და დედას ეუბნება:

ერთი დიდი ბიჭი მირტყამს და ზოგჯერ პანღურებს მკრავს. მე ვუთხარი გაჩერდეს, მაგრამ ის თავს არ მანებებს. მე მისი მეშინია.

მე მყავს ნიშნებიდან დედას შეუძლია აიღოს:

– „ადამიანები, რომლებსაც ვენდობი და ვისაც ვუყვარვარ ისეთი, როგორიც ვარ";

– „ადამიანები, რომლებიც მეხმარებიან, როცა საფრთხეში ვარ".

მე ვარ ნიშნები შეიძლება გაძლიერდეს იმის ჩვენებით, რომ ბავშვი არის:

– „მოსაწონი და საყვარელი";

– „დარწმუნებული, რომ ყველაფერი მოგვარდება".

მე შემიძლია ნიშნები გულისხმობს:

–„ვესაუბრო სხვებს იმაზე, რაც მაშინებს და მაწუხებს";

– „ვიპოვო ის, ვინც დამეხმარება, როცა ეს დამჭირდება".

დედა-შვილს შორის ურთიერთობა შეიძლება ასე წარიმართოს: დედა ბავშვს უსმენს და ეუბნება, რომ შეწუხებულია მომხდარის გამო და ამშვიდებს მას. შემდეგ ეუბნება, რომ კარგია, როცა ბავშვები ამგვარი რამის შესახებ მასწავლებელს ატყობინებენ და რომ ეს არ არის დასმენა. დედამ შესთავაზა ბავშვს, რომ დაელაპარაკებოდა მასწავლებელს ან ბიჭის მშობლებს. თუმცა, შვილის დამოუკიდებლობის განმტკიცების მიზნით, არ უცდია ამის დაძალება. თავისი გრძნობების გაზიარებით და პრობლემის გადაჭრის გზების გაგებით ბავშვმა შვება იგრძნო. მან თავი პრობლემის მოგვარების მონაწილედ გაიაზრა და სურვილი გაუჩნდა, კიდევ გაერკვია, თუ რისი გაკეთება შეიძლებოდა.

სიცოცხლისუნარიანობის განვითარების ასაკობრივი თავისებურებები

სხვადასხვა ასაკში ბავშვები, მეტად ან ნაკლებად, ეყრდნობიან თავიანთ **„მე მყავს, მე ვარ და მე შემიძლია"** რესურსებს. ზრდასთან ერთად, მათ თავიანთი დარწმუნებულობა გარშემომყოფთა მხარდაჭერიდან **(მე მყავს)** საკუთარ უნარ-შესაძლებლობებზე **(მე შემიძლია)** გადააქვთ. ამავე დროს, გრძელდება საკუთარი შეხედულებებისა და გრძნობების გაძლიერება **(მე ვარ).**

ასაკის მატებასთან ერთად, მშობლებმა და მომვლელებმა სიცოცხლისუნარიანობის განმავითარებელი ქცევები და დამოკიდებულებები ბავშვის განვითარების დონის შესაბამისად უნდა ცვალონ.

ბავშვი დაბადებიდან 3 წლამდე

ასაკობრივი ამოცანები

სიცოცხლის პირველი სამი წლის განმავლობაში ბავშვი ნდობასა და დამოუკიდებლობას სწავლობს. თუ ბავშვი უყვართ და მასზე ზრუნავენ, მას უყალიბდება ნდობა როგორც მომვლელის, ისე საკუთარი თავის მიმართ. ბავშვი გამოიმუშავებს კვების, ძილის, ბანაობის რიტმს, სწავლობს თავის დამშვიდებას, საკუთარი სხეულის მართვას და უკეთ კონტროლირებას.

ცხადია, ბავშვი ბევრ შეცდომას უშვებს. შეცდომები მისთვის შეიძლება ან სასარგებლო გამოცდილების მომტანი ან უხერხულობის, სირცხვილის მიზეზი გახდეს. თუ ბავშვი რაიმეს ვერ ითვისებს და მომვლელი მას არ ეხმარება, ის საკუთარი თავის, მომვლელისა და მთელი სამყაროს მიმართ უნდობლობას ისწავლის. თუ ბავშვს საჭირო დამოუკიდებლობას და შეცდომების დაშვების უფლებას არ აძლევენ, იგი თავის შესაძლებლობებში დაეჭვდება და არ განუვითარდება საკუთარი ძალების რწმენა.

რის გაკეთება შეუძლიათ მშობლებსა და მომვლელებს?

– ბავშვი უპირობოდ უნდა უყვარდეთ და ეს სიყვარული ფიზიკურადაც და სიტყვიერადაც გამოხატონ: ხელში აიყვანონ, დაარწიონ, მიიხუტონ, მოეფერონ, მის დასამშვიდებლად საალერსო სიტყვები გამოიყენონ;

– ორიდან სამ წლამდე ბავშვთან შემოღებული წესების რაოდენობა უნდა გაზარდონ, უფლება-მოვალეობები გააგებინონ, მისი უსაფრთხოებისათვის აუცილებელი შეზღუდვები და დისციპლინირების სხვა ფორმები დაუწესონ, რომლებიც ბავშვისათვის დამამცირებელი და საზიანო არ იქნება;

– შეაქონ ბავშვი ტუალეტის სწავლისთვის, მეტყველებისათვის ან რაიმეს დამოუკიდებლად გაკეთებისათვის;

– წაახალისონ მინიმალური დახმარებით მარტივი დავალებების შესასრულებლად;

– როცა მეტყველება განვითარებულია, სიტყვებით აღწერონ, დაასახელონ ბავშვის გრძნობები. ამით გაუადვილდება მას როგორც თავისი გრძნობების (მოწყენილობა, სიხარული, სიბრაზე, ბედნიერება და ა.შ.) ამოცნობა და გამოხატვა, ისე სხვათა გრძნობების გაგებაც;

– სირთულეების დაძლევისას მიმართონ სიტყვებით: „მე ვიცი, შენ ეს შეგიძლია";

– გააცნობიერონ საკუთარი და ბავშვის ხასიათი, რათა განსაზღვრონ, რამდენად სწრაფად ან ნელა შემოიტანონ ცვლილებები, როგორ დასაჯონ, წაახალისონ და ა. შ.;

– დაამშვიდონ და გაამხნევონ ბავშვი სტრესულ სიტუაციებში;

– ჩვილი ბავშვისათვის სტაბილური გარემო შექმნან, ხოლო 2-3 წლის ბავშვისათვის სიახლეები შემოიტანონ;

– ერთმანეთთან შეათავსონ ბავშვის თავისუფლებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

სიცოცხლისუნარიანობის განვითარების მაგალითი

სიტუაცია – ორი წლის ბავშვი თქვენთან ერთად მაღაზიის დახლთან დგას. ის ხედავს კანფეტს, იტაცებს და პირისკენ მიაქვს. როცა ცდილობთ გამორთმევას, ყვირის: „ჩემია, ჩემია".

მართებული ქცევა: თქვენ მშვიდად გაგყავთ ბავშვი იმ ადგილიდან და უხსნით, რომ ნებართვის გარეშე ნივთების აღება არ შეიძლება; სთავაზობთ სხვა ნივთს ან ყურადღებას რამეზე გადაატანინებთ. ამით თქვენ არ შეაწუხებთ სხვებს. ამასთან, დაეხმარებით ბავშვს თავისი ქცევის ლიმიტი (მე მყავს) განსაზღვროს, საკუთარ საქციელზე პასუხისმგებლობა იგრძნოს (მე ვარ) და მოსმენა ისწავლოს (მე შემიძლია).

არამართებული ქცევა: თქვენ აცდით ბავშვს შეჭამოს კანფეტი, ან ურტყამთ, ან ძალით აშლევინებთ ხელს კანფეტის გამოსართმევად. ბავშვს გაუჩნდება შიში იმ ადამიანის მიმართ, ვინც სიყვარული და ნდობა უნდა უზრუნველყოს. ჩათვლის, რომ არ უყვართ და მისი არ ესმით.

სიცოცხლისუნარიანობის განვითარების შედეგები

მე მაქვს:

ნდობითი ურთიერთობები

ჩემი მშობლები და სხვა მომვლელები მაგრძნობინებენ სიყვარულს ხელში აყვანით, კოცნით, მოხვევით, იმის თქმით, რა ძლიერ ვუყვარვარ. ბედნიერები არიან, როცა მე ვარ ბედნიერი და მამშვიდებენ, როცა მოვიწყენ. შემიძლია მათ ვენდო, რადგან ისინი ჩემთან არიან, როცა მჭირდება და ჩემს წყენინებას არავის დაანებებენ.

წესები და როლები სახლში

ჩემი მშობლები და სხვა მომვლელები ადგენენ ჩემი ჭამის, ბანაობის, დაძინების განრიგს. ყოველდღიური განრიგი მაშინ იცვლება, როცა ეს საჭიროა ან მრავალფეროვნების მიზნით. მე ვიცი, რას არ უნდა შევეხო; ვიცი, რომ არავის უნდა დავარტყა და ვუკბინო, წესებს უნდა დავემორჩილო და განრიგს მივყვე. მე ვიცი, რა შეიძლება მოყვეს გაუგონრობას, თუმცა ისიც ვიცი, რომ არ მატკენენ და არ დამამცირებენ. ამის ნაცვლად, რაიმე ისეთს ამიკრძალავენ, რაც მომწონს ან მიყვარს. მომიწევს მოკლე დროით სკამზე ან ჩემს ოთახში ჯდომა, ასე რომ, მე შემეძლება დავმშვიდდე ან ვიფიქრო კიდეც იმაზე, თუ რა გავაკეთე. ჩემი მშობლები მეხმარებიან გავიგო, თუ რა შემეშალა, მირიგდებიან და ჩვენ კვლავ ბედნიერები ვართ.

როლური მოდელები

მშობლები და სხვა მომვლელები მაჩვენებენ, რას და როგორ აკეთებენ სახლში. მე შემიძლია საჭმლის მომზადებასა და სუფრის გაწყობაში დახმარება. ისინი მაჩვენებენ, თუ როგორ მოვიქცე სტუმრებთან, რისი გაკეთება შემიძლია სხვების წინაშე, ოჯახის წევრებთან და როცა მარტო ვარ. ისინი მასწავლიან, თუ როგორ შეიძლება საკუთარი გრძნობების გაგება და გამოხატვა.

ავტონომიურობის წახალისება

ჩემი მშობლები მაჩვენებენ როგორ ვჭამო, დავიბანო ხელები, ჩავიცვა ტანსაცმელი და მაქებენ, როცა ამას თვითონ ვაკეთებ. უფროსები მოელიან, რომ ნებართვას ვითხოვ იმ ნივთების ასაღებად, რაც დამჭირდება და მოვუვლი იმას, რაც მაქვს. ისინი მაგულიანებენ გამოვიკვლიო ახალი საგნები და ადგილები ჩემს ირგვლივ და მამხნევებენ, როცა ცოტა მეშინია ან ვყოყმანობ. ჩემი მშობლები მასწავლიან, როგორ დავიმშვიდო თავი, როცა აღელვებული ვარ.

გაგრძელება იქნება

საგანმანათლებლო კერები

განათლების სათავეებთან აფხაზეთში

„გაივლის ასწლეულები და ქართული ენის დიდება არ ჩაქრება აფხაზეთში.“
წმინდა მღვდელმთავარი ალექსანდრე ოქროპირიძე

ვახტანგ გასვიანი
აფხაზეთის ატონომიური რესპუბლიკის განათლების მინისტრის პირველი მოადგილე 1985-2005 წლებში

~~დასასრული~~

მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში აფხაზეთში არც ერთი სკოლა არ არსებობდა. სკოლების დაარსება იწყება ორმოცდაათიანი წლების შემდეგ. პირველ ეტაპზე იხსნება სამისიონერო-სასულიერო სკოლები, შემდეგ მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების, სახალხო განათლების სამინისტროს, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ სკოლები და სხვა კერძო სასწავლებლები.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1851 წელს – გალის რაიონის სოფელ ოქუმში, ხოლო 1856 წელს სოფელ დიხაზურგაში დეკანოზმა დავით მაჭავარიანმა გახსნა სკოლები. ოქუმის სკოლა წლების განმავლობაში ერთადერთი იყო აფხაზეთში.

ქრისტიანობის აღმდგენელმა საზოგადოებამ სკოლების გახსნის საქმეში დიდი მუშაობა ჩაატარა. 1864 წელს – ოჩამჩირის რაიონის სოფელ ილორში, 1867 წელს – გალის რაიონის სოფლებში: გუდავა, თაგილონი, საბერიო (2 სკოლა), ბარღები, ნაბაკევი ჭუბურხინჯი და ოჩამჩირის რაიონის სოფელ აგუბედიაში გახსნა სკოლები.

განათლების დარგში ინსპექტორს, ნ. ღოღობერიძეს ამ პერიოდში არსებული სკოლების მუშაობა დეტალურად შეუსწავლია, შეუდგენია ვრცელი მოხსენება ახალი სკოლების გახსნისა და არსებულის მუშაობის გაუმჯობესების შესახებ აფხაზეთში, სამურზაყანოში და საქართველოს სხვა რაიონებში. ეს მოხსენება 1864 წლის 30 ნოემბერს წარუდგენია ქუთაისის გუბერნატორისათვის, რომელსაც იგი მოუწონებია.

1869 წლის 5 თებერვალს სოხუმის სამხედრო ოლქის უფროსმა კავკასიის მეფისნაცვალს წარუდგინა მოხსენება სოხუმის ოლქსა და შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე სკოლების გახსნის შესახებ.

მოხსენებაში ის შეშფოთებას გამოთქვამს, რომ ამ რეგიონებში, სადაც არ არის რუსული სკოლები, მიმდინარეობს სხვადასხვა ეროვნების ხალხების დასახლება, რაც მათ საბაბს აძლევს, გახსნან თავიანთი ეროვნული სკოლები, ეს კი, მისი აზრით, არ არის სასურველი.

1870 წლის 21 დეკემბერს, სოხუმში, გაიხსნა დაწყებითი ქალთა სკოლა-ინტერნატი 20 აფხაზი გოგონასთვის, რომელიც 1872 წლის 11 მარტიდან გადაუკეთებიათ ქალთა პროგიმნაზიად.

1871 წელს 1-კლასიანი დაწყებითი სკოლები გაუხსნიათ გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნში, ახალ ათონში 25 აფხაზი ბავშვისათვის მონასტრის კმაყოფაზე და დაბა ოჩამჩირეში.

ამ პერიოდში არსებული სკოლების გამართულ მუშაობაზე დიდად ზრუნავდნენ მასწავლებლები. ბევრ სკოლაში დასწრება ძალიან დაბალი იყო, ბავშვებს დიდ მანძილზე უხდებოდათ სიარული. ეს საკითხი რომ მოეწესრიგებინა, გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნის მასწავლებელმა ღოღობერიძემ, 1874 წელს, შემოიარა მიმდებარე სოფლები, მოსახლეობას შესთავაზა ბავშვებისთვის სკოლასთან თავშესაფარი მოეწყოთ, რასაც მხარი დაუჭირეს და უმოკლეს დროში ასეთი თავშესაფარი ერთ-ერთ სახლში მოაწყვეს, ბავშვთა რაოდენობა 30-მდე გაიზარდა.

გაზეთი „კავკაზი“ ამის შესახებ წერდა: *„ამ სოფლის მოსახლეობა იმდენად იყო დაინტერესებული ბავშვების წარმატებით სკოლაში, როცა მასწავლებელმა განუცხადა, რომ ბავშვებს შორიდან უხდებათ სიარული, მშობლებმა აირჩიეს სახლი და საერთო ხარჯით მოათავსეს იქ, გამოვიდა იპროვიზირებული პანსიონი“* (ა.პ.დუდკო, „აფხაზეთში რევოლუციამდელი სკოლის ისტორიიდან“, სოხუმი, 1956).

ეს მაგალითი იმაზე მიუთითებს, თუ როგორ შეთანხმებულად მუშაობდა ქართველი მასწავლებელი ადგილობრივ აფხაზ მოსახლეობასთან. ეს კი ნიშნავს, რომ ისინი აფასებდნენ განათლებას, ცდილობდნენ ბავშვებს ცოდნა მიეღოთ და ამისთვის არ იშურებდნენ თანხებს.

1851-1885 წლებში აფხაზეთში სულ 17 სკოლა იყო. აქედან ორი შექმნილა საქართველოს ეგზარქოსის განკარგულებით, ხოლო 15 ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების ინიციატივით. აქედან მხოლოდ ერთი, ოქუმის სკოლა ყოფილა სწავლის 2-კლასიანი კურსით, დანარჩენი – 1-კლასიანი დაწყებითი სწავლების კურსით.

სკოლების გახსნაზე უარყოფითი გავლენა მოახდინა რუსეთ-თურქეთის 1877-78 წწ. ომმა. ამ ომის დროს ბევრი ეკლესია და სკოლა განადგურდა თურქების მიერ. ამის შემდეგ მოსახლეობის დამოკიდებულება სკოლების გახსნისადმი შეიცვალა – ნაწილი ეჭვითა და უნდობლობით უყურებდა ამ საქმეს, რაც იმითაც იყო გამოწვეული, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი მაჰმადიანობას მისდევდა, ძლიერი იყო მოლების პროპაგანდისტული გავლენა. ამავე დროს, არ იყვნენ აფხაზი მასწავლებლები. ამის საილუსტრაციოდ გამოდგება შემდეგი: *„ქრისტიანობის აღმდგენელმა საზოგადოებამ მოქვში ააშენა თავისი სახსრებით სკოლა, რომელიც 1871 წელს უნდა გახსნილიყო, მაგრამ მოსახლეობამ უარი თქვა სკოლის გახსნაზე. მოქვში მაჰმადიანობის მიმდევარი მოსახლეობა უფრო ძლიერი იყო, ვიდრე მართლმადიდებლური რელიგიისა, გამარჯვება სკოლის გახსნის თაობაზე მათ დარჩათ. სკოლა მოქვში დიდი დაგვიანებით გაიხსნა“* (ა.პ. დუდკო, „აფხაზეთის რევოლუციამდელი სკოლის ისტორიიდან“, სოხუმი, 1956 წ., გვ. 43,91).

1885 წელს ქრისტიანობის აღმდგენელმა საზოგადოებამ შეწყვიტა მუშაობა სკოლების მართვის მხრივ და ეს საქმე სასულიერო უწყებას გადასცა, რომელმაც დაიწყო კიდეც აფხაზეთში საეკლესიო-სამრევლო სკოლების გახსნა.

სახალხო განათლების სამინისტროს სისტემაში, 1885 წლისათვის, ირიცხებოდა ორი სკოლა – სოხუმში დაწყებითი 2-კლასიანი მთიელთა სკოლა და ოჩამჩირეში – 1-კლასიანი დაწყებითი სასწავლებელი. ორივე სკოლაში 212 ბავშვი სწავლობდა.

1886 წელს, გუდაუთის რაიონის სოფელ მწარაში, გაიხსნა 1-კლასიანი დაწყებითი სასწავლებელი, 1890 წელს კი – სამი 1-კლასიანი დაწყებითი სასწავლებელი სოხუმის რაიონის სოფლებში.

1890-1895 წლებში, სამინისტროს ხაზით, გაიხსნა 7 ერთკლასიანი დაწყებითი სკოლა. მათ შორის დაბა გუდაუთაში – 1 ხოლო 6 დანარჩენი – სოხუმის რაიონის სოფლებში. მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში გახსნეს 24 დაწყებითი სასწავლებელი, აქედან ერთი 1-კლასიანი სასწავლებელი – სოფელ ლიხნში.

ამრიგად, 1900 წლისათვის აფხაზეთში სულ 33 დაწყებითი სასწავლებელი ფუნქციონირებდა, მათ შორის 5 – 2-კლასიანი სწავლის კურსით. 33-ვე სასწავლებელში 1356 მოსწავლე სწავლობდა, მათ შორის 109 ვაჟი და 246 გოგონა.

სკოლების რაოდენობის სწრაფი ზრდა შეიმჩნევა XIX საუკუნის ოთხმოციანი წლებიდან. მათი ზრდის მთავარი მიზეზი იყო საგლეხო რეფორმები და კაპიტალიზმის ზრდა რუსეთის იმპერიაში, რაც მოითხოვდა წერა-კითხვის მცოდნე მუშებს სახალხო მეურნეობაში. ამიტომაც ამ პერიოდიდან მეტი ყურადღება ექცევა 2-კლასიანი დაწყებითი სასწავლებლების გახსნას.

1905-1910 წლებში ახალი ერთკლასიანი დაწყებითი სასწავლებელი გაიხსნა, 6 ერთკლასიანი სასწავლებელი ორკლასიან დაწყებით სასწავლებლად გადაკეთდა (ტამიშის, ჯირხვის, აკვასკის, აჟიუბჟის, ბედიისა და ჭლოუს).

მომდევნო 1910-1917 წლებში კიდევ 18 დაწყებითი სასწავლებელი გაუხსნიათ, სულ სამინისტრო სკოლების რაოდენობამ 79 სასწავლებელი შეადგინა, მათ შორის 8 ქალთა დაწყებითი სასწავლებელი იყო. იქ, სადაც ქალთა სასწავლებლები არ იყო, გოგონები ვაჟებთან ერთად სწავლობდნენ. საერთოდ ქალებისა და ვაჟების ერთად სწავლა არ იყო აკრძალული.

არსებული 79 სასწავლებლიდან 23 იყო სწავლის 2-კლასიანი კურსით. აქედან ერთი 2-კლასიანი ქალთა სასწავლებელი იყო დაბა გალში. დანარჩენი 56 სასწავლებელი – ერთკლასიანი სწავლის კურსით, მათ შორის 7 იყო ქალთა.

სამინისტროს 79 დაწყებით სასწავლებელში მოსწავლეთა რიცხვი, 1917 წელს, 3407-ს შეადგენდა, მათ შორის ვაჟები – 2745, გოგონები – 662.

XIX საუკუნის ოთხმოციანი წლები აღსანიშნავია სასულიერო უწყების სკოლების რიცხობრივად სწრაფი ზრდით. 1914 წლისათვის მათი რიცხვი 74 ერთეულს შეადგენდა, მოსწავლეების რაოდენობა – 3443-ს.

გარდა სამინისტროს დაწყებითი სასწავლებლებისა სოხუმში მუშაობდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სასწავლებელი, აგრეთვე სომხური და ბერძნული საქველმოქმედო საზოგადოების 2-კლასიანი სასწავლებელი.

1894 წლიდან სოხუმში არსებობდა კერძო პირთა 9 მესამე თანრიგის დაწყებითი სასწავლებელი, სადაც სწავლის ხანგრძლივობა სხვადასხვა იყო.

1914 წლისათვის ყველა უწყების სკოლების რაოდენობამ 148 შეადგინა, მოსწავლეთა რაოდენობამ კი – 7885.

1917 წლის ივნისში აფხაზეთში არსებული ყველა უწყების სასწავლებელი გაერთიანდა სახალხო განათლების სამინისტროს მმართველობაში.

1921 წლისათვის სკოლების ქსელი, ფაქტობრივად, იგივე რჩება. ამ დროისათვის აფხაზეთში 146 სკოლა იყო. მათ შორის – 141 დაწყებითი, 5 საშუალო, მოსწავლეთა რაოდენობა შეადგენდა 10468 ბავშვს, აქედან 8982 სწავლობდა დაწყებით სკოლებში, 1486 – საშუალო სკოლებში.

1915 წელს, სოხუმში, სამასწავლებლო სემინარია გაიხსნა, გუდაუთასა და გალში – მასწავლებელთა დაწყებითი სკოლები. ორი გიმნაზია გაიხსნა სოხუმსა და ოჩამჩირეში. 1911 წლის 25 ივნისს სოხუმის საქალაქო სასწავლებელთან გახსნეს პედაგოგიური კურსები, სადაც ყოველ წელს 10-12 მასწავლებელს ამზადებდნენ (ვ. ნარსია, „სახალხო განათლება აფხაზეთში“, სოხუმი, 1961 წ., გვ. 11,12,13).

მე-19 საუკუნის სამოციან წლებში აფხაზეთში სწავლების ენად მოსწავლეთა მშობლიური ენა გამოიყენებოდა ოქუმისა და დიხაზურგის სკოლებში. იქ, სადაც მღვდელმასწავლებლებმა არ იცოდნენ რუსული ენა, წერა-კითხვის სწავლება მიმდინარეობდა ქართულ ენაზე, აფხაზურ სკოლებში კი – აფხაზურ ენაზე.

ამავე პერიოდში, ქრისტიანობის აღმდგენელმა საზოგადოებამ ისეთი სასწავლო გეგმები შეიმუშავა, რომლითაც სწავლების ენად რუსული ენა გამოცხადდა. ამის შემდეგ მოსწავლეთა მშობლიური ენა გამოიყენებოდა, როგორც დამხმარე საშუალება სწავლებაში და ისიც არა ყველგან. სახალხო სკოლამ წმინდა რუსული ხასიათი მიიღო. სკოლების ინსპექტორ-რევიზორები ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობდნენ, რომ ქართული ენის სწავლება სრულიად განედევნათ სკოლებიდან.

ცარიზმის მოხელეების ასეთ ანტიეროვნულ ზრახვებს წინ აღუდგნენ გალის რაიონის სკოლების მოწინავე მასწავლებლები, მშობლები. ისინი მოითხოვდნენ, რუსულთან ერთად ქართული ენის სწავლებასაც. 60-იან წლებში გარკვეულ დათმობაზე წავიდნენ და ნება დართეს, რომ სწავლების პირველ წელს ეროვნებათა უმცირესობების სკოლებში, საღვთო სჯული და სხვა საგნებიც ქართულ ენაზე ესწავლებინათ და საერთოდ მშობლიური ენა გამოეყენებინათ სწავლების საშუალებად.

1874 წლიდან მდგომარეობა, სწავლების ენის მხრივ, მკვეთრად შეიცვალა როგორც აფხაზეთში, ასევე საქართველოს დანარჩენ სკოლებში – სწავლება გადავიდა რუსულ ენაზე.

საქართველოსა და მთელი კავკასიის მხარეში, 21 წლის განმავლობაში (1878-1899 წწ.), სახალხო განათლების საქმეს ხელმძღვანელობდა კ. იანოვსკი, რომელიც დიდმპყრობელური პოლიტიკის აქტიური გამტარებელი იყო. იგი ცდილობდა საგნების სწავლების ენად დაემკვიდრებინა რუსული დაწყებითი სკოლის მეორე კლასიდან. ამას წინ აღუდგნენ მასწავლებლები. 1880 წლის აგვისტოში შედგა ქუთაისის გუბერნიის მასწავლებელთა ყრილობა, რომელმაც დაადგინა – რუსული ენა ქართულ სკოლებში ისწავლებოდეს, როგორც საგანი და ისიც მე-3 წლიდან. ამით განაწყენებული იანოვსკი უხეშად ერეოდა სკოლების საქმიანობაში, ზოგჯერ შეურაცხყოფასაც არ ერიდებოდა, სასწავლო გეგმების მანიპულაციით ეძებდა გამოსავალს თავისი ზრახვების განსახორციელებლად.

ქართული სკოლის მოსპობის, ქართველების დაქსაქსულად წარმოდგენის მიზნით ყოველგვარ ხერხს მიმართავდნენ. სკოლების მაშინდელი მესვეურნი მოსწავლეებს ეროვნებად უწერდნენ იმ კუთხის სახელს, საიდანაც იყვნენ. ამ მხრივ ანტიქართულ მუშაობას ეწეოდნენ სამეგრელოს რაიონებში, კერძოდ სამურზაყანოში. რუსი მოხელეების მცდელობას, ქართული ენა შეეცვალათ მეგრულით სამეგრელოში უარყოფითად შეხვდნენ როგორც ფართო მასები, ასევე მასწავლებლები.

მიუხედავად რეპრესიებისა და მუქარისა მოწინავე მასწავლებლები თავიანთი ინიციატივით ასწავლიდნენ მშობლიურ ენას, პირნათლად ემსახურებოდნენ ქართველი და აფხაზი ხალხების კულტურისა და განათლების საქმეს.

აფხაზეთის სკოლებში მშობლიური ენა არ ყოფილა მიღებული საგნების სწავლების ენად. მხოლოდ 1905-13 წლებში ქართულ და აფხაზურ ენებზე ისწავლებოდა სასწავლო და დამხმარე საგნები. 1913 წლიდან, პირველ ორ წელიწადს, სწავლების ენა მოსწავლეთა მშობლიური ენა იყო, რუსული რჩებოდა როგორც სასწავლო საგანი. მესამე წლიდან ყველა სასწავლო დისციპლინა ისწავლებოდა რუსულ ენაზე. ეს საკითხი განხილულ იქნა სოხუმის ოლქის მასწავლებელთა პირველ ყრილობაზე, რომელიც 1905 წლის დეკემბერში გაიმართა. მეორე ყრილობამაც (1917 წ.) განიხილა სასკოლო მმართველობის საკითხები და შეიქმნა სახალხო სკოლების მმართველობის დროებითი სასკოლო კომიტეტი. ყრილობამ შეიმუშავა მასწავლებელთა პროფესიული კავშირის წესდება და აირჩია კავშირის გამგეობა (ნ. ვეკუა, „სახალხო განათლების დაწყებითი სასწავლებლები რევოლუციამდელ აფხაზეთში“, სოხუმი, 1958 წ., გვ. 151-152). საგანმანათლებლო სისტემაში რუსიფიკატორულ პოლიტიკას წინ აღუდგნენ ჩვენი გამოჩენილი მწერლები, პედაგოგები, საზოგადო მოღვაწეები.

გაზეთ „რასვეტში“, რომელიც პეტერბურგში გამოდიოდა, 1905 წელს დაიბეჭდა იაკობ გოგებაშვილის ვრცელი სტატია, სადაც მოყვანილი იყო მთელი რიგი ფაქტები სკოლებიდან ქართული ენის დევნის შესახებ, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში – აფხაზეთში, სამეგრელოსა და სვანეთში. ეს წერილი გადმოიბეჭდა ჟურნალ „განათლებაში“. კ. იანოვსკის ანტიპედაგოგიური საქმიანობის შესახებ გაზეთ „დროებაში“ დაიბეჭდა რ. ერისთავისა და ს. მესხის, გაზეთ „ივერიაში“ კი ი. ჭავჭავაძის წერილები.

წერილში, რომელიც გაზეთ „ივერიაში“ (№278, 1900 წ.) დაიბეჭდა, ი. გოგებაშვილი მოუწოდებდა ქართულ საზოგადოებას: *„დროა გამოვფხიზლდეთ, უზრუნველობას თავი დავაღწიოთ, დროა შევიგნოთ ჩვენი ნიჭიერი პოეტის გრიგოლ ორბელიანის ლექსის მნიშვნელობა: „რა ენა წახდეს, ერიცა წახდეს, ჩირქი მოეცხოს ტაძარსა წმინდას“* (ნ. ვეკუა, „სახალხო განათლების დაწყებითი სასწავლებლები რევოლუციამდელ აფხაზეთში“, სოხუმი, 1958 წ., გვ. 67).

ქართველი ეროვნული მოღვაწეები, იცავდნენ რა ქართულ ენას, კულტურას, ამავე დროს, იცავდნენ აფხაზი ხალხის უფლებებს.

ქართული ეროვნული განათლებისა და კულტურის გადარჩენის მიზნით, ქართველი ინტელიგენციის თაოსნობით, 1879 წელს, თბილისში დაარსდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“. აფხაზი ინტელიგენციის წარმომადგენლებმა კარგად იცოდნენ, თუ რა ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა ეს საზოგადოება და მათაც 1909 წ. შექმნეს „აფხაზთა შორის ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება“, ფილიალით გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნში, რამაც ხელი შეუწყო აფხაზეთში საგანმანათლებლო მუშაობის ფართო მასშტაბით გაშლას. სამისიონერო და მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების სკოლების გახსნის პირველ წლებში სახელმძღვანელოები არ იყო. წერა-კითხვას, ლოცვებს, საღვთო სჯულს, ანგარიშს, ხელნაწერებითა და საეკლესიო წიგნებით ასწავლიდნენ.

მე-19 საუკუნის 60-იან წლებში ქართულ ენაში გამოიყენებოდა ი. კერესელიძის, დ. ფურცელაძის, პ. უმიკაშვილისა და ს. მდივანოვის სახელმძღვანელოები. მათ შორის ყურადღებას იმსახურებდა პ. უმიკაშვილის მიერ შედგენილი ანბანი.

10

საგანმანათლებლო კერები

მე-9 გვერდიდან

ქართულ სახალხო სკოლას, პედაგოგიკას საფუძველი ჩაუყარა იაკობ გოგებაშვილმა. 1865 წლიდან შემოვიდა მის მიერ შედგენილი სახელმძღვანელოები: „ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი“, „Русское слово“, შემდეგ: „დედაენა“ (I და II ნაწილი), „ბუნების კარი“ – ეს სახელმძღვანელოები ნაწილობრივ ავსებდა იმ ნაკლოვანებებს, რაც ოფიციალურ პროგრამაში იყო. იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოებში შეტანილი იყო სამხარეთმცოდნეო მასალა, გეოგრაფიული და საბუნებისმეტყველო ხასიათის სტატიები, კარგად შერჩეული ცნობები საქართველოს ისტორიიდან.

იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოები მაღალი ზნეობრიობის და ეროვნული თვითშეგნების სულისკვეთებით ზრდიდა მოსწავლე ახალგაზრდობას, იცავდა ქართულ ენას სკოლაში და ავრცელებდა ქართული ენის ცოდნას ახალგაზრდობაში. ეს სახელმძღვანელოები დიდი პოპულარობით სარგებლობდა და დიდად აფერხებდა ანტიქართული პოლიტიკის გატარებას სკოლაში. აქედან გამომდინარე, კავკასიის სასწავლო ადმინისტრაცია ცდილობდა, იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოები განედევნა სკოლებიდან. ამის მისაღწევად ყოველნაირ უმსგავსო ხერხსაც არ იშურებდნენ. ქართველი პედაგოგიური საზოგადოება კი თავგამოდებით იცავდა იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოებს.

70-იანი წლებიდან ხმარებაში შემოვიდა რუსული სახალხო სკოლის ფუძემდებლის კ. უშინსკის სახელმძღვანელო „როდნოე სლოვო“, რომელიც დიდაქტიკურად და მეთოდურად გამართულად იყო შედგენილი.

მიუხედავად სასკოლო განათლებაში შექმნილი უმძიმესი მდგომარეობისა, სახელმძღვანელოებმა მეტ-ნაკლებად გარკვეული როლი შეასრულეს ადგილობრივ – ქართველ და აფხაზ მოსახლეობაში – ცოდნის გავრცელებაში, ქართული და მოწინავე რუსული კულტურის შესწავლაში.

XX საუკუნის დასაწყისში სახელმძღვანელოები აფხაზურ ენაზე ითარგმნა. 1906 წელს გამოვიდა „აფხაზური ანბანი“ (ავტორთა კოლექტივი), 1907 წელს – არითმეტიკის ამოცანათა კრებული აფხაზური დაწყებითი სასწავლებლისათვის (ფ.ხ. ეშბა), 1909 წელს – საკითხავი წიგნი აფხაზური დაწყებითი სასწავლებლისათვის (ა.მ. ჩუკბარი, ნ.ს. პატეიფა), 1909 წელს – „აფხაზური ანბანი“ (ა.მ. ჩოჩუა).

მოსწავლეთა მომზადების დონე აფხაზეთის სკოლებში არ იყო დამაკმაყოფილებელი, რადგანაც სწავლის დაწყების პირველივე დღიდან მეცადინეობა მიმდინარეობდა არა მშობლიურ, არამედ რუსულ ენაზე, მოსწავლეები სასწავლო მასალას მექანიკურად იზეპირებდნენ.

ცნობილი ქართველი ეთნოგრაფი თედო სახოკია, რომელმაც XIX- XX საუკუნეების მიჯნაზე იმოგზაურა აფხაზეთში და თავად იხილა იქ შექმნილი ვითარება, გადმოგვცემს, რომ *„სოფლებში რიგიან სკოლებს იშვიათად ნახავთ. მთელ სამურზაყანოში სულ ათგან თუ არის სამრევლო სკოლა, რომლებიც, უდღეურივით ძლივს მიათრევენ თავის გაჯახირებულ არსებობას“*. იგი ამხელს ცარიზმის რუსიფიკატორულ პოლიტიკას – *„დღეს ბევრ სოფელშია გახსნილი სამრევლო სკოლა, მაგრამ იმ უკუღმართი მიმართულების გამო, საზოგადოდ ჩვენებურ სკოლებში რომაა გამეფებული (რუსულ ენაზე სწავლება აქვს მხედველობაში), აქაური სკოლები ყველაფერს ემსახურებიან, ყველაფერს აკეთებენ, გარდა მთავარი დანიშნულებისა, ყრმათა გონებრივი და ზნეობრივი გაწვრთნისა. აქაურ მკვიდრთ არც ამ სკოლათა არსებობა ჰმატებს რასმე და აღარც უმისობითაც დააკლდებათ რამე... განცდით წერს: „აფხაზი ბუნებით ნიჭიერია, მიხვედრილია, მაგრამ ცარიელი ბუნებრივი ნიჭი რას გახდება, თუ მხარში ცოტაოდენ სწავლა არ უდგას და არ ეხმარება!... და სწორედ ეს სწავლაა აქეთკენ სანთლითა საძებარი. მე არას მოგახსენებთ ხალხის საერთო განათლების შესახებ, იმ საერთო განათლებისა, რომელიც აქეთკენ არ არსებობს; სავალალო უფრო ის გახლავთ, რომ ამ ხალხს ინტელიგენციაც არ ჰყავს, ოთხი-ხუთი განათლებული კაციც არ მოეძევა, რომ წინამძღვრობას უწევდეს თავის მოძმეთა, მათი ჭირისა და ლხინის გამომხატველი იყოს“* (თ. სახოკია, „მოგზაურობანი“, თბილისი, 1950 წ., გვ. 312).

XIX საუკუნის ბოლოს გამოჩნდნენ აფხაზი ინტელიგენციის პირველი თაობის წარმომადგენლები ს.ტ. ზვანბა, კ.გ. შერვაშიძე, ნ.ნ. შაყრილი და დ.ხ. შერვაშიძე. მათ დიდი წვლილი შეიტანეს აფხაზეთის მცენიერების, განათლებისა და კულტურის განვითარებაში.

ამ პერიოდში სამწერლო ასპარეზზე გამოდის დ. ი. გულია, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა აფხაზურ მხატვრულ ლიტერატურას, აფხაზურ სალიტერატურო ენას. 1892 წელს მან და კ.დ. მაჭავარიანმა შექმნეს ახალი აფხაზური ანბანი. ასე დაიწყო დ.ი. გულიას მრავალწლიანი პედაგოგიური და საგანმანათლებლო საქმიანობა. ქართულ-აფხაზური ურთიერთობების სამყაროში უდიდესი წვლილი შეიტანა აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის შვილმა გიორგი შერვაშიძემ, ცნობილმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ. „ტომით აფხაზი, ეროვნებით ქართველი“ – ასე უწოდებდა იგი თავის თავს. მასში ბუნებრივად იყო შესისხლხორცებული აფხაზიც და ქართველიც. ახლო ურთიერთობა ჰქონდა ქართველ მწერლებთან, განსაკუთრებით კი აკაკი წერეთელთან.

გ. შერვაშიძე მამულიშვილური შეგნებით ებრძოდა მეფის ხელისუფლების რეაქციულ გადაწყვეტილებებს საეგზარქოსოდან სოხუმის ეპარქიის გამოყოფის შესახებ. ის ხელს აწერდა აფხაზეთის დეპუტატის მოთხოვნას მეფინასცვალსა და წმინდა სინოდისადმი. *„სოხუმის ეპარქია მთელი თავისი წარსულით და აწმყოთი შესისხლხორცებულია საქართველოს ეკლესიასთან. გთხოვთ, არ გაგვთიშოთ და არ გამოგვყოთ ძველათვე არსებულ წყობილებიდან, რომელიც შექმნილია საუკუნეების განმავლობაში საქართველოს და აფხაზეთის ისტორიული და კულტურული ცხოვრების მიერ“* (ლ. ჯაფარიძე, „ა. წერეთლისა და გ. შერვაშიძის ურთიერთობები“ – მართლმადიდებლობა აფხაზეთში, თბილისი, 2005 წ., გვ 172).

მჭიდრო ურთიერთობები ჰქონდა აფხაზეთის ინტელიგენციას გამოჩენილ ქართველ მწერლებთან, ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერებთან: ილია ჭავჭავაძესთან, აკაკი წერეთელთან, იაკობ გოგებაშვილთან და სხვებთან. ძნელბედობის ჟამს მათ არაერთხელ გამოუხატავთ მხარდაჭერა აფხაზებისადმი.

აფხაზეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ილია ჭავჭავაძის შეხვედრას სოხუმის ინტელიგენციასთან 1903 წელს. თავის ვრცელ სიტყვაში მან მოუწოდა ხალხს განათლების გავრცელების შესახებ; განათლებისა და კულტურის დარგში დიდი წვლილი შეიტანეს აფხაზეთში მცხოვრებმა ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლებმა: პ. ჭარაიამ, ნ. ჯანაშიამ; ამ პერიოდში მიიღეს განათლება, შემდეგ კი აქტიურ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდნენ: ს. ჭანბა, ა.მ. ჭოჭუა, თ.ხ. ეშბა, დ. ჩხოტუა, ა.ი. ჩუკბარი, ნ.ს. პატეიფა, გ.ნ. დადიანი-ანჩაბაძე და სხვ.

აფხაზეთის განათლების მინისტრი, ცნობილი აფხაზი პოეტი და საზოგადო მოღვაწე ა. ჯონუა ყოველივე ამას ასეთ შეფასებას აძლევს – *„ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის მეფობის წლებში, აფხაზეთში მცხოვრები ქართველი და სხვა ეროვნების ინტელიგენციის მოწინავე წარმომადგენლები მრავალგზის ცდილობდნენ, რომ მოეწესრიგებინათ, მკვიდრ ნიადაგზე დაეყენებინათ აფხაზი ბავშვების განათლება, სწორედ მათი დამსახურებაა, იმ მძიმე დროში აქაური ბავშვები და მოზარდები რამდენადმე მაინც რომ ეზიარენ კულტურასა და განათლებას“* (ა. ჯონუა, „სახალხო განათლება“, გვ. 2, 12/VI, 1971წ.) სწორედ ამ პერიოდში მიიღეს განათლება აფხაზი ინტელიგენციის პირველი თაობის უმეტესმა წარმომადგენლებმა.

ამრიგად, განხილულ პერიოდში, აფხაზეთში ყველა უწყებისა და სისტემის სასწავლო დაწესებულებათა საერთო რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა. მაგრამ ეს არ შეიძლება ჩაითვალოს მეფის მთავრობის და მისი ადგილობრივი ორგანოების დამსახურებად, პირიქით, ისინი ყოველნაირად აბრკოლებდნენ განათლების განვითარებას.

XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში აქტიურდება საზოგადოებრივი ცხოვრება. სკოლაში შედიოდა მოწინავე იდეები, რომელსაც ითვისებდნენ მასწავლებლები, მოსწავლე ახალგაზრდობა, ეს იდეები აღწევდა ფართო მასებშიც. პროგრესული ძალები აიძულებდნენ ხელისუფლებას, დათმობაზე წასულიყო, გადაედგა ნაბიჯები სახალხო განათლების განვითარებისათვის.

საზოგადოებაში პროგრესული იდეების დამკვიდრებაში უდიდესი როლი მიუძღვით მოწინავე მასწავლებლებს, რომლებიც თავგამოდებით იბრძოდნენ, სწავლა-აღზრდის საქმე ისე აეწყოთ, რომ ქვეყნისათვის აღეზარდათ ღირსეული ახალი თაობა. ეს მისია სკოლებმა იტვირთეს.

მიუხედავად იმისა, რომ მეფის მთავრობა სკოლების მეშვეობით ახორციელებდა ანტიხალხურ სასკოლო პოლიტიკას, მაინც სკოლამ შეასრულა მნიშვნელოვანი როლი მოსახლეობაში ცოდნისა და წერა-კითხვის გავრცელებაში.

წინამდებარე წერილში შევეცადეთ, არსებული მასალების საფუძველზე, მოკლედ მიმოგვეხილა, თუ რა ვითარებაში ხდებოდა აფხაზეთში განათლების პირველი კერების გავრცელება. გვეჩვენებინა, რომ მის სათავეებთან იდგნენ ქართული ეკლესიისა და ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები, რომ ისინი მუდმივ მხარდაჭერასა და თანადგომას პოულობდნენ საქართველოს სხვა კუთხეებში არსებული სასწავლებლებიდან და სასულიერო ცენტრებიდან. ერთობლივი ძალისხმევით მათ საძირკველი ჩაუყარეს შენობას, რომელზეც აფხაზეთში მომავლის სკოლა აშენდა. მის წიაღში მიიღო სწავლა-განათლება აფხაზეთის ინტელიგენციის პირველმა თაობამ, რომელსაც კარგად ესმოდა, რომ განათლების განვითარება ბევრად განსაზღვრავს ქვეყნის მომავალს, რომ იგი ყოველთვის არის ბიძგი პროგრესისკენ.

ინფორმაცია

მოსწავლეთა ინფორმირების საუკეთესო საშუალება

ნატო საქართველოში ყველაზე პოპულარული სიტყვა იყო 90-იანი წლების დასაწყისში, მაშინ, როცა იწყებოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი ტალღა, როცა ასობით თაბახი ივსებოდა ჩვენი ხელმოწერებით, რათა დაგვხმარებოდნენ საერთაშორისო ორგანიზაციები საბჭოთა საოკუპაციო ჯარების ნატოს ჯარებით ჩანაცვლებაში. მას შემდეგ 20 წელზე მეტი გავიდა. ნატო კვლავ აქტუალურია ჩვენს ქვეყანაში, თუმცა, მაშინდელისგან განსხვავებით, ახლა ბევრად მეტი ვიცით მის შესახებ, რაც საქართველოში ნატოს საინფორმაციო ცენტრის გახსნამაც განაპირობა. ცენტრის მთავარი მიმართულება ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის შესახებ ინფორმაციის გავრცელებაა. ამისათვის ერთ-ერთ ეფექტურ გზად ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში და უმაღლეს სასწავლებლებში ნატოს საინფორმაციო კუთხეების გახსნა მიიჩნიეს. 14 აპრილს ასეთი კუთხე ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკურ სკოლაშიც გაიხსნა. ცერემონიალი საკმაოდ წარმომადგენლობითი იყო – სტუმრები საქართველოს განათლების სამინისტროდან, პარლამენტისა და ქალაქის მთავრობის, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

პროექტის პრეზენტაციას სკოლის დირექტორი **ალუდა გოგლიჩიძე** გაუძღვა. მან საინფორმაციო კუთხის მნიშვნელობაზე, მოსწავლეების პროექტში ჩართულობის აუცილებლობაზე ისაუბრა და აღნიშნა *„ჩვენი ამოცანაა, რაც შეიძლება მეტად ხელმისაწვდომი გავხადოთ ინფორმაცია, ზოგადად, ევროატლანტიკური ალიანსის და იმ მიმართულებების შესახებ, რომელსაც ეს ორგანიზაცია ემსახურება. მოსწავლეებში დიდია ინტერესი, თუმცა ჩვენ მათ არასოდეს არ ვავალებთ, მხოლოდ ვთავაზობთ და ვუქმნით პირობებს, მათი ინტერესების დასაკმაყოფილებლად. ასეა ამ შემთხვევაშიც. ოთახი, სადაც განთავსდება ნატოს საინფორმაციო კუთხე, აქამდეც „სამოსწავლებლო“ იყო (ასე ვუწოდებთ ჩვენ მას). ახლა ახალი მიმართულება დაემატა და იმედი მაქვს, ჩვენი მოსწავლეები დაინტერესდებიან ამ სიახლით.“*

ქალბატონი **ეკა ბიბილაშვილი** პროექტის ორგანიზატორია. ის ამბობს, რომ *„დაინტერესება ამ მიმართულებით არის უფროსკლასელებში. 42-ე სკოლიდან 32 ბავშვი გაერთიანდა შესაბამის კლუბში, ნატოს საინფორმაციო ცენტრმა საკმაოდ მრავალფეროვანი ლიტერატურა მოიტანა სკოლაში. მოსწავლეები გაეცნობიან მას, თავად აირჩევენ მათთვის საინტერესო მიმართულებებს, გაუჩნდებათ მოსაზრებები, იდეები, რომელთა განხორციელებაში მათ მე უნდა დავეხმარო“.*

გიორგი კეპულაძე, ნატოს საინფორმაციო ცენტრის დირექტორის მოადგილე: *„ჩვენი მოვალეობაა ნატოს შესახებ ინფორმაციის გავრცელება, რაც შეიძლება ფართო მასშტაბით. ეს არის ბეჭდური ინფორმაცია, სარეკლამო ხასიათის ბუკლეტები, თამაშებიც კი, სუვენირები და ა.შ. მთავარი ინტერესია რაც შეიძლება მეტმა ადამიანმა ნახოს ყველაფერი ეს. ამის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება კი მსგავსი საინფორმაციო კუთხეების მოწყობაა სკოლებსა თუ უმაღლეს სასწავლებლებში. საქართველოს მასშტაბით 10-ზე მეტ უმაღლეს სასწავლებელშია ასეთი კუთხე – ქუთაისში, ბათუმში, თბილისის რამდენიმე წამყვან უნივერსიტეტში, მალე გაიხსნება ზუგდიდში.*

თბილისში წელს დავიწყეთ სკოლებში არსებული საინფორმაციო კუთხეების განახლება, 42-ე სკოლა რიგით მესამეა, რომელიც უახლესი ლიტერატურით შეივსო, რაც ხელმისაწვდომი იქნება თითოეული მოსწავლისა თუ პედაგოგისათვის. ჩვენი მოხალისე-ნოვატორი 100-მდე ახალგაზრდა (მოსწავლეები და სტუდენტები) სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენს ცენტრთან, მათი მეშვეობით ვიგებთ, თუ რა მდგომარეობაა ადგილებზე, როგორ მუშაობენ ჩვენ მიერ შექმნილი საინფორმაციო კუთხეები, რა სახის ლიტერატურა, კონსულტაცია ან დახმარება სჭირდებათ. ნატო არ არის ერთ ადგილზე გაჩერებული ორგანიზაცია, ამიტომ ინფორმაციის ხშირი განახლებაა საჭირო. აქედან გამომდინარე მუდმივი კონტაქტი ამ სასწავლო დაწესებულებებთან აუცილებელია.“

ნატოს საინფორმაციო კუთხის პრეზენტაციას დაესწრო ბრიტანეთის თავდაცვის ატაშე საქართველოში **ნიკ რიდაუტი**. მისი გამოსვლა ინტერესით მოისმინეს სტუმრებმა, განსაკუთრებით მოსწავლეებმა, რადგან მან არაერთი საგულისხმო პირობა დაასახელა რატომაც ისწრაფვის საქართველო ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში გასაწევრიანებლად.

ანა ფირცხალაიშვილი

სკოლის დირექტორი, მასწავლებელი, მოსწავლე...

საგარეჯოს რაიონში, აზერბაიჯანელებით კომპაქტურად დასახლებულ სოფლებში: ლამბალოში, იორმუღანლოში, დუზაგრამასა და კაზლარში ქართულ ენაზე საუბარი და წერა-კითხვა ყოველთვის ჭირდა. ეს განსაკუთრებით იგრძნობოდა სამხედრო კომისარიატისა და წვევამდელების ურთიერთობაში. იქაური მოსახლეობის თხოვნას, 2000–2001 სასწავლო წლისათვის ლამბალოს საშუალო სკოლაში გახსნილიყო ქართულ ენაზე სწავლების პირველი კლასი – მხარი დაუჭირეს: რაიონის ყოფილმა გამგებელმა **თენგიზ ოქროცვარიძემ**, რაიონის განათლების განყოფილების ყოფილმა გამგემ **თამარ საგინაშვილმა** და ლამბალოს სკოლაში პირველი ქართველი მასწავლებელიც გაიგზავნა – ბადიაურელი **ირმა ჭიკაძე**.

ამ სიახლეს გამოეხმაურა გაზეთები: „საქართველოს რესპუბლიკა" („მენ გურჯუ დილინი სევირამ – მე მიყვარს ქართული ენა", №92, 19 აპრილი, 2001 წ.) და გაზეთი „ნერგი" („ქართულ „დედაენას" აზერბაიჯანელებიც სწავლობენ", მარტი, 2001 წ.) ირმა ჭიკაძემ პატარა აზერბაიჯანელ ბავშვებს იაკობის „დედაენით" დააწყებინა სწავლა. მშობელთა თხოვნით, ქართულ ენაზე სწავლების პირველი კლასები სხვა სოფლების სკოლებშიც გაიხსნა. ჩვენი მოძმე ერი საქართველოში სახელმწიფო ენას დიდ პატივს სცემს. გულითადი დამოკიდებულება აქვთ ქართველებთან. *„ჩვენ, ორი ეროვნების ხალხი, ყოველთვის კეთილგანწყობილი ვიყავით და ვართ ერთმანეთის მიმართ. ჩვენ ხომ ერთი ქვეყნის მოქალაქეები ვართ. ქართული ენის ცოდნით ჩვენს შვილებს საქართველოში ცხოვრება გაუადვილდებათ"* – ამბობენ აზერბაიჯანელები.

წლეულს ლამბალოს საჯარო სკოლაში 857 მოსწავლე სწავლობს, მათ შორის ქართულ ენაზე სწავლა-განათლებას 61 მოზარდი იღებს. საგანმანათლებლო პროცესს 63 მასწავლებელი ემსახურება, მათგან 15 ქართველია.

მიუხედავად იმისა, რომ სკოლის შენობა ავარიულია და მესამე წელიწადია მეცადინეობა სოფლის დაქირავებულ კერძო ბინებში მიმდინარეობს, აქ წუთითაც არ შეწყვეტილა სასწავლო პროცესი, უფრო მეტიც, პედკოლექტივი ახალი პროფესიული სტანდარტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს პასუხობს.

ამ სკოლას შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული ბევრი პედაგოგი ჰყავს: რამდენიმე წიგნის ავტორია, რამდენიმეს სამეცნიერო ხარისხი აქვს... ძლიერი პედკოლექტივი მოსწავლეებშიც ნიჭიერების დანახვას ცდილობს. მათი აღსაზრდელები ყოველწლიურად მონაწილეობენ ოლიმპიადებსა და სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციებში. წლეულსაც 64-ე რესპუბლიკურ კონფერენციაზე გაიგზავნა **შალალა ნასიბოვასა** და **ინთიკამ ჰუსეინოვის** თემები.

ამ შეხმატკბილებულ, შესანიშნავ კოლექტივს ოცი წელია ხელმძღვანელობს ბატონი **აღაბალი ხეირხაბაროვი**. იგი ბაქოს უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია, სპეციალობით ქიმიკოსი, ჰყავს მეუღლე, ქალბატონი **სარა ოჯახვერდიევა**, რომელიც ასევე ქიმიკოსია და ამავე სკოლაში ასწავლის. მათ ლამაზ ოჯახში შვილები და შვილიშვილები იზრდებიან. თვით ბატონი აღაბალი ორგანიზატორული ნიჭით დაჯილდოებული კარგი ხელმძღვანელია.

იგი აზერბაიჯანულ ენაზე წერს ლექსებს, ქართულად არაჩვეულებრივად საუბრობს. მის პოეზიას თარგმნის ამავე სკოლის მასწავლებელი **ნინო ნანუაშვილი**:

„გთხოვ, მომისმინე, შენ, ექიმო, გთხოვ მომისმინე:
დარდი ბევრი მაქვს, წამალი კი მაქვს მხოლოდ ერთი,
უპირო კაცთან არასოდეს არა მაქვს საქმე,
მართალ კაცთან კი მეც მართალი მინდა რომ ვიყო!"

მისი ლექსებიდან ჩანს, როგორი ღვთის მორწმუნეა ავტორი, როგორ ეძებს ყველგან სილამაზეს, უყვარს კეთილი ადამიანები, უკვირს და სწამს ბუნების ქმნილი სასწაულების, ეთაყვანება მშობელ დედას, მის დაღლილ მკლავებს:

„სამოთხის გული დედაჩემის მკლავებში ვნახე,
მეცნიერების საიდუმლო – ფუტკარში, ქსელზე,
ლამაზ ყვავილზე – სურნელება და ფერთა ფონი,
მაგრამ აქლემში დავინახე ბოღმა და შფოთი..."

უკვე მეხუთე წელიწადია ნინო ნანუაშვილი ლამბალოს საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელია. იგი თსუ-ს ფილოლოგიის ფაკულტეტის კურსდამთავრებულია. მისი ლექსები დიდი ხანია იბეჭდება რაიონულ თუ რესპუბლიკურ პრესაში. პირველი პოეტური კრებული 2002 წელს გამოსცა. წინასიტყვაობაში აწ განსვენებული ბატონი ზაურ მეძველია ასე გვაცნობს ავტორს: *„ამ წიგნის ავტორი ფილოლოგი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის IV კურსის სტუდენტია... აქაც გონისა და გრძნობის საუფლოს წარჩინებულია"*. გარეჯელი ქალიშვილის ლექსები შესულია 2002-2003 წლებში გამოცემულ ანთოლოგიაში „ლექსო, ზიარო სულისა", მისი თარგმანები შესულია მიკოლა ბაჟანის, იულიუშ სლოვაცკის, ალ. პუშკინის საიუბილეო კრებულებში.

2006 წელს საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირის გამგეობამ ნინო ნანუაშვილს გადასცა საკუთარი მოთხრობებისა და ლექსებისათვის საპატიო სიგელი და ი. გოგებაშვილის საიუბილეო მედალი კონკურსში *„შემოქმედი პედაგოგი"* გამარჯვებისათვის.

ნინოს მეორე პოეტური კრებული 2007 წელს გამოიცა, სახელწოდებით „შენ". წინათქმაში რატი ამაღლობელი წერს: *„...ნინომ თავისი ცხოვრება სრული შეგნებით ლიტერატურას დაუკავშირა, შემთხვევითი არც ის არის, რომ თავისი ქალაქიდან არცთუ ისე ახლოს მდებარე სოფელში, მომავალი საქართველოს სრულფასოვანი მოქალაქეობისათვის, ეთნიკურად აზერბაიჯანელ ბავშვებს სკოლაში ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლის"*.

ნინო არაჩვეულებრივი მასწავლებელია. სულ ახლის ძიებაშია, მისი გაკვეთილები ერთმანეთს არ ჰგავს. ყველა მოზარდში შესაძლებლობის მაქსიმუმს ეძებს და ზრუნავს მათთვის ცხოვრების გზის გასაკვალად, განსაკუთრებულად ნიჭიერი მოსწავლეების წარმოჩენაზე ფიქრობს.

პატარა აზერბაიჯანელებიც ხშირად უძღვნიან ქართულ ენაზე დაწერილ ლექსებს. აი, რას წერს მოსწავლე **გულნარა ოჯახვერდიევა**:

გულნარა მქვია, პატარა ვარ, დინჯი, ჭკვიანი,
ნინომ მასწავლა ქართველების ენა მზიანი
ჩემთვის ის არის სამშობლოზე უფრო ძვირფასი
და დედასავით მოამაგე – მასწავლებელი!
ტანით პატარა, მაგრამ გულით მთაზე დიდია,
მისი სიტყვები მეგობრობის წმინდა ხიდია.

გულნარას მსგავსად უკვე ქართულად წერენ **ნაზირ ჰასანოვი**, **დილგამ იაკუბოვი** და **ინთიკამ ჰუსეინოვი**.

სულ ახლახანს ლამბალოს საჯარო სკოლაში ჩატარდა ღონისძიება „ჩვენი შემოქმედება". წაიკითხეს ინთიკამისა და მისი თანაკლასელის, **მუსა საფაროვის** თემები: „ჩემი თვალით დანახული რუსული აგრესია". აი, რას წერს VIII-კლასელი ინთიკამი: *„მე საქართველომ გამზარდა და ვალს მხოლოდ მას გადავუხდი...მე ჩემი სამშობლოსთვის ვცოცხლობ."*

ასეთ მაღალ დონეზეა საქართველოს სახელმწიფო ენის სწავლება ლამბალოს საჯარო სკოლაში. პედაგოგები: **ნელი ჯავახიშვილი, ნონა ტიგინაშვილი, მედეა გოცირიძე** ძალასა და ენერგიას არ ზოგავენ პატარა აზერბაიჯანელების მამულიშვილებად აღზრდისათვის. მათ მიერ ხნულში ჩაყრილი მარცვალი უთუოდ კარგ ნერგად იხარებს.

ვულოცავთ მათ ქართული ენის დღეს და ვუსურვებთ ყოველთვის თავიანთი საქმეებით ყოფილიყვნენ ორი მოძმე ერის საიმედო და სასახელო ადამიანები.

ლეილა არჩემაშვილი

სისხლით დაწერილი ისტორიის ნაკვალევზე

აბაშის ცენტრთან ახლოს დგას ნოღოხაშის საჯარო საბაზო სკოლის (დირექტორი **ლეილა ტორონჯაძე**) ორსართულიანი კოპწია შენობა, სადაც მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის საქმეს ემსახურებიან პედაგოგები, რომლებიც ფლობენ სწავლების თანამედროვე მეთოდებსა და ტექნოლოგიებს.

სკოლას ჰყავს პრეზიდენტის სტიპენდიანტი მასწავლებელი. ამავე სკოლის კურსდამთავრებულია სატელევიზიო შოუ „ყველაზე ჭკვიანში" გამარჯვებული. ამ პატარა სკოლაში დიდი საქმე კეთდება. მოსწავლეთა ინიციატივითა და პედაგოგთა დახმარებით საინტერესო ღონისძიებები ტარდება სკოლაში. ამჯერად მოსწავლეები გულდასმით მოემზადნენ 9 აპრილისათვის. 21 წელი ჩადგა ჩვენსა და იმ 9 აპრილს შორის, რომელმაც ქართველ ხალხს სიმართლის, უკვდავების რწმენა განუმტკიცა. ამ ღია ჭრილობას მალამოდ ედება იგივე 9 აპრილი, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღედ გამოცხადა.

არც ისე მზიანი დილა გათენდა 9 აპრილს, ალბათ ბუნებაც გრძნობს იმ ტრაგედიას, რაც 21 წლის წინათ დატრიალდა საქართველოში. დილის 10 საათზე მიკროავტობუსი მოადგა სკოლის ჭიშკარს. მოსწავლეთა, პედაგოგთა და მშობელთა დელეგაცია შეიკრიბა, რათა პატივი მიეგოთ 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული 22 წლის მარტვილელ **აზა ადამიასთვის**.

ხალხმრავლობა იყო მარტვილის ცენტრში. აზა ადამიას სახელობის მარტვილის II საჯარო სკოლაში გაიხსნა აზა ადამიას მემორიალი. ამის შემდეგ დელეგაციამ ყვავილების გვირგვინით შეამკო მისი საფლავი. სიტყვით გამოვიდა VII-კლასელი **ცოტნე გაბელაია**: „...ჩვენ ვდგავართ 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული გმირის, აზა ადამიას საფლავთან. თაყვანს ვცემთ, პატივს მივაგებთ და ქედს ვიხრით მისი ხსოვნის წინაშე. მის წილ ვეფერებით აზა ადამიას გამზრდელ დედას. ჩვენი აქ მოსვლა ერთგვარი ფიცია იმისა, რომ სამშობლოს თუ დასჭირდა, ჩვენს მზად ვართ იგივე გავიმეოროთ. ხმლიანმა მტერმა ვერ დაგვათმობინა, ვერ წაგვართვა ჩვენი მიწა-წყალი, ხმლიან მტერს გავუძელით, გადავრჩით, ქვეყანა და სახელი შევინახეთ. უნდა ვიაროთ წინ, უნდა გავაგრძელოთ 9 აპრილს დაღვრილი სისხლით დაწერილი ჩვენი ისტორია.

მოსწავლეთა მიერ შესრულდა საგალობელი, რომლის ფონზე ლექსები წაიკითხეს მოსწავლეებმა: **ანა ჩიქოვანმა, ომარ ცომაიამ, თორნიკე გაბელაიამ, უმზირა** და **ნათია პაჭკორიებმა, ნუგზარ ჩოჩიამ**.

შთამბეჭდავი იყო ომარ ცომაიას მიერ წაკითხული ლექსი: *„...რუსთაველზე წმინდა ნინოს და მაცხოვრის ხატთან, რუსთაველზე მლოცველების და სანთლების ზღვასთან, მოღალატის, კაცის მკვლელის, სატანების ფერხთით, ჩხრიალებდა, ჩხრიალებდა 30 ვერცხლი... 30 ნაძირალა, შარაგზაზე გდია. საქართველოს მოღალატეს სამჯერ 30 ტყვია"...*

დასასრულს, მოსწავლეთა მიერ შესრულდა საგალობელი „ქრისტე აღსდგა". აზა ადამიას დედამ მადლობა გადაუხადა მოსწავლეებს და მოუთხრო მათ საინტერესო ეპიზოდები აზას ბავშვობიდან. შემდეგ მოსწავლეები ესტუმრნენ მარტვილის უძველეს მონასტერს და პარაკლისი გადაიხადეს 9 აპრილს დაღუპულთა სულის მოსახსენიებლად. იმავე დღეს მოსწავლეთა ძალისხმევით ჩატარდა ერთჯერადი აქცია. მარტვილის მოსახლეობას გადაეცა აბაშის მკვიდრი პოეტის **ნანული გუნიას** 9 აპრილისადმი მიძღვნილი ლექსების კრებული.

კიდევ ერთი ლამაზი დღე ჩაიწერა აბაშის რაიონის ნოღოხაშის საჯარო საბაზო სკოლის მოსწავლეთა სასკოლო ცხოვრების ისტორიაში.

ჯულიეტა ამისაია
ქართლი ენისა და ლიტერატუტის მასწავლებელი

ნანა გვალია
V კლასის დამრიგებელი

სააღდგომო გამოფენა

თბილისის ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეაში, 10 აპრილს, სააღდგომო გამოფენა გაიხსნა, რომელსაც გალერეა 1978 წლიდან მასპინძლობს.

ამჟამად წარმოდგენილი იყო 410 ბავშვის 500-მდე ნამუშევარი. კერძოდ, გამოფენაში მონაწილეობდნენ: ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეის სტუდია – „თავისუფალი ხატვის ჯგუფები", თბილისის 143-ე საჯარო სკოლა , მე-18 სამხატვრო სტუდია, 23-ე საჯარო სკოლის სამხატვრო სტუდია „მარჯი", თბილისის პირველი საჯარო სკოლა (პედაგოგი **მერი ბეჟანიშვილი**) , პირველი ექსპერიმენტული სკოლა (პედაგოგი **უშანგი ლონდარიძე**), კერძო სკოლა „ივერიაში" არსებული ხატწერის სტუდია (პედაგოგი **ნინო ღლონტი**), სტუდია „საჩინო" (პედაგოგი **მატრონა ტატიშვილი**). სააღდგომო გამოფენა, გასულ წლებთან შედარებით, ორიგინალური და მრავალფეროვანი ნამუშევრებით გამოირჩეოდა: კერძო სკოლა „ოლიმპის" მოსწავლეებმა თექაზე შესრულებული საინტერესო ნამუშევრები წარმოადგინეს; მცხეთის რაიონის სოფელ ძალისის საჯარო სკოლის (პედაგოგი **ნანა ბზარაშვილი**) მოსწავლეებმა დამთვალიერებელი ბისერებით მორთული სააღდგომო კვერცხებით აღაფრთოვანეს; საინტერესო იყო საგარეჯოს რაიონის მოსწავლეთა ნამუშევრები.

ექსპოზიციას უამრავი დამთვალიერებელი ეწვია, ინტერესიდან გამომდინარე, გამოფენა 25 აპრილამდე გაგრძელდება და ნებისმიერ მსურველს უმასპინძლებს.

მარინა თაბორიძე, ბავშვთა სურათების გალერეის საგანმანათლებლო შემეცნებითი განყოფილების უფროსი: *„სააღდგომო გამოფენას ჩვენი გალერეა დიდი ხანია მასპინძლობს. ამ დღისთვის ბავშვები განსაკუთრებული ხალისითა და მონდომებით ემზადებიან. ხატვის პროცესში ისინი კითხულობენ და ეცნობიან რელიგიურ საკითხებს, სწავლობენ ხატწერის პრინციპებს, დადიან ტაძრებში და თავიანთი ფანტაზიით ქმნიან ნახატებს. გალერეაში გამართული ყველა გამოფენა, ტრადიციულად, საგანმანათლებლო ხასიათს ატარებს. დიდი სურვილი გვაქვს, რომ ის უფრო მასშტაბური გახდეს და აქტიურად ჩაერთონ საქართველოს რაიონის სკოლებიც. სააღდგომო გამოფენა ტრადიციულად საქართველოს კათალიკოს პატრიარქს, ილია მეორეს მიეძღვნა, მას განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს ბავშვების ნამუშევრების მიმართ".*

გამოფენაში მონაწილეებს ბავშვთა სურათების გალერეისგან სპეციალური დიპლომები გადაეცათ.

მაკა ყიფიანი







ახალი განათლება
მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი
მისამართი: ტეტელაშვილის №3 ტელ.: 95-80-23, 890 958023, 855 411668, 855 178027.
www.axaliganatleba.ge E-mail: axaliganatleba@gmail.com, ganatleba@mail.ru
რეგისტრაციის № 2/4-1609, ინდექსი ხელმოწერისთვის: 76096
გაზეთი რეგისტრირებულია დიდუბის რაიონის სასამართლოს მიერ.
რედაქციის რეკვიზიტები: საქართველოს ბანკი ბ/კ 220101502, ს/კ 202058735, ა/ა 123631000
რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.